ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

24 იანვარი 2025წ. №1 (4097) გამოცემის 94-ე წელი ფასი 2 ლარი

ბელა შალვაშვილი

უტყუარია სიმართლე ხალხის

როდესაც ხალხი გამოდის გარეთ
და მოედება მოედნებს რისხვით,
მთავრობისადმი ირჯება ცხარედ, -
უტყუარია სიმართლე მისი.

ასეა ოდით, ასეა დღემდე, -
მაღალთ მდაბალთა მჩაგვრელად
ვხედავთ,
და ვით ჩაგრული ირჯება ეგრეთ,
გარჯა იმისი სწორია მეტად.

დავფიქრდები და გამოდის ასე, -
უფროსი მიწყივ მჩაგვრელი არის,
უფროსი არის სიხარბით სავსე, -
გაუმაძღარი მგლისაა დარი...

საოცარია: საუკუნობით -
რად მოდის ესე უწესო წესი,
რად არა ჩნდება ამ წესის მგმობი,
ამ სიავეს რომ აქამდე ვერ სცვლის.

როდესაც ხალხი გამოდის გარეთ,
როს მოედება მოედნებს რისხვით,
მთავრობას რაკი მიმართავს
ცხარედ, -
უტყუარია სიმართლე მისი.

„ლიტაივანი“ მესამედ

უკვე მესამედ გაიმართა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ახალგაზრდული კონკურსი „ლიტაივანი“. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გასულ წელსაც გამოჩნდა ახალი სახელები, ახალი სახეები, ახალი იმედები. მკითხველმა გაიცნო ახალგაზრდა ავტორების საინტერესო პროზაული, პოეტური და კრიტიკულ-ესეისტური ნაწარმოებები. სავალდებულო რევერანსისთვის არ ვამბობთ, - გამოჩნდა საიმედო ნიშნები იმისა, რომ ახალი თაობა ეძებს თავის სათქმელს, თავის ფორმას, თავის გზას.

ია კარგარეთელი

გიორგი ზუბიტაშვილი

ილია ჭანტურია

ჩვენი მიზანია, გამოვარჩიოთ ისინი და წარვუდგინოთ, გავაცნოთ, დავაახლოვოთ მის უდიდებულესობა მკითხველთან...

„ლიტაივანი -2024“-ის გამარჯვებულნი არიან:

ია კარგარეთელი (პროზა)
გიორგი ზუბიტაშვილი (პოეზია)
ილია ჭანტურია (კრიტიკა)

„ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველები კარგად იცნობენ ია კარგარეთელის პროზაულ ნამუშევრებს. მან ჯერ კიდევ „პალიტრა L“-ის კონკურსზე წარმოაჩინა თავი როგორც ნიჭიერმა, საკუთარი ხელწერის მქონე ავტორმა, რომელიც გამუდმებით ეძებს ფორმას, იდეას, სახეებს. თანამედროვე ახალგაზრდობა და ჰუმანურობის საწყისის ძიება - დაახლოებით ასე შეიძლება განისაზღვროს მისი მოთხრობების ძირითადი ხაზი;

გიორგი ზუბიტაშვილი პირველად შარშან გამოჩნდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე. ეფექტური აღმოჩნდა მისი დებიუტი იმ მხრივ, რომ ბევრმა შენიშნა და ყურადღება მიაქცია მისი ლექსის თვალშისაცემ თავისებურებას, რომელიც გამოიხატება სათქმელის სიზუსტითა და პოეტური ფაქტურის დახვეწილობით;

ილია ჭანტურია გავიცანით როგორც საინტერესო პროზაიკოსი, რომელსაც აქვს თავისი სათქმელი, ხედვა, მიზანი. შარშან კი ჩვენთან დაიბეჭდა მისი არაერთი კრიტიკულ-ესეისტური ოპუსი, რომლებშიც აღმოვაჩინეთ სერიოზული ინტერესებისა და ფართო ინტელექტუალური დიაპაზონის მქონე ლიტერატორი.

ასე რომ, წელსაც გაგვიმართლა!

ვულოცავთ ჩვენს ლაურეატებს ამ აღიარებას და ვუსურვებთ დიდ წარმატებებს როგორც პირად ცხოვრებაში, ისე ლიტერატურულ ასპარეზზე.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია

გუბაზ მეგრელიძე

ქართული თეატრის დღე

ქართული თეატრის დღე 1884 წლის 2 იანვრიდან აღინიშნება. გაზეთი „დროება“ იუწყებოდა, რომ ეს დღე ქართული თეატრის აღდგენისა და გიორგი ერისთავის ხსოვნის დღეა. ბევრს ჰგონია, რომ 1850 წლის 2 იანვარი (ახ. სტილით 14 იანვარი) ქართული თეატრის დაბადება-დაარსების თარიღია. სინამდვილეში ყოველი წლის 14 იანვარს აღდგენილი ქართული პროფესიული თეატრის დღეს აღვნიშნავთ, რაც უკავშირდება გიორგი ერისთავის თეატრის პირველი წარმოდგენის გამართვის თარიღს. 1850 წელს შესაძლებელი გახდა ქართული პროფესიული თეატრის აღდგენა დედაქალაქში. ამ დღეს ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში გიორგი ერისთავის „გაყრა“ დაიდგა. 1856 წელს შეწყვეტილ და 1879 წელს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით განახლებულ სათეატრო ცხოვრებას თვით დიდმა მოღვაწემ „მუდმივი სცენა“ უწოდა. სწორედ აქედან იწყება რუსთაველის თეატრის ისტორიაც.

ისტორიულად ერეკლე მეორეს სასახლის კარზე შეიქმნა პირველი ქართული პროფესიული თეატრი, რომლის დასიც 1795 წელს, აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას, კრწანისის ველზე გმირულად დაეცა. ეს გახლავთ მხოფლიოში პირველი შემთხვევა, როდესაც თეატრალური დასი ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლას ეწირება.

წელს ეს თარიღი საქართველოს თეატრალური საზოგადოების განახლებულ დარბაზში აღინიშნა. განახლდა სცენა, შეიცვალა განათება, შეიცვალა სკამები, ფარდები, გაკეთდა გათბობა, დაიგო რბილი იატაკი. საზოგადოების თავმჯდომარის გიო-

▶▶ დასასრული მე-2 გვ.

ინტერვიუ

გიზო ზარნაძესთან
გვ. 3-4

მინიმალისტური პროზა

პაატა ნაცვლიშვილი
გვ. 6

ემიგრანტის გაზაფხული

მაია ციციშვილი
გვ. 8-9, 16

გაუმარჯოს თამადას!

გ.გოგოლაშვილი, თ.ხმალაძე
გვ. 12-13

„მწუხრის ზარეებიდან“

ჯორჯ ბაირონი
გვ. 15

ქართული თეატრის დღე

▶▶ პირველი გვერდიდან

რგი გეგეჭკორის თაოსნობით განხორციელებული ეს ცვლილებები საქართველოს თეატრებს საშუალებას მისცემს ამ სცენაზე წარმოადგინონ სპექტაკლები, გაიმართოს მსახიობთა შემოქმედებითი საღამოები. ამ დღესასწაულს ეძღვნებოდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ საგანგებოდ გამოცემული ერთდროული გაზეთი ,,ქართული თეატრის დღე“.

წელსაც ტრადიციულად გაიმართა კონკურსი შემოქმედებითი კავშირის–საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიური პრემიის - ,,თეატრალური სეზონის საუკეთესო ნამუშევარი 2023-2024 წლის სეზონში“ მინიჭების შესახებ. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გუბაზ მეგრელიძე (თავმჯდომარე), პროფესორი ზაზა აბზიანიძე, დრამატურგი რეზო კლდიაშვილი, კომპოზიტორი გოგი ჩლაიძე, მსახიობი და რეჟისორი ზურაბ გუგუშვილი.

თეატრალური სეზონის საუკეთესო სპექტაკლისთვის ,,გრან-პრი“ გადაეცა ქუთაისის თეატრის სპექტაკლს ,,ჰელვერის ღამე“. რეჟისორ გიორგი თავაძეს, მსახიობებს: ევა ხუტუნაშვილსა და რამაზ იოსელიანს, სცენოგრაფ ვერა ყიფიანს.

საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის- გიორგი კაშიას, ზუგდიდის თეატრში დადგმული სპექტაკლისთვის ,,სამანიშვილის დედინაცვალი“.

მამაკაცის საუკეთესო როლისთვის - რუსთავის თეატრის მსახიობს ზვიად დოლიძეს, სპექტაკლ ,,მარშალში“ მარშალის როლის შესრულებისთვის.

ქალის საუკეთესო როლისთვის პრემია გადაეცა მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის მსახიობს ნინო ბურდულს, სპექტაკლში ,,ყოფილების სარეცელი“ ნანას როლის შესრულებისთვის.

მამაკაცის საუკეთესო ეპიზოდური როლის შესრულებისთვის- ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობს გიორგი გოგიშვილს, სპექტაკლში ,,ბრმა ძაღლები“ სერაპიონის როლის შესრულებისთვის.

ქალის საუკეთესო ეპიზოდური როლის შესრულებისთვის- ბათუმის თეატრის მსახიობს მაკა შალიკაშვილს, სპექტაკლში ,,1902 წელს ბათომში“ ბოშა ქალის როლის შესრულებისთვის.

ახალგაზრდა მსახიობი ვაჟის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის- თეატრის მსახიობს დაჩი ბაბუნაშვილს, სპექტაკლ ,,ოთარაანთ ქვრივში“ გიორგის როლის შესრულებისთვის.

ახალგაზრდა ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის- ფოთის თეატრის მსახიობს ანა ანდღულაძეს, სპექტაკლში ,,ჯაყო“ მარგოს როლის შესრულებისთვის.

საუკეთესო სცენოგრაფიული ნამუშევრისთვის - ხატია დავითაშვილს, ზესტაფონის თეატრის სპექტაკლ ,,ჰამლეტის“ გაფორმებისთვის.

საუკეთესო ორიგინალური მუსიკისთვის - კომპოზიტორ დაჩი დოდაშვილს, გორის თეატრის სპექტაკლ ,,ოთარაანთ ქვრივის“ გაფორმებისთვის.

საუკეთესო ქორეოგრაფიული ნამუშევრისთვის - ირინე კუპრავას, ფოთის თეატრის სპექტაკლ ,,ჯაყოს“ გაფორმებისთვის.

საუკეთესო თეორიული ნაშრომისთვის - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, ლაშა ჩხარტიშვილს, მონოგრაფიისთვის ,,ერეკლე მეორის ეპოქის თეატრი“.

ჟიურის გადაწყვეტილებით, სეზონის საუკეთესო ქართული პიესისა და საუკეთესო კრიტიკული წერილის პრემიები არ გაცემულა.

საბავშვო ჟურნალი „დილა“ იუბილარია. „120 წელი არც ისე ცოტაა და არც ისე ბევრი, მაგრამ საბავშვო ჟურნალისთვის ეს მართლაც უზარმაზარი დროა, მით უმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში მის ხნოვანებას ბევრი სახელმწიფოც ვერ დაიკვეხნის“. - წერს ჟურნალ „დილას“ დირექტორი და გამომცემელი დოდო წივწივაძე ჟურნალის საიუბილეო ნომერში, რომელიც სიმბოლურად 120-გვერდიანი გამოვიდა.

„ამერიმერი“

დაისტამბა დამოუკიდებელი ლიტერატურული ალმანახ „ამერიმერის“ 2024 წლის გაერთიანებული პირველ-მეორე ნომერი.

ალმანახი ტრადიციას არ არღვევს, ამჯერადაც ნომერი იხსნება **უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის** საშობაო ეპისტოლეთი!

ალმანახში **ქართული პოეზიის** რუბრიკით წარმოდგენილნი არიან: **ფარნა რაინა** - „კატრენები“. გაგრძელება, **კობა იაკობ-აბა არაბული** - „მზიანი ღამის ეტრატები“, **რევაზ დანელია,** ლექსები, **ზაალ ებანოიძე** - „წყალგალმიდან მოიწერე, რა წაიღე გამოღმიდან“... პოემა - რეკვიემი, ნუგზარ წერეთელი - ლექსები, **დალი კახიანი** - ლექსები, **ერეკლე საღლიანი** - ლექსები, **ლელა მეტრეველი** - ლექსები, **სოსო ბერიძე** - ლექსები, **აკაკი ბიძინაშვილი** - ლექსები, **ლია გიგიტაშვილი** (თამარელი) - ლექსები, **ანა ერისთავი** - ლექსები, **ნუგზარ კობერიძე** - ლექსები, **რომან ზუკაკიშვილი** - ლექსები, **ვაჟა ოთარაშვილი** - ლექსები, **ეკა კვანტალიანი** - ლექსები, **გიგლა ჭინჭარაული** - ლექსები, **ნათია ჯიქურაშვილი** - ლექსები, **ნათელა ქურციკიძე** - ლექსები, **ალექსი გოგბერაშვილი** - ლექსები, **ნუნუ ძამუკაშვილი** - საყმაწვილო ლექსები, **ზურაბ ქობალია** - ლექსები, **ბადრი სულაძე** - ლექსები რაჭულ მოტივებზე, **ზურაბ მამულაშვილი** - ლექსები, **ვეფხვია გავაშელი** - ლექსები, **ირაკლი მასპინძელიშვილი** - იუმორისტული ლექსები.

რუბრიკა ქართული პროზა გთავაზობთ: **მანანა ამირეჯიბი** - თვალთმაქსის პარადოქსები. მოთხრობა, **ზაზა ქინქლაძე** - გაფრენილი კარუსელი. ვრცელი რომანის დასაწყისი, **გიორგი თედეთი** - ღმერთო, როდემდე... დოკუმენტური მოთხრობა, **ანზორ სიფრაშვილი** - ვახტანგ გორგასალი - ერთი თავი რომანიდან, ნანა ნიღელაშვილი - პაპა - მოთხრობა, **მაგული კვაჭაძე-ქანთარია** - ქურდების ბებია - მოთხრობა, **მარიამ ძამუკაშვილი** - გაზაფხული - მოთხრობა, **ეკატერინე ავაზაშვილი** - მივიწყებული ცოდვა - მოთხრობა, **ვაჟა ჩორდელი** - კაცი ცთუნების მძევალი - კინო მოთხრობა.

აქვეა დაბეჭდილი მეგობრის გახსენების რუბრიკით **როსტომ თიგიშვილის** მოთხრობა - „ბებერი ყვავის ნაალაფარი“.

წერილების რუბრიკით წარმოდგენილნი არიან - **როინ მეტრეველი** - ზოგიერთი ისტორიული პირის წოდების, ტიტულატურისა და რიგითი ნომრის შესახებ, **ზაალ ბოტკოველი** - ზოგი რამ ქართული მწერლობის ავთანდილზე, **ირინე აბესაძე** - დალი კახიანის გრაფიკა, **ომარ გოცაძე** - ევროპისკენ ჰერი! ჰერი!, **ლევან ბრეგაძე** - ფეისბუკის ჩანაწერებიდან, **ჟაკლინ სირაძე** - უცნაური ქართული ეგზისტენციალიზმი.

ალმანახი მთარგმნელებსაც მასპინძლობს - **სადეყ ჰედაიათი** - მაწანწალა ძაღლი - მოთხრობა, სპარსულიდან თარგმნა **გიორგი სიფრაშვილმა, ჰაინრიხ ფენრიჰი** - ქართული ლიტერატურის ადგილი მსოფლიო ლიტერატურათა შორის - თარგმა **მარიამ ქსოვრელმა.**

ალმანახი აგრძელებს **ვაჟა ჩორდელის** „მწერლის ხურჯინში გადანახული ამბების“ ბეჭდვას.

„ამერიმერი“ გამოცემიდან მეთოთხმეტე წლის დალაშქვრას შეუდგა. ველოდებით ახალ და ძველ სახელებს.

P.S. რედაქციამ სიურპრიზი მოუმზადა ამ ნომერში დაბეჭდილ ავტორებს. ისინი დაჯილდოებულნი არიან ჭაბუა ამირეჯიბის, მუხრან მაჭავარიანის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და ზაურ ბოლქვაძის სახელობის საპატიო დიპლომებით.

ალმანახის გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **ვაჟა ჩორდელი.**

„დილა“ 120 წლისაა!

შეიძლება ითქვას, რომ „დილას“ საიუბილეო ნომერი - ეს არის ისტორიულ–რეტროსპექტული გამოშვება, რომელიც ხატოვნად ასახავს ჟურნალის მიერ გამოვლილ გზას დაარსებიდან დღემდე. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ისტორია, დიდებული და ამაღელვებელი, თითოეული გვერდი გვახსენებს ძვირფას სახელებსა და სახეებს, რომლებმაც შექმნეს ქართული საბავშვო მწერლობა, ჩვენ წინ წარმოდგება დღევანდელი საბავშვო მწერლობის მთელი ჯგუფი, რომელიც ქმნის ახალ ქართულ საბავშვო ლიტერატურას და მათთან ერთად მხატვრები, ყველა თაობის ხელოვანნი, რომლებიც ალამაზებდნენ და ალამაზებენ ჩვენი ბავშვების მხატვრულ ფანტაზიას.

ვულოცავთ „დილას“ სახელოვან იუბილეს, ვულოცავთ ბავშვებს, ჟურნალის ყველაზე მთაგონებულ მკითხველებს, ვულოცავთ „დილას“ დირექტორსა და გამომცემელს, დოდო წივწივაძეს, რედაქტორს - თამარ ნინიკაშვილს, სტილისტს - მაგდა კვაჭანტირაძეს, რედკოლეგიის წევრებს - მაია დიაკონიძეს, ლალი ღაჭავას, ბელა გველესიანს, გარეკანის მხატვარს - კესო ფრანგიშვილს, მხატვარ-დიზაინერს - თეა მიქიასს, დამკაბადონებელს - ნუგზარ არჩემაშვილსა და ყველას, ვინც მონაწილეობს ჟურნალ „დილას“ წინსვლასა და განვითარებაში.

რევაზ ინანიშვილის ლიტერატურული კონკურსის ახალი ლაურეატები

2024 წლის 20 დეკემბერს, რევაზ ინანიშვილის დაბადების დღეს, რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი მეთხუთმეტედ გაიმართა. გამარჯვებულების დაჯილდოებას და ჟურნალ „ანეულის“ ახალი ნომრის წარდგენას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტმა უმასპინძლა.

ფოტო გენადი გაბოძე–ორიოლისა

გამარჯვებულები ორ ნომინაციაში გამოვლინდნენ.

სტანდარტულ ნომინაციაში პრემიები ასე განაწილდა:

I პრემია - **ნინო მანძულაშვილი** („ასული“);

II პრემია - **გიორგი პაპუაშვილი** („ჩუმი ნაბიჯების ხმა“);

III პრემია - **ქეთევან გაბინაშვილი** („ზოოპარკის ავტობუსი“).

ნომინაციაში „საბავშვო“ გაიმარჯვა **თინათინ ლომთაძემ** („ბებო“).

პრემირებული გამარჯვებულების გარდა დიპლომებით და პრიზებით დაჯილდოვდნენ საუკეთესო მოთხრობების ავტორები: **ეკა უკლება** („აღსარება“), **ნათია ჯიქურაშვილი** („მამა“), **სანდრო უსტიაშვილი** („საღოცავი ნიში“), **ნათია ლურსმანაშვილი** („ბაბუაწვერა“), **თეა ირემაშვილი** („ტყუპები და ნივილა“ - ნომინაცია „საბავშვო“).

პრიზები დააწესეს ხელოვანებმა: მხატვარმა, ესეისტმა, მრავალი საერთაშორისო გამოფენის ავტორმა და საერთაშორისო ჯილდოების მფლობელმა **რეზო (ემელიანე) ადამიამ,** ხელნაკეთი სამკაულებისა და აქსესუარების სახელოსნოს „ზილფი ჰენდმეიდის“ დამფუძნებელმა **ფატი კახნიაშვილმა**, მხატვარმა, ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიის პირველმა ნომინანტმა საქართველოდან - **ლელა ტაბლიაშვილმა**, საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების სახელით - **ბესიკ ღვინაშვილმა**.

უკვე მეოთხე წელია, რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსზე **მხოლოდ ახალგაზრდა მონაწილეებისთვის**, წახალისების მიზნით, გაიცემა ფულადი პრემია - 300 ლარი, რომელსაც აწესებს იტალიის პავიის უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების დეპარტამენტის მოლეკულური ბიოლოგიის პროფესორი, მწერალი **სოლომონ ნერგაძე.**

სოლომონ ნერგაძის პრემია გადაეცა **ნათია ლურსმანაშვილს** („ბაბუაწვერა“).

„ქართულ ლიტერატურაში შეტანილი წვლილისათვის“, დაჯილდოვდა მწერალი და პუბლიცისტი **ვანო ჩხიკვაძე**.

ჟიურის შემადგენლობა: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თემურ ჯაგოდნიშვილი** (თავმჯდომარე), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო გიორგაძე, მწერალი და ფილოლოგი ნინო არსენაშვილი, პოეტი ჯუმბერ გოგრიჭიანი (ჯუბა ღებელი).

კონკურსის დამაარსებელია თამარ შაიმელაშვილი, ჟურნალ „ანეულის“ რედაქტორი.

კონკურსის დამფინანსებელია თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. მხარდამჭერი - საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება.

იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატები

იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემიის (საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო) ლაურეატები 2024 წელს გახდნენ -

ზაზა ბიბილაშვილი და **ნინო მოდრეკილაძე** - საუკეთესო პოეტური წიგნი (პრემია გაიყო);

მაია დიაკონიძე - საუკეთესო პროზაული წიგნი 7-12 წლის პატარებისთვის;

ულიანა მესხი და **მზია მექერიშვილი** - საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი 7-12 წლის პატარებისთვის (პრემია გაიყო(;

ნინო გუგეშაშვილი - საუკეთესო საბავშვო დრამატურგია;

ნინო ქადაგიძე - საუკეთესო დებიუტი;

დოდო წივწივაძე - საბავშვო ლიტერატურაში გაწეული ღვაწლისთვის (გამომცემლობა „დილა“).

თითოეულ გამარჯვებულზე გაიცა 5.000 ლარი.

კარს ზამთარი მოდგომია...

გაზეთის რედაქტორს ესაუბრება 90 წლის გიზო ზარნაძე

„ინფორმაცია განსჯისათვის“

სინამდვილეში, 92-ისაა, მაგრამ „მწერლის ცნობარში“ შეცდომით წერია მისი დაბადების თარიღად 1934 წლის 3 მაისი.

არც უცდია შეცდომის გასწორება. პირიქით, მოეწონა კიდევაც ორი წლით „გაახალგაზრდავება“.

საუბრის დაწყებამდე „კადრს მიღმა“ გვიყვება:

სკოლამ რომ მომიწია (სხვათა შორის, მისი სწავლაც და მეორე მსოფლიო ომის დაწყებაც, ერთსა და იმავე დღეს, 1939 წლის 1-ელ სექტემბერს დაემთხვა), აგვისტოს დასაწყისში სოფელ-სოფელ დადიოდნენ საშუალო სკოლის მასწავლებლები, ცხონებული ნიკიფორე ჩხენკელი და ევსევ კორტი – სკოლაში შემსვლელი ბავშვების აღსარიცხავად. მამაჩემსაც ჰკითხეს, შენი ბავშვი რა ხნისააო. შვიდის გახდაო. ჰოდა, უყიდე დედა ენის სახელმძღვანელო და ხანდახან ჩაახედე, ასოებს მაინც გაეცნობაო. გაეცნობა კი არა, ანბანი ქართულიც იცის და რუსულიცო.

გამოიცოცხლდა რუსულის მასწავლებელი ევსევ კორტი და მეუბნება: აბა, თუ მეტყვი, პურს რა ჰქვია რუსულად და თუ დადები“, რაღა თქმა უნდა, ინდაურისასაც. მწვანილი და ფხალეულობა ხომ თავისთავად იგულისხმება.

როგორც მისი უწმიდესობა ქადაგებს, ვიძინებ დღეს, ვიღვიძებ ხვალ.

ოცდახუთი წელიწადია, სათრობად არ ვსვამ არც ღვინოს, არც არაყს.

სადილობისას მივირთმევ ერთ ჭიქა წყალგარეულ ნატურალურ საფერავს, რომლითაც ყოველ წელიწადს მანებივრებს ჩემი მანაველი ნათლიმამა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტებგამოვლილი, შესანიშნავი ოჯახის პატრონი, ზვიად ზურაბის ძე ფეიქრიშვილი...

რედაქტორი: – ზემოთ თქვენ ახსენეთ, პაწაწინა თევზებს მდინარე ჩხარაში ვიჭერდიო. ჩხარაში თუ ჩიხურაში?

გიზო ზარნაძე: – არა, ჩიხურაში აკაკი წერეთელი იჭერდა. სხვათა შორის, სხვებსაც უკითხავთ მაგრე (ჩხარა ჩიხურაში ეშლებათ) და ერთხელაც არავის შეშლია გიზო ზარნაძე აკაკი წერეთელში.

ყმაწვილკაცობაში, პირველი სიყვარულის ჟამს, ვის არ წასცდენია კალამი ლექსების თხზვად. გეხსომებათ, ალბათ, ზურიკელა ვაშალომიძის „ღამე არის მთვარიანი, თოვლიანი, ქარიანი, მიყვარს ქალი ხალიანი...“ და ა. შ. გამონაკლისი არც დღევანდელი იუბილარი ყოფილა კი არადა, ლამის პოემებსაც შებმულიყო, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, განგებას მისთვის ალღოიანობის იშვიათი უნარიც დაუყოლებია და დროულად უგრძნია: რუსთაველის, ვაჟას, გალაკტიონის მშობელ ქვეყანაში, ლექსების თხზვა „არიოლ-რეშკას“ თამაში არ იქნებოდა.

ალღოიანობასთან ერთად, მომავალ მწერალს, ასევე, თანდაყოლილი იუმორის გრძნობაც გვარიანად ეხმარება.

ამას წინათ მიყვებოდა: მეექვსე თუ მეშვიდე კლასში ვიქნებოდი, „ლიტერატურულ საქართველოში“ რომ წავიკითხე გალაკტიონ ტაბიძის წერილი – დეპეშა ერთ-ერთი თანამოკალმისადმი, ბათუმიდან დედაქალაქში გამოგზავნილი: „წავიკითხე შენი ახალი ლექსის გოლცევისეული თარგმანი, შესანიშნავია! მე რომ შენ ადგილას ვიყო, ვათარგმნინებდი ვინმეს ქართულად“-ო.

მაშინ არ მესმოდა, რას ნიშნავდა სატირული ირონია, მაგრამ, რატომღაც ძალიან მომეწონა და მიკვირდა, თანაკლასელმა ბიჭებმა რომ მხრები აიჩეჩეს – რა არის აქ სასაცილოო.

სასიყვარულო ლექსებს მაინც უთხზავდა მორიგ შეყვარებულს, თუმცა, ისიც შეგნებული ჰქონდა, რომ ის ლექსები, დიდ-დიდი, საალბომო თუ იყო („თვალების კვდომამ დამიგო მახე, იქ, იმ პატარას თვალების კვდომამ და სიყვარულიც პირველად ვიგრძენ, ნორჩი თითების უცადი ტყდომაც“).

ძალიან დიდი ხნის მერე, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის ტალღა აგორდა და ის უკვე ორმოცდაათს გადაცილებული, ტელევიზიის ლიტერატურული პროგრამების განყოფილების გამგე გახლდათ, ერთხელ, პრივატული საუბრისას, შოთა ნიშნიანიძეს წაუკითხა ეს ლექსი და იმან – მერე, რატომ არ იბეჭდებოდიო?! არ მინდოდა, „ისე რა პოეტი“ მრქმეოდაო. შოთამაც კვერი დაუკრა, ო, რავარი პრაგმატიკოსიც ყოფილხარო!

მართლაც, ყოველთვის და ყველაფერში გამოირჩეოდა კიდევ ერთი საშური თვისებითაც – აუწონელი სიტყვითა თუ მოუზომელი ნაბიჯით არავისთვის (სხვათა შორის, არც საკუთარი თავისთვის!) არ შეებღალა ღირსება. „შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა, განა სუყველას სმა უნდა“-ს დევიზით არის აღბეჭდილი მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრებაც და ლიტერატურული მოღვაწეობაც.

ამიტომაცაა, რომ, ხატოვნად რომ ვთქვათ, თავგადადებული პირადი მტერი თავის დღეში არ ჰყოლია.

ბუნებრივია, წელთა სვლა საღსალამათს არავის ტოვებს და მასაც გვარიანად აწუხებს ქრონიკული ტროფიკული წყლული ფეხზე და ხერხემლის გამრუდება, მაგრამ, სამაგიეროდ, არ აწუხებს წნევები, უმადობა, გული, უძილობა; შენარჩუნებული აქვს ნათელი გონება (ზეპირად ახსოვს ახლობლების ტელეფონის ნომრები და ა. შ.).

გვიმხელს: „მხედველობის გაუარესების (კატარაქტა) გამო ცოტას ვკითხულობ, მაგრამ, როცა წავაწყდები ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს, როგორიცაა: შური, ჭორი, შუღლი, ხარბი, ქვეშქვეშა, მლიქვნელი და მისთანანი, ვიშველიებ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“.

ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, 1965 წელს, გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოცხადებულ დახურულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და მისმა ვრცელმა მოთხრობამ („ჩემი ყავარჯნიანი მამა“) პირველი პრემია დაიმსახურა (1200 მანეთი), მაგრამ გამომცემლობის ახალდანიშნულმა დირექტორმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: წიგნი გამოვუცეთ, ხოლო, რაც შეეხება ფულად ჯილდოს, მეტი საქმე არა მაქვს, ძველი დირექტორის (ხუტა ბერულავა) მიერ წინდაწინ შერჩეულ ავტორებს ფულები ვუხადოო.

თუმცა, მოგვიანებით, როდესაც გიზო ტელევიზიაში მიიწვიეს ლიტერატურულ გადაცემათა რედაქტორად და „ცისფერ ეკრანზე“ ზედიზედ გამოჩნდა გახმაურებული გადაცემები (მაგალითად, „თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ“ დღესაც „ოქროს ფონდში“ ინახება), ბატონმა კონსტანტინემ ორიგინალურად სცადა ადრე „დასჯილი“ კონკურსანტისთვის „ზარალის“ ანაზღაურება: მიიწვია გამომცემლობაში და შესთავაზა „ლიტვური ხალხური ზღაპრების“ ათთაბახიანი წიგნის თარგმნა, საიდანაც სამი თაბახი თარგმნილი ჰქონოდათ.

სასინჯად ერთი სამგვერდიანი ზღაპარი მისცა, ვნახოთ, როგორ თარგმნიო.

ახალმა მთარგმნელმა ბატონ კონსტანტინეს სთხოვა, იმ თარგმნილი სამი თაბახიდან ერთი ზღაპარი მაინც გამატანეთ, ზღაპარი არასოდეს მითარგმნია და დავკვალიანდებიო. სამივე თაბახი გაატანა.

და აი, სეირი!

გიზო ჰყვება: ინკოგნიტო მთარგმნელისგან თარგმნილ პირველსავე ზღაპარს, ცოტა არ იყოს, მეტად ბაქიბუქიანი სათაური აღმოაჩნდა – „ვმდიდრდები და ღმერთმა ხელი მომიმართოს“-ო (?!). რაღა ეს და რაღა – „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ“!

როგორც ჩანს, მთარგმნელს არსებითი სახელი „богатею“ ზმნად მიუჩნევია (დედანშია „Так богатею и надо“), რატომაა ქართულად „ღმერთმა ხელი მომიმართოს“, ამაში ეჭვიც არ შეჰპარვია. არადა, შინაარსის მიხედვით, ზღაპარს უნდა რქმეოდა – „ახია ბობოლაზე“.

ვიცი, მკითხველი დაინტერესდება, ვინ იყო მთარგმნელიო, მაგრამ, მოდი, თან წავიყოლიებ ამას, „იქ“ რომ პირნათელი შევხვდე.

გამოხდა ხანი და, თურმე, არანაკლები კურიოზი წინ ელოდა. მოვუსმინოთ იუბილარს: „როგორღაც ისე აეწყო, რომ სულ დისიდენტ მწერლებს ვთარგმნიდი. სტუდენტობისას ვცადე ბედი და იმხანად მეტად გახმაურებული, შემდგომში ემიგრანტი მწერლის, ვასილი აქსიონოვის მოთხრობა „Папа, сложи!“ ვთარგმნე და ალმანახ „პირველ სხივში“ გამოვაქვეყნე. ნამუშევარი თვით პროფესორმა დიმიტრი მგელაძემ მოიწონა და, გულმოცემულმა, ჭაბუკობისდროინდელ ოცნებასაც შევბედე – მიხაილ ზოშჩენკოს პოპულარული მოთხრობების თარგმნას შევუდექი.

ცხრაას ორმოცდაექვსში დახვრეტას ძლივს გადარჩენილი მწერლის ამ მოთხრობებს სვენებ-სვენებით, ანუ ხანგამოშვებით ვთარგმნიდი, შიგადაშიგ კი, სხვა რუსულენოვან მწერლებსაც „ვაკითხავდი“. მათ შორის, პარტიისგან შერისხულ და მწერალთა კავშირიდანაც გარიცხულ ირინა გრეკოვას („შესასვლელს მიღმა“); არც იატაკქვეშური გამოცემის, ალმანახ „მეტროპოლის“ სახელქებული ავტორის, ფაზილ ისკანდერის შემოქმედება გამომრჩენია მხედველობიდან („შჩააბან ლარბა, ანუ ხელჩინკა“) და ეს ჩემი ფოტოსურათიც იმდროინდელია. შეუძლებელი გახლდათ იუმორსა და სატირასთან ეგზომ წილნაყარი მწერლების თარგმნა ღიმილის გარეშე.

რაც შეეხება ჩასაფრებულ კურიოზს. 1946 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცეკას მდივნის იდეოლოგიის დარგში, ამხ. იური ჟდანოვის მოხსენება გამოქვეყნდა ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ.

მოხსენებაში სასტიკად იყვნენ გაკრიტიკებულნი სახელოვანი მწერლები ანა ახმატოვა და მიხაილ ზოშჩენკო. კერძოდ, მიხაილ ზოშჩენკოს შესახებ მომხსენებელი ხაზგასმით ბრძანებდა: „ეს ეგრეთწოდებული მწერალი, ზოშჩენკო, გამოთქვამს თავისი მოთხრობის მეშვეობით ისეთ აბსურდს, თითქოს საბჭოურ საზოგადოებაში მხეცსაც კი არ ეცხოვრებაო“! („მაიმუნის თავგადასავალი“).

სხვათა შორის, ეს მოხსენება იმავე წელს ბროშურადაც გამოიცა და სკოლებშიც ასწავლიდნენ.

მაშინ, აბა, ისეთი რუსული საიდან მეცოდინებოდა, დედანში წამეკითხა „პრიკლიუჩენია ობეზიანკი“, მაგრამ გული მიგრძნობდა, რომ ბოლშევიკური იდეოლოგიის „ბოსი“ უსაფუძვლოდ ეშარებოდა მწერალსო.

რედაქტორი: – მაინც, რა კურიოზს წააწყდით მიხაილ ზოშჩენკოს საბავშვო მოთხრობის „მაიმუნის თავგადასავლის“ თარგმნისას?

გიზო: – რანაირ კურიოზებს არ გადავყრილვარ თარგმანებთან დაკავშირებით, ვთქვათ, „Алжирская Сахара“, „ალჟირული შაქარი“, ან კიდევ „Франко-итальянские отношения“ – „ფაშისტ ფრანკოსა და იტალიის ურთიერთობანი“, მაგრამ კურიოზიცაა და კურიოზიც...

ზოშჩენკოს მოთხრობა ასე იწყება: „ვოდნომ გოროდე, ნა იუგე, ბილ ზოოლოგიჩესკი პარკ“. ეს მარტივი წინადადება მთარგმნელს ასე გადმოუქართულებია: „ქალაქის სამხრეთ ნაწილში ერთი ზოოპარკი იყო“. საიდან მოიტანა ეს „ქალაქის სამხრეთი ნაწილი“, ალაჰმა უწყის.

რედაქტორი: – მიუხედავად ასეთი კურიოზული შემთხვევებისა, საბჭოურ ხანაში მაინც ხერხდებოდა სოლიდური ნაწარმოებების ჩინებულად თარგმნაც და გამოცემაც, არა?

გიზო: – რაღა თქმა უნდა, მაგრამ მაინც უხერხულად აღიქმებოდა, ვთქვათ, ზოშჩენკოს ასეთი მთარგმნელისა და ბატონი შალვა ნუცუბიძის „კოლეგებად“ მოხსენიება!

რედაქტორი: – თქვენს „ბიოგრაფიულ ნოველებში“ და, განსაკუთრებით, მეტად საინტერესო საყმაწვილო მოთხრობაში „ტატიაშო“, რომელიც უკვე ხანდაზმულ ასაკში დაწერეთ, მკითხველს აოცებს თქვენი მეხსიერების სიცხადე, როდესაც ამა თუ იმ ეპიზოდს დეტალურად ჰყვებით.

რას ვერ შელევიხართ „მეხსიერების ყულაბიდან“ და რა მიგაჩნიათ თანამედროვეობის მტკივნეულ პრობლემად?

გიზო: ეს იმოდენა სიგრძე-სიგანის შეკითხვაა, თუკი ყველაფერზე ამომწურავად გიპასუხებთ, დიალოგიც დასრულდება.

თქვენი ნებართვით, ცოტას წავიფილოსოფოსებ.

დავიწყებ იმით, რაც მთელი ზაფხული ყველას ენაზე გვეკერა – ფეხბურთში ევროჩემპიონატით. შედეგი დიახაც გრანდიოზულია და ნურავის მოეჩვენება, რომ ზედმეტი პომპეზურობით აღნიშნა ქართველმა ხალხმაც და ხელისუფლებამაც.

იქნებ, ყველას არ მოეხსენებოდეს, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის შუახანს, ბერტოლდ ბრეხტმა დაწერა, თანამედროვე ფეხბურთის მატჩი მიკროომიაო.

წლევანდელი „ომიდან“ ჩვენს ღირსეულად გამოსვლას ვზეიმობთ, მაგრამ, კაციშვილი ან არ, ან - ვერ ასაბუთებს, რა ღირსეულობაზეა ლაპარაკი!

წლების წინათ საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ჟისკარ დ'ესტენმა საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს საზეიმო შეხვედრა მოუწყო, რომელზეც ქვეყნის სახელოვანი პიროვნებებიც მიიწვია; მათ შორის, ალენ დელონი. სახელგანთქმულმა მსახიობმა უარყო მიწვევა, სადაური ეროვნული ნაკრებია, რომელშიც ორად ორი ფრანგი, ერთი სომეხი და შვიდი შავკანიანი თამაშობენო.

საქართველოს ნაკრები ჭეშმარიტად ეროვნული გუნდია და, ადრე თუ გვიან, ამას ყველა გააცნობიერებს, – შინაურიც და გარეულიც.

რედაქტორი: – და, რას გააცნობიერებს, მკითხველისთვის რომ უფრო გასაგები იყოს, ამ შემთხვევაში, პრობლემა რაშია?

გიზო: ცხოვრება მცირე და დიდი სასწაულების ჯამია. სიმბოლურად მიმაჩნია ჩვენი ნაკრების ჭეშმარიტად ეროვნულობა. ამით ჩვენმა მცირერიცხოვანმა ერმა გლობალისტ-ელგებეტელებისტებს აგრძნობინა, რომ ამაოა მათი მცდელობანი, რათა კაცობრიობას ფაშისტური ნეოლიბერალიზმის ეპიდემია შეეყაროს და ჰომოსაპიენსი მაიმუნად აქციონ.

რედაქტორი: – მაგრამ ეროვნულობის ასეთი ხაზგასმული მოთხოვნის გამო, ვაითუ რასობრივი დისკრიმინაციის მომთხოვნებად გამოვჩნდეთ იმავე ნეოლიბერალთა თვალში?

გიზო: – ერს, რომლის დედაქალაქის სულ რაღაც სამასიოდე კვადრატულ მეტრ ფართობზე სამი ფუნდამენტური რელიგიური სალოცავი აქვს, „დისკრიმინატორად“ ვერ შერაცხავ...

რა თქმა უნდა, გეხსომებათ შოთა ნიშნიანიძის ლექსი: „სტუმარს არათუ პატივი ვეცით, აქ ყველა მასპინძელივით ცხოვრობს, მაგრამ დედის რძე, ბუნების წესით, შვილებს ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ!“

რედაქტორი: – კარგია, რომ ჩვენს „ორბიტაზე“ დავბრუნდით. როგორ არ მახსოვს, მაგრამ არც ის დამვიწყებია, ფაშისტურ იდეად რომ ჩაუთვალეს ეროვნული იდეის ავის მსურველებმა.

გიზო: – აბა, რისი ავის მსურველები იქნებოდნენ! საქმე ის არის, რომ დღეს აღარც ისინი ჩანან და, სამწუხაროდ, აღარც პოეტი, მაგრამ აქ არანაკლებ საშიშროებას ვაწყდებით, როგორც მეორე მეოცესაუკუნელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, წერს: „პატრონი უნდა კლარჯეთს, ტაოსაც, პატრონი უნდა ვეფხისტყაოსანს!“

ჩვენდა სავალალოდ, ქართველობა წლითიწლობით ვმცირდებით. ვინ უპატრონოს?!

ცნობილი დემოგრაფი ანზორ თოთაძე წერს: ეგრეთ წოდებულ „მჟავანაძის პერიოდში“ ყოველწლიურად იბადებოდა 70-80 ათასი ბავშვი. სულ რაღაც ოც წელიწადში ეს რიცხვი 50 ათასამდე შემცირდა. თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში – 20 ათასამდე დავა. ეს კი ერის სუიციდს მოასწავებს, რადგან ამ ოცი ათასსაც ეკონომიკურად განვითარებულ, მაძღარ საქართველოში სერვისის ინდუსტრია შეისრუტავს. გა-დავ-შენ-დე-ბი-თო!

რედაქტორი: – უდავოდ არასახარბიელო პერსპექტივა გველოდება, თუ რაიმე განსაკუთრებული კანონები არ მივიღეთ...

გიზო: – მოდი, კარგი ენის ვიყოთ და, თუ ხელისუფლება ისე, „სპორტული ინტერესის“ გამო, თვალს მაინც გადაავლებს ჩვენს ნაუბარს, ხომ კარგი, თუ არადა, დარჩეს ჩვენი გულისთქმანი „ხმად მღაღადებლისად...“

იქნებ, ზედმეტს ვიღებ ჩემს თავზე, მაგრამ უთქმელობაც არ შემიძლია. მშვიდობასა და ეკონომიკურად წელგამართულ ცხოვრებას რა სჯობს, მაგრამ, სულიერადაც რომ გაძლიერდეს საზოგადოება, ქვეყნის სუვერენიზაციას უფრო წაადგება.

ვერაფრით ვერ ვხვდები, რატომ არის ხელისუფლება გულგრილი დიდი დავით აღმაშენებლის „ავტოინსპექტორად ჩამოლაბორანტობაზე“. ვისი ან რისი გვერიდება, როდესაც (გულწრფელი მადლობა ამისთვის ხელისუფლებას!) მთელ ევროკავშირსაც და „ძია სემსაც“ უსაყვედურა „თითის ქნევანი“, „ვინ დამადუმოს, რამ დამადუმოს, ნადიდგორალი, ნაშამქორალი?!“

ჩვენი დროის უდიდესი ხურიოთმოძღვარი, ბატონი მერაბ ბერძენიშვილი, ვთქვათ გულახდილად, დავითის ძეგლის დემონტაჟმა წაიტანა თან. არანაკლებ დღეშია ძეგლის თანაავტორი, მსოფლიო დონის არქიტექტორი და შესანიშნავი პუბლიცისტი, ბატონი **ვახტანგ დავითაია**, რომელიც ოთხმოცდაათის გახდა და, რა ვიცი, როგორც იტყვიან, ხალხნი ვართ. ღმერთმა დიდხანს გააძლებინოს!

რედაქტორი: – მართლაც საოცარია, რატომ დუმს, ამ მხრივ, ვთქვათ, დედაქალაქის მერია...

გიზო: – წეღან დემოგრაფიულ კრიზისზე ვცადეთ საუბარი. კაი 36 წლის ყაზილარი გახლდით, როცა დავქორწინდი. რა მიშლიდა ხელს? ყველაფერზე მეტად, – უბინაობა! დიდი გალაკტიონი ჩემზე „ტონკად“ გეცოდინება: „მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“... სხვათა შორის, „ინტელექტუალურ ჭორად“ მსმენია, როცა ამ ლექსის პწკარედი ბორის პასტერნაკისთვის გაუცნიათ, სერიოზულად უკიხავს, „პრიჩომ ტუტ კვარტირა?!“-ო.

პირველად და უკანასკნელად ვინატრე მაშინ უცხოელობა: ნეტავი, მეც ჩეხოსლოვაკიელი ვიყო-მეთქი. იმ გაგანია კომუნისტურ ხანაში ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ საოცრად ეფექტური კანონი მიიღო: უბინაო წყვილს, დაქორწინების შემთხვევაში, ქორწინების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად, ბინის ორდერსაც აძლევდნენ.

დღეს ბინის ფულის საშოვნელად ახალგაზრდობა საზღვარგარეთ მიდის და ისედაც მცირერიცხოვან ერს მუშახელი აკლდება. როგორღა გავმრავლდებით?!

რედაქტორი: – სოციალური პრობლემები ნამდვილად გვაქვს და ამის უარყოფა ვის შეუძლია! მაგრამ ჩვენი საუბარი პოლიტიკოსების სჯა-ბაასს რომ არ დაემსგავსოს, ვცადოთ და კვლავ ჩვენს „ორბიტაზე“ დავბრუნდეთ...

გიზო: – წიგნად გამოცემული ჩემი მოთხრობა „ტატიაშო“ ახსენეთ წეღან...

რედაქტორი: – ადრეც მითქვამს შენთვის და ახლა მკითხველისთვის ვიმეორებ: ვინიცობაა, რომელიმე გამომცემლობამ ითავოს და ათი საუკეთესო საყმაწვილო მოთხრობის კრებული გამოსცეს, შენს „ტატიაშოს“ ნამდვილად გვერდს ვერ აუვლის...

გიზო: – ჰო, ბიჭებმაც მიქეს, ლაღად იკითხებაო; თუ შევძელი, შესამატებლის მეტი რაა! და, შესაძლოა, სულაც, რომანს დაემსგავსოს, საყმაწვილოს.

რედაქტორი: – რა შეძლება უნდა, „შტანგა“ ხომ არაა! შენც, ადექი და, სცადე. მოდურად რომ ვთქვათ, შენი რა მიდის?

გიზო: – დარჩენილი ორიდან „ერთი პარასკევი“. ხუმრობა იქით იყოს და, მე, ამ მხრივ, „ბიოგრაფიული ნოველა“ მირჩევნია.

რედაქტორი: – საერთოდ, თანამედროვე მკითხველს გამონაგონი და ლიტერატურული პერსონაჟი ნაკლებად იზიდავს. არანაირი „ცნობიერების ნაკადი“. ჩემი აზრით, ვიდრე მწერალი მკითხველისგან ნდობის ვოტუმს არ დაიმსახურებს, მანამდე არც უნდა სცადოს ბიოგრაფიული რომანის დაწერა; მაგრამ საუკუნეს მიღწეული ადამიანის ცხოვრებაში, ბუნებრივია, არაერთი კოლიზიური მომენტი იქნებოდა, მაგრამ, შენ რომ მწერალი გქვია, არ უნდა ეცადო მოვლენების ახლებურად რეპრეზენტირებას, მკითხველს ზუსტად, იმპულსურად უნდა აგრძნობინო ის განცდა, რომელიც მაშინ შენ თავად გეუფლებოდა.

გიზო: – პირობითად, ბიოგრაფიული რომანი იგივეა, რაც მემუარი, ოღონდ, მხატვრულ-დოკუმენტური აღსარების დარი.

მაგალითად, რომელი ჩვენგანი არ წაიკითხავდა, თანაც დიდი სიამოვნებით, ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, ბორის პასტერნაკის, ანა ახმატოვას, მიხაილ ბულგაკოვის, ერნესტ ჰემინგუეის, ბერნარდ შოუს და სხვათა ბიოგრაფიულ რომანებს.

ასეთ ბუმბერაზებთან მე, საერთოდ, რა შუაში ვარ, მაგრამ არის ერთი მომენტი: ჩემი პატარა სამყაროდან რაც მინახავს და რასაც შევსწრებივარ, რაც თავს გადამხდენია და სამუდამოდ სულს დამჩნევია, რისი მოწმენიც აგერ-ეგერ თუ შემორჩენილან, ამაზე ვწერ და ვცდილობ, ბოლომდე ობიექტური ვიყო.

რედაქტორი: – გასაგებია, რომ მკითხველის ნდობის ვოტუმი ყველა ავტორს თანაბრად ვერ ექნება. თუმცა, მკითხველის გემოვნებაზეც, უკეთ, ინტელექტის დონეზეც, არის დამოკიდებული ეს პრობლემა.

გიზო: – მეც სწორედ მაქეთკენ მოვდივარ. მხატვრული ნაწარმოები და მკითხველი, ცალ-ცალკე, იგივეა, რაც – პიესა და მაყურებელი. სპექტაკლი არის მსახიობების მიერ განსახიერებული პიესა და მაყურებლის თანაგანცდა. ასეა რომანი და მკითხველიც; ნაწარმოების წარმატება–წარუმატებლობა მკითხველის ინტელექტზეცაა დამოკიდებული. თუმცა, რაებს გელაპარაკები, ეს შენთვისაც ანაბანაა.

რედაქტორი: – ტრადიციულ შეკითხვას დაგისვამ, თორემ ძალიან გაგვიჭიანურდება დიალოგი. რაზე მუშაობ ამჟამად?

გიზო: – მე მეგონა, იმას მკითხავდი, ასეთ ციებ-ცხელებაში სად აპირებ დასვენებასო, მარა, მასე სადაა, ძამა, – როგორც ტარია იტყოდა.

თუ დამცალდა, იქნებ, „ტატიაშოს“ გარდა, „ბიოგრაფიული ნოველების“ ციკლიც დავასრულო, რომელსაც ერთი სათაურის ქვეშ მოვაქცევ – „მე მჯერა სასწაულების“.

რედაქტორი: – დაგცალდება, ას წლამდე მთელი შვიდი წელიწადია. რას იტყვი, მგონი, ვუახლოვდებით დასასრულს, არა?

გიზო: – სამყაროსას?

რედაქტორი: – ღმერთმა გვაშოროს და პირი ქვისკენ მიქნია! - დიალოგისას.

გიზო: – კი ბატონო, ჩვენს ხელთ არაა? ისე, ყბადაღებული „ორი პარასკევიდან“ (ცხონებული ალექსი ჭინჭარაულის გაგებით), ერთი უკვე დამიღამდა და, რახან მეორეც რიგშია, ფაცხაფუცხით უნდა ჩამოგიკაკლო, რაზედაც ხშირად მიფიქრია და, ან ვერ გამიგია, ან მივმხვდარვარ, მაგრამ გულწრფელად გამკვირვებია.

მაგალითად, თითქოს ყველანი შევჯერებულვართ და ამაყად ვიმეორებთ ხოლმე ილია მართალის ტრიადას: „მამული, ენა, სარწმუნოება“, მაგრამ სათანადოდ ვერც მამულისთვის მოგვივლია, ვერც ენა დაგვიცავს ათასი რჯულის ბარბარიზმისა და სარეველასაგან.

რედაქტორი: – ბარემ, ერთიც. იქნებ, გაგეხსენებინა ისეთი ფაქტი, რომელსაც კი შესწრებიხარ და კიდევაც გაგიცნობიერება, მაგრამ გაგკვირვებია?

გიზო: – ტანი მიგრძნობს, ვუახლოვდები ცაიტნოტს. ცდით მაინც ვცდი, თუმცა ამ კონკრეტულ შეკითხვაზე პასუხს ბოლოსთვის შემოვინახავ.

დავიწყებ იმით, რაც, უპირველესად, ჩვენ, „კალმის ხალხს“, უნდა ხელგვეწიფებოდეს, – მშობლიური ქართული ენით. არის ქართულში ერთი სიტყვა, რომელსაც ძალიან ხშირად მცდარი მნიშვნელობით იყენებენ ხოლმე. მაგალითად: „ამ ხარატს ხელეწიფება ცვლაში 25 ხელჯოხის გამოჩარხვა“, ანუ „უფლება აქვს“, „ნება აქვს“, „შეუძლიას“ ნაცვლად, რაც აბსურდია. რის უფლებაზე თუ ნებაზეა საუბარი?!

შემდეგ, შეცდომაა „მამაო“-ს გამოყენება „მღვდლის“, „მოძღვრის“ ნაცვლად. თუ იცი მოძღვრის საერო სახელი (ვთქვათ, „მიქაელი“), მაშინ უნდა ვთქვათ, „მამა მიქაელი მობრძანდება“, თორემ, რა გამოდის, ერთი მხრივ, უპირველეს საღვთო ლოცვაში უზენაესს მივმართავთ, „მამაო ჩვენო“ და რიგითი ღვთისმსახურიც „მამაო“ ყოფილა?!

ამ ბოლო ხანს (რაც მოსალოდნელიც იყო), „დედაოებიც“ გამოჩნდნენ. ამ შემთხვევაშიც „მამა მიქაელი მობრძანდება“-ს ანალოგიურად, უნდა ვთქვათ „დედა თამარი“, „დედა ელენე“ და მისთ.

თუ უარესი არა, უხერხული შეცდომაა „საშვის“ გამოყენება მეტყველებაში. ნამდვილად გვეუხერხულება იმის გამეორება, რასაც ეს სიტყვა ნიშნავს. არა „საშვი“, არამედ – „საშვები“!!

იქნებ, მავანმა იკითხოს: კი, მაგრამ, „საშვთა ბიურო“ თუ არსებობსო?!

ქართულ ენას ორი სახის მრავლობითი რიცხვი აქვს – ებ-იანი და ნარ-თანიანი.

რედაქტორი: – ყურადსაღები მაგალითებია იმისა, თუ რაოდენ ფუქსავატურად ვეპყრობით ჩვენს დიდებულ განძს, მშობლიურ ენას. თითქოს ხელოვნურად ვაკნინებთ მას.

ცხონებული კახი კავსაძის აწ უკვე „საუკუნის კითხვად“ დამკვიდრებული ფრაზით რომ შემოვიფარგლოთ, – „გვეშველება რამე?!“

გიზო: – ძვირფასი კახის ამ შეკითხვას, ძნელია, დამაჯერებლად უპასუხო; ყოველ შემთხვევაში, იმედი უნდა ვიქონიოთ, მაგრამ მარტო ღვთის იმედადაც არ უნდა დავრჩეთ, – ხელი გაანძრიე და გიშველიო!

რა უნდა გვეშველოს, როცა პრიმიტიულ დონეზეა დაყვანილი სასაუბრო, მათ შორის, სარეკლამო მეტყველება. მივმართავ ქართველ ენათმეცნიერთ: იწამეთ ღმერთი და ამიხსენით, რას გვეუბნება ასეთი ანტისარეკლამო რეკლამის ტექსტი: „ნაწარმოები შეიცავს თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარისა და მოწყობილობის მოხმარებას“.

ხანდახან ამ ანტირეკლამას ასე ამთავრებენ ხოლმე: „ნუ აიძულებთ ბავშვებს, ისუნთქონ თქვენი კვამლი!“ ვთქვათ და, მე ვარ მწეველი. რა, კრემაცია უნდა გამიკეთონ?! სხვანაირად ჩემგან კვამლი ვერ მიიღება.

ერთხელ ასეთ წინადადებას წავაწყდი: „ჩოფურამ ჯიბიდან სიგარეტის ყუთი ამოიღო, ამოაკლო ერთი ღერი, მოუკიდა და იქაურობა მწკლარტე კვამლით აივსო“.

ხომ წარმოგიდგენიათ, რამოდენა ჯიბე ექნებოდა იმ ჩოფურას, რომ სიგარეტის კოლოფი კი არა, მთელი ყუთი დაუტევია შიგ!

კარგია, რომ არსებობს წინა ხელისუფლების მიერ დაარსებული ტელეარხი. ეს დემოკრატიის ნიშანია, ვთქვათ, იგივე „არტარეა“. ასევე, კარგია, რომ არსებობს და ფინანსდება ლიტერატურული ჟურნალები, მაგრამ ცუდია, რომ არ ფინანსდება „ლიტერატურული საქართველო“, რომელიც, დაფინანსებულ ჟურნალებთან ერთად, სრულყოფს საერთო სურათს. ასევე ცუდია, რომ „არტარეასთან“ ერთად, არ არსებობს კულტურის სფეროს მომცველი, ასევე დაფინანსებული ტელეარხი, ვთქვათ, „კულტურა“.

სულ ახლახან გამოვიდა ვანო ჩხიკვაძის ბრწყინვალე საყმაწვილო ლექსების კრებული „გაუმარჯოს, გაუმარჯოს!“; რომ არსებობდეს არარსებული „კულტურა“, ამ კრებულიდან ორიოდე ლექსის მიწოდებით, კრებულს მასობრივი მკითხველი გაუჩნდებოდა.

რაც შეეხება ბოლო „აკორდს“, 90-იანი წლების დასაწყისში ტელევიზიით გამობრძანდა ცნობილი ისტორიკოსი, ცხონებული ლევან სანიკიძე, რომელმაც „შეგვახსენა“, რომ ქართველებს ვერავინ დასწამებს ტოლერანტობის უქონლობას, რადგან მთელი ორი საუკუნე, თბილისის მთავარ მოედანს მეზობელი სომხეთის დედაქალაქის სახელი – „ერევანი“ – ერქვაო.

ცოტა არ იყოს, „მემწუთხა“ ასეთი განმარტება, რადგან მცდარი ინფორმაციაა!

საქმე ის არის, რომ რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ I-ის „უკაზით“, სომხეთის დედაქალაქის, ერევნის სპარსელთაგან გათავისუფლებისათვის რუს გენერალ პასკევიჩს „გენერალ პასკევიჩ-ერივანსკის“ ტიტული ებოძა და, ვინაიდან გენერალი პასკევიჩი 1830 წელს კავკასიაში მეფისნაცვალად დაინიშნა, თბილისის მთავარ მოედანს მისი სახელი ეწოდა.

ქართველებს გვიმძიმს შორი გზით სიარული. ამსიგრძე სახელწოდებით მოედანსაც ნელ-ნელა ჩამოვაცილეთ ჯერ სიტყვა „გენერალი“ (ანუ დარჩა „პასკევიჩ–ერევანსკი“), მერე „ვანსკიც“ მოაცილეს (ჯვარი სწერია ჩვენს „ვანსკის“!) და დარჩა — ერევნის მოედანი.

ამით როდი დასრულდა პასკევიჩის გვარის „ხათაბალა“.

ერთმა ცნობილმა ენათმეცნიერმა ქალბატონმა, ერთხელ პრესაში „პასკევიჩ–ერევანსკი“ „პასკევიჩ-ერევნელად“ მოიხსენია და ესეც გვარიანი კაზუსია, რადგან ტიტულიანი გვარი, ანუ მინიჭებული წოდება, არ ითარგმნება, ხოლო ხალხისგან მინიჭებული – ითარგმნება. ვთქვათ, დავით აღმაშენებელი – დავიდ სტროიტელ, ალექსანდრ ნევსკი – ალექსანდრე ნეველი.

ნათქვამია, მეტისმეტმა წაყრუებამ თავს ნაცარი დამაყარაო.

როდესაც ამის თაობაზე რეპლიკა გამოვაქვეყნე, იმ დღიდან მოყოლებული, ქართველ მწერალთა სიიდან იმ ქალბატონის ბრძანებით „ამომიღეს“. ამაზე კარგად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ, თავისთავად მშვენიერ გამოცემაში: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქცია „წყაროების შემოკლებათა განმარტება“-ში ერთი სიტყვაც ვერ მოიძებნა ჩემი ავტორობით გამოსული 15-იოდე წიგნიდან!

„მიდიოდა რა ჩვენგან“-ის პრინციპით მოღვაწეობა ყოველთვის როდი ისახავს კეთილშობილ მიზნებს!

„ამბიცია“, თავისთავად, კარგი რამაა, მაგრამ ზომიერებას მოითხოვს: როგორც ღვინოა ზომიერად სასარგებლო, ხოლო უზომოდ – საზიანო, ასევეა ამბიციაც.

ესეც ჩემი „მეორე პარასკევი“.

ღვაწლი – კეთილად შობილი და აყვავებული

განსაკუთრებულ, გონსა და სულითმეტყველ განსჯას თუ შესწევს ძალა და უფლება, აღიქვას და სხვებსაც შეამეცნებინოს თანამედროვე საქართველოს ჭეშმარიტი პროტაგონისტის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ფენომენი...

თუმცა, დარწმუნებული ვარ, ყოველი ცდა მაინც უკმარისობის შეგრძნებას თუ აღძრავს, რადგან, თითქმის შეუძლებელია ონტოლოგიური წვდომა ამ რანგის საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის საკრალური ინდივიდუალობისა...

ეს მოკრძალებული ეგრეთ წოდებული ესსეიც, ოდენ მხოლოდ მკრთალი სილუეტია ქართველი ერის კიდევ ერთი მარადიული სულიერი თანამგზავრისა...

ცნობილია, რომ ქრისტიანობამ, როგორც უნივერსალურ ჭეშმარიტებათა სათავემ და სუბსტანციამ, უმძლავრესი იმპულსი მისცა ადამიანის ჰუმანიზაციას, მის იდენტობასა და თავისუფლებას... ამ ფუნდამენტური მორალური და ეთიკური ღირებულებებითაც გაცხადდა მისი პრაქტიკულ–ეგზისტენციური და გონებაჭვრეტითი (მეტაფიზიკური) არსი და ბუნება...

ამ პლანეტარულ სიქველეთა, ღვთისა და ღვთისმეტყველთა სიტყვისა და საქმის საქადაგებლად, მათ განმავრცელებლად დაადგინა უფალმა უწმინდესი და უნეტარესი...

უმძიმესია ტვირთი მისი, მით უმეტეს დღეს, დესტრუქციული ვნებებით შეპყრობილ, დეზორიენტირებულ და ლამის სრული შემოქმედებითი სიბერწისაკენ მიდრეკილ საქართველოში.

უსაზღვროა ღვაწლი მისგან დაძრული, კეთილად შობილი და აყვავებული... განსაცვიფრებლად უნივერსალური, იგი იმ ნეტარხსენებულ სულიერ მოძღვართ გვაგონებს, რომელნიც განამდიდრებდნენ და უკეთესი მომავლისაკენ მიუძღოდნენ მიწიერ ოცნებათა „ნაჭუჭში“ დატყვევებულ ერს...

მის ფიქრთა, ოცნებათა და სურვილთა მასშტაბები ღვთისა და ერის საკრალური სიყვარულიდან იშვა, და ვითარცა სულთა განმაცოცხლებელი ძალა, სასომიხდილ ქვეყანას ნუგეშადა და შვებად მოევლინა...

მან, ნეტარი გრიგოლ ხანძთელის სულიერმა მემკვიდრემ, უძველეს მართლმორწმუნე ერს ქრისტესმიერი სიყვარულისა თუ სხვა წმინდა სათნოებათა გადავიწყებული რწმენა შთააგონა და თავისი ზემიწიერი როლის სიმბოლურ გამოხატულებად, მორალურ-ეთიკური რეგულაციებით განსპეტაკებული საკუთარი სულის ნაღვაწთა უფართოესი სპექტრი შესთავაზა...

იგი, უპირველეს ყოვლისა, უნივერსალური მასშტაბის მოაზროვნეა... მან განავრცო და კიდევ უფრო მეტი სინათლით აღბეჭდა ქრისტიანული მსოფლჭვრეტისა და მსოფლშეგრძნების მეტაფიზიკური რეფლექსიები... მისი თეოლოგიური ინტენციები იმ მეგაპრობლემებითაა გაჯერებული, რომელთა აქტუალობა მხოლოდ მისივე ინტელექტის აქტივობით ხდება საცნაურიცა და თვალსაჩინოც...

მისი ლოცვები თუ ქადაგებანი, ჰომილიები თუ ეპისტოლეები, ადამიანთა სულების აღზრდის, სიყვარულისა თუ ერთგულების, მორალისა თუ სიმართლის და მრავალ სხვა ჰუმანურ ინგრედიენტთა ჭეშმარიტი ანალიტიკაა... გზაა საკუთარი არსის შეცნობისაკენ, ინდივიდუალური ცნობიერების მორალური კატეგორიებისაკენ... ეს ის გზაა, რომლის გარეშე უსასრულოდ ქაოტურია სამყაროცა და ამ უსახურობაში ჩაკარგული ადამიანიც...

მან იწინასწარმეტყველა და თავისში განაბრწყინა თავისუფალი საქართველოს წიაღიდან აღორძინებული სულის მშვენიერება... უფლისაკენ მიმავალი ადამიანის სიცოცხლე...

ამ ღვაწლით ამაღლებულ ყოფიერებაში ერთიანდებიან და მძლავრ „კონტრაპუნქტს“ ქმნიან - რაციოცა და ინტუიციაც, პროპედევტიკაცა და მეტაფიზიკაც, მედიტაციაცა და პრაგმატიკაც, ლირიკაცა და ეპიკაც...

თუ არა იგი, ძალზე გაუჭირდებოდა გარდასული კომუნისტური რეჟიმისაგან სასტიკად ნაგვემსა და დამცრობილ ქართულ ეკლესიას...

ჩვენი ერის ისტორიის დღევანდელი „ახალი ადამიანის“ კულტივაციით და მისი ბიოლოგიური ბუნების გარდაქმნის „ექსპერიმენტებით“ გატაცებული პერიოდი თუ საბედისწეროდ არ ექცა ჩვენს რწმენასა და ზოგადად - სახელმწიფოებრიობას, უპირველეს ყოვლისა უწმინდესის ღვაწლს უნდა უმადლოდეს ერი...

ღრმად შთამაგონებელი ბიბლიური იერსახე მისი, იმ დაუნჯებული შინაგანი მწუხარების ანარეკლია, მძიმე დრო-ჟამმა რომ აღბეჭდა მასზე... და მაინც, ეს მისი ის ნეტარი ყოფიერებაა, ყოველი დროის წმინდანნი რომ „ეთაყვანებოდნენ“...

არაფერია უფლისკენ მიმავალ ამგვარ სიტია, თუმც მავან „ტრანსჰუმანისტთა“ გააქტიურებული კასტისათვის, ულტრადემოკრატებად რომ მოაქვთ თავი, არაფრისმთქმელია თითქოს პატრიარქის უზენაესი რენომეს განმაპირობებელი არგუმენტაციები...

ვფიქრობ, არ უნდა იყოს აქტუალური და საგულისხმო ჩვენი ოდენ ანტინომიური სოციუმის „მღვრიე“ წიაღში ავადმოლაყბეთა „დემოკრატიული“ კონვულსიები... ამჯერად დედაეკლესიისა და პატრიარქის მიმართ უბადრუკი ინსინუაციებით რომ ავლენენ თავს... მათი ათეისტური ეგზისტენციალიზმით (უფრო კი მოდერნიზებული მარქსიზმით) გაჯერებული ისტერიკა, ბუნებრივია, არაფერს ნიშნავს, თუმც ერთი ფრიად სამწუხარო სიმპტომით არის საყურადღებო, კერძოდ, ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების სრული უმწიფრობისა და უნიათობის აშკარა გამოვლენის კიდევ ერთი ფაქტით...

ქრისტიანული რწმენისადმი საბედისწერო გულგრილობამ თუ მოჩვენებითმა თაყვანისცემამ დააკნინა და სრულ სიმულაციად აქცია ეროვნული ცნობიერების თვით ცნებაც კი... ეროვნული იდეალების კრიზისი ამგვარი სიმძაფრით იშვიათად თუ განუცდია ქვეყანას...

ამ აგრესიული გამოწვევების საპასუხოდ, დღეს კიდევ უფრო მეტ ბრწყინვალებას, აზრსა და მნიშვნელობას უნდა იძენდეს ერში უძველესი ქართული სამოციქულო ეკლესია, ვითარცა ეროვნული სულიერების უზენაესი ინსტანცია და ვითარცა სათნოებათაგან შობილი ცივილიზაციის ფუძე და საძირკველი...

რაოდენ საგულისხმოა მისი საღვთისმეტყველო რიტორიკის თვით „სტილისტიკა“, სიტყვათა პლასტიკა, სისადავე და კრისტალური გამჭვირვალება...

მაქსიმალური სიცხადითაა გამოვლენილი მათში ადამიანის სულიერი აღზრდის ქრისტიანული მეთოდოლოგია... სიტყვის მაგიური ძალისხმევა განყენებულ თეოლოგიურ კონცეპტებსაც კი ნათელსა და ცნობადსა ხდის...

ისიც აღსანიშნავია, რომ ემპირიკა, ანუ ეგრეთ წოდებული ცხოვრებისეული მაგალითებით „იმპროვიზირება“ უფრო მეტად ათვალსაჩინოებს ორატორის მედიტაციათა დიაპაზონს, მისი უფაქიზესი სულის უნივერსალურ არტიკულაციებს...

უფლისმიერი შთაგონებაა მისი ამ ქადაგებათა ლაიტმოტივი... იგია „გზა“, გაგხადოს მაღალი მორალური კატეგორიებით, სულის წმინდა თავისუფლებითა და ამაღლებული სიყვარულით ცხოვრების ღირსი, რათა მოგეცეს უფლება ნეტარი ყოფიერებისა... და კიდევ:

უწმინდესისა და უნეტარესის „სიტყვის“ მაღალი სისადავე არ არის „ბრბოსთან“ დიალოგის შერჩეული ფორმა... „ზეციდან“ მიწად დაშვების „რევერანსი“...

იგი ჭეშმარიტად პირიქითაა - იგი თითოეული ინდივიდის პროტაგონისტამდე ამაღლების გზა-ბილიკია, ზეციერთან სულიერი შერწყმის გაკვეთილია... და ამითაც განირჩევა „სქოლასტთა“ რიგორიზმისაგან, მკაცრად ფორმალიზებული ეთიკური მოდუსებისაგან...

იყოს ერის „სულიერი ხსნის“ უზენაესი აღმსრულებელი, შეამეცნებინოს მას სამყაროცა და საკუთარი თავიც, რათა უფლის მასში მყოფობისათვის, თავისში დაიმკვიდროს საყოველთაო ნეტარი სიმშვიდე და სიყვარული - აი, უწმინდესის დღენიადაგ ღვწის ხვედრიცა და მისიაც...

მისი მიწიერი ყოფიერების მზიან–ვარსკვლავებიანი ღამიდან, უიღბლო სამშობლოზე ფიქრითა და ზრუნვით დაღლილი, ღრმა სინანულით აღბეჭდილი წმინდანი აცისკროვნებს ჩვენს დრო-სივრცეს...

მხოლოდ სიყვარულით მოიპოვებაო თავისუფლება და სიყვარულითვე ამაღლდებითო თავისუფლებაში - აი, მისი ერისადმი მიმართული მოწოდებაცა და ვედრებაც... ქვეყნის ჭეშმარიტი ერთიანობისა და ღირსეული ყოფიერების ერთადერთი გარანტი...

მოწიწებით ვხრი თავს მისი ღვთაებრივი სიწმინდისა და ღვაწლის წინაშე... ვარ ბედნიერი, რომ წილად მხვდა პატივი, საჯაროდ გამოვხატო ჩემი ადამიანური სიყვარული და აღფრთოვანება ღვთის რჩეულისა და ერის სულიერი მამის მიმართ... შევთხოვ უფალს, მისი დაუშრეტელი ძალისხმევით შთაგონებულ მომავალს მოეტანოს ნეტარი ჟამი კეთილად შენებისა და ცხოვრების აღმასვლისა, ჟამი სულიერი განახლებისა და პიროვნების რწმენით აღორძინებისა, ჟამი ქვეყნის გაერთიანებისა და საყოველთაო ღირსეული სიმშვიდისა... დიდი ქართული შემოქმედებითი „მზიანი დღისა“...

ჟამი ეგრეთ წოდებული საქართველოს ჭეშმარიტ საქართველოდ გარდასახვისა...

იმის თქმის უფლებისა, რომ: „ღამე იგი განგვეშორა და დღე შემოგვეახლა“...

გურამ გენაშვილი

მიმართვა

„ქართული ერთობის დარბაზის“, „მეცნიერთა კონგრესის“ და პროექტ „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ მხარდაჭერის ფონდის მიმართვა ხელისუფლებისადმი, მეცნიერებათა ეროვნული და დარგობრივი აკადემიებისადმი, უმაღლესი სასწავლებლებისადმი, სამეცნიერო დაწესებულებებისადმი, პოლიტიკური პარტიებისადმი, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი, მედიის საშუალებებისადმი, თანამემამულეებისადმი

8 თებერვალს, დავითობას, გელათში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ კედლებში, „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დოქტრინის“ განხილვის მიზნით, მეცნიერთა კონგრესის გამართვასთან დაკავშირებით

თანამემამულენო,

ჩვენი ქვეყნის ისტორია ადასტურებს, რომ ქვეყანაში კრიზისია, როცა ქვეყნის შიგნით არის დაპირისპირება და ეს კრიზისი მით უფრო ღრმაა, რაც უფრო ღრმაა დაპირისპირება. ისტორია დასტურია იმისა, რომ კრიზისიდან მხოლოდ მაშინ გამოვდიოდით, როცა ან დაპირისპირებული მხარეები ახერხებდნენ ერთმანეთთან საუბარს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ან გამოჩნდებოდა ინტელექტუალური სახელმწიფოებრივი ძალა (ერთობა), რომელიც ახერხებდა ხალხის შეერთებას მომავლის საქართველოს ინტერესებით. ამ გზით დაპირისპირების დასრულებამ კრიზისი არაერთგზის აქცია შესაძლებლობად.

ჩვენ ვართ რეალობაში, როცა გონებისათვის მიუწვდომელ მასშტაბებს აღწევს დაპირისპირება. გაგრძელების ორი შესაძლო ვარიანტია: პირველი - დაპირისპირების შემდგომი ესკალაცია, ან **მეორე - „ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად“**, როგორც ეს ერის მამამ, **ილია ჭავჭავაძემ** ბრძანა სწორედ გელათში.

პირველი მტრების ინტერესებშია. მნიშვნელობა არ აქვს,ისინი ქვეყანაში არიან, თუ ქვეყნის გარეთ;

მეორე არის ხალხის და ქვეყნის ინტერესებში და სწორედ ეს არის გზა, კრიზისი ვაქციოთ შესაძლებლობად.

სწორედ მეორეს ემსახურება მეცნიერთა დიდი ჯგუფის მიერ შექმნილი „ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დოქტრინის“ პროექტი და კონცეფცია „ეროვნული თანხმობის“ ხელისუფლების ფორმირების თაობაზე.

გადაწყვეტილი გვაქვს, მიმდინარე წლის **8 თებერვალს, დავითობას, გელათის კონგრესზე** საბოლოო რედაქცია მივცეთ ამ პროექტს. შემდგომ წარვადგნოთ საქართველოს საპატრიარქოში, მეცნიერებათა აკადემიაში, სახელისუფლებო შტოებში, სასწავლო და სამეცნიერო მიმართულების ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში, პოლიტიკურ პარტიებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მედიის საშუალებებში. მივცეთ მას ხალხის მხარდაჭერის ძალა და კარგი იქნება, თუ ამას საერთო თანხმობით რეფერენდუმით შევძლებთ.

სწორედ ასეთ დოკუმენტს შეუძლია ქვეყნის დაცვა როგორც შიდა, ასევე გარე ძალთა შემოტევებისგან, ხელისუფლებების მანიპულაციებისგან.

ჩვენ ასეთ სერიოზულ დათათბირებაზე ვიწვევთ ყველას. ვიწვევთ იმათ, ვისაც მიაჩნია, რომ დაპირისპირება დამანგრეველია, ვინც თვლის, რომ ჩვენ გვჭირდება ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად, ვისაც მიაჩნია, რომ კრიზისი უნდა ვაქციოთ შესაძლებლობად.

კონგრესი მუშაობას დაიწყებს 8 თებერვალს, დავითობას, გელათში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ კედლებში.

გელათის კონგრესის ჩანაწერი სრულად იქნება გადაცემული ტელევიზია „ქართული TV“- ს ეთერში.

თბილისიდან გელათში გამგზავრება - 8 თებერვალს, დილის 9:00 საათზე. კონგრესი დაიწყება 14:00 საათზე. დაბრუნება - იმავე დღეს.

ქართული ერთობის დარბაზი,
მეცნიერთა კონგრესი

ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

პაატა ნაცვლიშვილი



ახალი წლისა

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“. სოლომონ იორდანიშვილის გამოცემა. 1940 წელი. თბილისი. „მე თავათ ბერი ვიყავი და სნეული და ავი დრო იყო“ — წერს საბა 61-ე გვერდზე. იქვე მიმიწერია: 56 წლისა ყოფილა! 2014 წელს, საბას მოგზაურობის 300 წლისთავზე, 62-სა ვიყავი, სულხან-საბას მარშრუტი რომ გავიარე. ის ჩემი მინაწერი კი სადღაც 1975 წლისა უნდა იყოს. დღიურებს შევადარე, მაშინ წამიკითხავს პირველად, 23 წლისას. სულ მუდამ ვანგარიშობდი, ვინ რამდენი იცოცხლა და ამა თუ იმ დასამახსოვრებელ მომენტში ვინ რამდენი წლისა იყო. სასაფლაოზე რომ მოვხვდებოდი, საფლავის წარწერების წლებს ერთმანეთს ვაკლებდი, რომ გამეგო, რამდენი წელი იცოცხლა განსვენებულმა. ისე, უბრალოდ. ისიც ნაანგარიშები მქონდა, რომ 2000 წელს 48 წლისა უნდა ვყოფილიყავი. დიდხანს ეს ძალიან შორეულ მიჯნად მიმაჩნდა.

ჰოდა, ახლა 2025 წელი დადგა.

აღარც მახსოვს, 56 წლისა როდის ვიყავი, 48 წლისა — მით უმეტეს.

იაპონური ავადმყოფობა შემეყარა — ასაკი!

ბერიც ვარ, სნეულიც ვარ და ავი დროც გახლავთ.

და მაინც, გილოცავთ ახალ წელს.

გრიშაშვილის ქუჩისა და გიორგი სააკაძისა

რამდენიმე წლის წინ გავყიდე ოროთახიანი ბინა გრიშაშვილის ქუჩაზე, ხარფუხში. თუმცა რა ბინა, — ორი პატარა ოთახი იყო, საერთო სამზარეულო და უბადრუკი ბეტონის ფეხსალაგი სამ ოჯახზე. სანამ მამაჩემი საბურთალოზე სახელოსნოს შენებას წამოიწყებდა, ხარფუხში ვიზრდებოდი. ვან ბაიბურთი „ზემლიაკს“ მეძახის — ისიც ხარფუხელია. ის კი ალბათ არ იცის, რომ ჩემი იქაური სახლი ყოფილი სომხური ეკლესიის ადგილზე იყო აშენებული, ეკლესიისავე საძირკველზე. რამდენჯერმე მოვიდნენ სომხური ეკლესიის წარმომადგენლები, მეზობლებს სახლის შეძენაზე ელაპარაკებოდნენ, ეკლესიის აღდგენა უნდოდათ. მე ყველა ვარიანტზე თანახმა ვიყავი, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. მაშინ უკვე მარჯანიშვილზე ვცხოვრობდი.

საბურთალოზე რომ გადავედით დაუმთავრებელ სახელოსნოში, მეორე თუ მესამე კლასში ვიყავი, მაგრამ ის ბინა დიდხანს შევინარჩუნეთ, მერე გავარემონტესავით და ჩემი პირველი ბიბლიოთეკაც იქ მოვაწყვე. ერთი ხანობა, ეს ორი ოთახი კარგი თავშეყრის ადგილი იყო ჩემი მეგობრებისათვის — კინოებს არა, მაგრამ უცხოეთში გადაღებულ სლაიდებს ვაჩვენებდი ხშირად, ზოგჯერ კი იშვიათ და აკრძალულ წიგნებზეც ვმსჯელობდით. სხვა დასამახსოვრებელი ამბებიც იყო, რა თქმა უნდა.

იოსებ გრიშაშვილი მახსოვს ამ ქუჩაზე ამოვლილი. ან მახსოვს, ან ის მახსოვს, დედაჩემი რომ მეუბნებოდა, რამდენჯერმე შეესწარიო, რამდენჯერმე გყავს ნანახიო. არ მავიწყებდა ამ ამბავს. გაწუწული წრუწუნა უწოდეო. ის გაწუწული წრუწუნა ალბათ წიგნში მქონდა სადმე ნანახი და ქუჩაზე ერთ წვიმიან საღამოს ამოვლილი გრიშაშვილი, როგორღაც ალბათ იმ ნახატს მივამგვანე. მოდიოდა გრიშაშვილი გრიშაშვილის ქუჩაზე და დედისთვის მითქვამს — ნახე როგორ გაწუწულ წრუწუნას ჰგავს-მეთქი. დღემდე მრცხვენია და დღემდე განვიცდი ჩემს ამ შედარებას. მე და დედა, როგორც ყოველთვის, ფანჯრის რაფიდან გავცქეროდით აკაციებით გადაპენტილ გრიშაშვილის ქუჩას. ხოლო ფანჯარა იყო მაშინ ჩვენი ტელეფონიც, ტელევიზორიც და ინტერნეტიც — ერთი სიტყვით, ნამდვილი ვინდოუსიც. მთელი ჩვენი ინფორმაციაც ამ ფანჯრიდან და ქსელის რადიოდან შემოდიოდა. მერე ქუჩას სახელი გადაარქვეს — ბოლნისის ქუჩა უწოდეს. ქალაქის საბჭოს დაუდგენია, რომ ცოცხალი ადამიანის სახელი ქუჩას არ უნდა ერქვასო — სტალინი უკვე მკვდარი იყო და ის ამბავიც, რომ ქუჩას კი არა, სტალინის, კალინინისა და მოლოტოვის სახელები მათ სიცოცხლეშივე ქალაქებს ერქვა, წარსულს ჩაჰბარებოდა. მერე გრიშაშვილი გარდაიცვალა და ქუჩასაც ძველი სახელი დაუბრუნეს. დღესაც გრიშაშვილის ქუჩა ჰქვია.

ჩემი პირველი მოგონებები იმ სახლს უკავშირდება. თვალს გავახელდი თუ არა, ტანსაცმლის სარკიან კარადაზე ჩამწკრივებულ ქანდაკებებს ვხედავდი: პორტრეტებს, ფიგურებს, სულხან-საბა ორბელიანს, კოტე მარჯანიშვილს, გიორგი სააკაძეს, ცხენკაცებს, სამფიგურიან კომპოზიციებს მთავრობის სასახლის კონკურსისათვის. ვინ ვინ იყო, ჯერ არ ვიცოდი.

მამაჩემი გვიან, როცა ჩვენც და მეზობლებსაც ეძინათ, თავის პატარა დაზგას საზარეულოში გაიტანდა და დილამდე მუშაობდა. თუ ზამთარი იყო, ნავთქურა ენთო. იმ გიორგი სააკაძეს, რომლის სამ სხვადასხვა ვარიანტს ყოველ დილას ვუყურებდი კარადის თავზე, შეიძლებოდა ძირეულად შეეცვალა ჩემი, მამაჩემისა და საერთოდ, ჩვენი ოჯახის ცხოვრება. ზუსტად არ ვიცი, რომელი წელი იყო, ოთხი-ხუთი წლისა ვიქნებოდი. მაშინ იყო, რომ კონკურსები გაიმართა თბილისში ვახტანგ გორგასლისა და ნოსტეში გიორგი სააკაძის ძეგლის საუკეთესო პროექტებზე. ჯერ რომელი და მერე რომელი არ ვიცი. ვახტანგ გორგასლის კონკურსში ელგუჯა ამაშუკელმა გაიმარჯვა, გიორგი სააკაძის კონკურსში — მამაჩემმა. ელგუჯა ამაშუკელის ძეგლი 1959 წელს დაიდგა, მამაჩემისა — არც მაშინ და არც არასოდეს დადგმულა. საქმე ის არის, რომ სწორედ მაშინ კასპის რაიკომის მდივანი გამოიცვალა და არა, მე სააკაძე მხოლოდ ცხენზე ამხედრებული წარმომიდგენიაო, უთქვამს. მამაჩემის პროექტი, კი საკონკურსო პირობების თანახმად, უცხენო ფიგურა იყო. ცხენიანი ძეგლების დადგმა, მაშინაც და მერეც ძნელი იყო საბჭოთა კავშირში. თავის დროზე მე მივეხმარე გიორგი სააკაძის ძეგლის დადგმაშიო, ერთი კეთილი ქართველი მწერალი მეამაყებოდა, მე გავაცანი კასპის რაიკომის მდივანიო, — გიორგი სააკაძის დღევანდელი ძეგლის ავტორზე მეუბნებოდა. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი ვიყავი და რაღაც მოთხრობა თუ ნარკვევი მოეტანა გაზეთში დასაბეჭდად. მისთვის არ მითქვამს, როგორ შეცვალა მისმა დახმარებამ მამაჩემისა და ჩემი ცხოვრება. არადა ვისაც ის დაეხმარა, თავად იყო იმ ჟიურის წევრი, რომელმაც 1958 წლის 14 ნოემბერს დაადასტურა თემო ნაცვლიშვილის კონკურსში გამარჯვება. მაგრამ კასპის ახალდანიშნულმა რაიკომის მდივანმა, რომელსაც ცეკაშიც დიდი მხარდაჭერა ჰქონია, თავის გაიტანა და ნოსტეში კი არა, კასპში, თავისი ოფისის წინ დაიდგა სააკაძის ცხენოსანი ქანდაკება. წლების მერე იმ ძეგლის ასლი თბილისშიც დადგეს. მამაჩემმა იბრძოლა, თუ კონკურსია, ცხენიან ქანდაკებაზეც გამოაცხადეთ კონკურსიო, გააკეთა კიდეც ცხენიანი სააკაძის ფიგურა, მაგრამ კონკურსი არ გამოუცხადებიათ — უკონკურსოდ მისცეს, ვისაც მისცეს. ამას წინათ ბადრი ქუთათელაძე მეუბნებოდა, რომელმაც მშვენიერი წიგნი შეადგინა თბილისის ქანდაკებებზე და რომელიც სხვაზე კარგად იცნობს მამაჩემის შემოქმედებას, — როგორ ვერ მოახერხა მამაშენმა თბილისში ერთი ქანდაკების დადგმაო?! აი, ასე ვერ მოახერხა! მამაჩემის იმ ცხენიანი სააკაძიდან კი ერთი ფოტოღა შემორჩა. არ ვიცი თავად დაამტვრია თუ მიწისძვრამ შეიწირა სხვა ქანდაკებებთან ერთად.

მერე, უკვე როგორც რედაქტორს, სხვადასხვა თავყრილობებზე მხვდებოდა ხოლმე სააკაძის ძეგლის ავტორი — ხან სად და ხან სად. იცოდა რომ ყველაფერი ვიცოდი. ერთხელ იმ საუბარსაც ერთად შევესწარით,— უკვე სააკაშვილის დრო იყო, — ერთი მოქანდაკე მეორეს რომ ეუბნებოდა, ორჯონიკიძის ძეგლი კი აიღეს, მაგრამ გიორგი სააკაძის ძეგლებიც არ გახდეს ასაღებიო. ძეგლების აფეთქების დრო იყო.

მანამდე — უკვე საბურთალოზე, ჩვენი დიდხანს მეზობლები ვიყავით. ბავშვობიდან ვიცნობდი. თავიდან პატარა „მოსკვიჩი“ ჰყავდა. ავლა-ჩამოვლაზე უყურებდა ფანჯრიდან ჯერ დაუმთავრებელ სახელოსნოში მამაჩემის ნამუშევრებს. ერთი-ორჯერ ეწვია კიდეც, მამაჩემიც გადაიპატიჟა თავის სახელოსნოში. მეც ვახლდი. გარეგნულად ინარჩუნებდნენ ურთიერთობას. თუმცა მე რაც ვიცოდი, მათმა წრემ უკეთ იცოდა...

საბურთალოზე რომ გადმოვედით, დიდედაჩემი გრიშაშვილის სახლში დარჩა. რამდენჯერმე მეც დამტოვეს მასთან. წიგნებს მიკითხავდა. მის მიერ ნაჩუქარი ნოდარ ალანიას შედგენილი წიგნი დღემდე შემომრჩა ილია ჭავჭავაძეზე. წიგნებს კი მიკითხავდა, სხვა მაშინ გასართობი არაფერი იყო, მე კი მაინც ქუჩისკენ მეჭირა თვალი. არა გასართობად — ველოდი როდის მოვიდოდა მამაჩემი და საბურთალოზე წამიყვანდა. გრიშაშვილზე რამდენადმე დამთრგუნველი სიტუაცია იყო. დიდედაჩემი მხოლოდ შავებში და ძაძებში მახსოვს. ერთი წლის ვიყავი, როდესაც ბიძაჩემი გარდაიცვალა, მამაჩემის ძმა, 35 წლისა, უკვე ცნობილი მხატვარი. დაიძინა და აღარ გაიღვიძა. დიდედაჩემმა ამის მერე ათი წელიწადი იცოცხლა, მაგრამ ისე განიცდიდა იმ ამბავს, თითქოს გუშინ იყო, რომ აკანკალებული ხელით სახეზე სარკეს ადებდა თავის შვილს, იქნებ, დაიორთქლოსო. მე ეს არ მახსოვს, მაგრამ ისე მძაფრი და ისეთი ხანგრძლივი იყო ჩვენს ოჯახში იმ ტრაგედიის განცდა, რომ თითქოს მართლა თავად მოვესწარი ყველაფერს.

მამაჩემს ძმის გარდაცვალების შემდეგ ყველაფრის ხალისი დაეკარგა. გიორგი სააკაძის პროექტზე მუშაობამ და კონკურსში გამარჯვებამ თითქოს შემატა ხალისი, თუმცა მერე ეს ხალისი კიდევ უფრო დიდი დეპრესიით შეეცვალა. რამდენჯერმე კიდევ მიიღო ერთ-ორ კონკურსში მონაწილეობა და მერე უკვე — აღარ.

დიდედაჩემის გარდაცვალება კარგად მახსოვს. კარგად რა! ჩემი სიმთვრალე მახსოვს კარგად. უფრო სწორად — სხვისი მონაყოლი ჩემს პირველ სიმთვრალეზე. სკოლაში ჩემმა დეიდაშვილმა, ჩემზე 13 წლით უფროსმა ჯიმშერ იაშვილმა მომაკითხა და კარგა ხანს მატარა ქალაქში, სანამ შინ მიმიყვანდა, პონჩიკებიც მაჭამა. 10 წლისა ვიყავი, მანანა, ჩემი და — შვიდ-ნახევრის. ორივენი დავთვერით. დიდედაჩემის ქელეხის სუფრა იყო გაშლილი დიდ ოთახში სამ რიგად ჩარიგებული მაგიდებზე. ღვინო კი პატარა ოთახში იყო, ფეხის საკერავი მანქანის ქვეშ. შტოფში შლანგი იყო ჩადებული. მე და მანანა თავიდან ფრთხილად მივეპარეთ ამ შლანგს, მერე კი, იცოცხლე — პირიდან აღარ გამოგვიღია! ასე დათრობა მართლა უარესია და ისე დავთვერით ორივენი, რომ ღვინის ჩამოსასხმელად შემოსული რომელიღაც ნათესავის კივილიც არ გაგვიგია — ბავშვებს უშველეთო!

მადლობა, ღმერთს რომ გვიშველეს. კიდევ კარგი, რომ ღვინო სუფრაზე მალე გათავდაო, დედაჩემი გვეუბნებოდა. პირველი, რაც გამოფხიზლებულმა გავიგე, საათის მაღვიძარას ხმა იყო. ეს საათი დღესაც ცოცხალია. მასზე ვისწავლე საათის ცნობა ჯერ კიდევ სკოლაში წასვლამდე. მანამდე კი, სანამ ვისწავლიდი, რომელი საათიაო, დედა რომ მკითხავდა, რაკი საათის ცნობა არ ვიცოდი, ვთქვათ, პატარა ისარი სამსა და ოთხს შორისაა, ხოლო დიდი ისარი რვაზეა-მეთქი, ვეუბნებოდი. მე რატომ მეკითხებოდნენ ხოლმე და, საათი ოთახში იყო, ხოლო დედა ხშირ შემთხვევაში — სამზარეულოში. დერეფანში გამავალი ოთახის კარი ღია იყო და — ახლა ვხვდები — დედას ნაკლებად აინტერესებდა, რა დრო იყო, სარეცხს რეცხავდა თუ სადილს აკეთებდა, უბრალოდ, ასე მეხმიანებოდა, მე მადევნებდა თვალს. მეც მიხაროდა. თანაც ყოველ 10-15 წუთში მეკითხებოდა. მარტო ვიყავი, წიგნებისა და ცოტაოდენი სათამაშოების მეტი არაფერი მქონდა და მამოწმებდა.

მერე, როცა სარეცხს გარეცხავდა ან სადილს გააკეთებდა, ოთახში შემოვიდოდა, მე ფანჯრის რაფაზე შემომსვამდა, თვითონაც იდაყვებით დაეყრდნობოდა რაფას და გავყურებდით აკაციებით ამწვანებულ გრიშაშვილის ქუჩას. მამას ველოდებოდით. ჩემს დას ალბათ უკვე ეძინა. ძმა დაბადებული არ იყო.

ახლა 2025 წელი დადგა და აღარც დედაა, აღარც მამა, აღარც მანანა.

მამაჩემს წელს 100 წელი უსრულდება. როგორც იქნა, მოვერიე ჩემს თავს და მისი უჯრები და საქაღალდეები გავხსენი. რამდენი რამ ყოფილა საინტერესო, ჩემთვის აქამდე უცნობი — ჩანახატები, ჩანაწერები, ლექსები, წერილები...

წელს მე და ჩემს ძმას მისი ალბომი გვინდა გამოვცეთ.

ჰოდა, მეორედ მოსვლის სხვა მოსვლებისა

ჰოდა, 1974 წელია, მეხუთე კურსზე ვარ და ახალგაზრდა მწერალთა წრეზე კიდევ ერთხელ გავიტანე ჩემი ლექსები. ამ განხილვით გამოვემშვიდობე ჩემს პირველ „თანამდებობას“ — თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის თავმჯდომარეობას.

ჰოდა, სულ 11 ლექსი წავიკითხე. მათ შორის „მეორედ მოსვლა“. მაშინ უკვე ცნობილი „წერილის“ მერე, ეს ჩემი მეორე პოეტური ოპუსი იყო, რომლის ექო თურმე დღემდე შემორჩა. ამის დასტურია ერთ მშვენიერ დილას ფეისბუქის მემორის მიერ შეხსენებული ნინო დარბასელის პოსტი, რომელიც ორი წლის წინათ სწორედ ისე აღვიქვი, როგორც „მეორედ მოსვლის“ მეორედ მოსვლა. მას მერე ამ ლექსმა კიდევ რამდენჯერმე გამახსენა თავი.

ჰოდა, თითქოს ფეისბუქმა იცოდაო, სწორედ გუშინ, ჩემი თვალუწვდენელი არქივის მორიგი მიმოლაგებისას, ერთი ფურცელი შემხვდა, ნახევარი საუკუნის წინანდელი, 1974 წლისა, სადაც ოთხ რიგად ჩამომიწერია ჩემი ლექსები. აქ აკურატულად აღმინუსხავს ის ლექსები, რომლებიც იმ გამოსათხოვარ საღამოზე წამიკითხავს და ის ლექსები, რომლებიც სამიოდე თვის შემდეგ, 1974 წლის სექტემბერში დამირიგებია რედაქციებში: 5 ლექსი „ახალგაზრდა კომუნისტში“ ტაგუ მებურიშვილთან, 11 ლექსი „ცისკარში“ გივი გეგეჭკორთან და 11 ლექსი „მნათობში“ ბესიკ ხარანაულთან.

ჰოდა, როგორც ჩანს, წარმოვიდგინე, რომ ვაითუ, ყველგან მოიწონეს ჩემი ლექსები დასაბეჭდად და ამიტომ სამივე რედაქციაში სხვადასხვა ლექსები მიმიტანია. მხოლოდ „მეორე მოსვლა“ მეორდება — „ცისკრისა“ და „მნათობის“ სიებში. „ახალგაზრდა კომუნისტშიც“ მივიტანდი, მაგრამ იქ დაებეჭდათ კი არა, სხვა ლექსებსაც რომ შეუშლიდა ხელს, აშკარა იყო.

ჰოდა, საერთოდაც მიჭირდა ბეჭდვა: „მნათობში“ არასოდეს ჩემი არც ერთი (არც ერთი!) ლექსი არ დაბეჭდილა. „მეორედ მოსვლა“ კი, კარგად ვიცოდი, განსაკუთრებით ძნელი დასაბეჭდი იყო, რაგინდ გივი გეგეჭკორი და ბესიკ ხარანაული მოხიბლულიყვნენ და გადარეულიყვნენ მისით.

ჰოდა, არც დაბეჭდილა. არადა, ბევრმა მაშინვე უკვე ზეპირად იცოდა, ხელნაწერებით ვრცელდებოდა. აკი ნინო დარბაისელს, მაშინ სტუდენტს, ახლა კი ლექსის აღიარებულ პრაქტიკოსსა და თეორეტიკოსს, დღემდე ახსოვს მაშინდელი შთაბეჭდილება — ჩვენ ეს ლექსი მაშინ თავისუფლების მანიფესტაციად გვესახებოდაო.

ჰოდა, „მეორედ მოსვლის“ დაბეჭდვა ერთი საინტერესო თავგადასავალია, რომელიც აწყურის ღვთისმშობელთან არის დაკავშირებული. შარშან, მარიამობას მოვყევი ეს ამბები, როცა აწყურის ღვთისმშობლის ასლს ვახლდი მცველად თბილისიდან ათონის მთაწმინდამდე. იქ „მეორედ მოსვლის“ მესამედ მოსვლის ამბავია მოთხრობილი.

ჰოდა, 50 წლის წინანდელ ჩემს სხვა ლექსებს რაც შეეხება, იმ ჩემს სიებში შეტანილი 27 ლექსიდან მაშინ არც ერთი არ დაბეჭდილა — არც „ახალგაზრდა კომუნისტში“, არც „ცისკარში“ და, რაღა თქმა უნდა, არც „მნათობში“.

ცაზე მზის სხივი აცურდა,
სიბნელე მსწრაფლ
დაფაცურდა,
მაგრამ ღამეთა სივრცენი
მოისრა, გაუკაცურდა,
დაცვივდა ოქრო შუქების -
გარიჟრაჟისგან ნაწურთა.

დღისა და ღამის ფერები
შეერწყა, ტურფად დაზავდა,
ცაში უშქარი ტოროლა
ნებიერ რკალებს ხაზავდა,
თითქოს დამყარდა თანხმობა,
თითქოს ყოველი დაზავდა.

მაგრამ სიბნელეს ეს ზავი
არერთხელ დაურღვევია,
ხანი გასულა, დაისს კვლავ
კალთები დაურხევია,
დღის მოელვარე ატლასი
ხანჯლებით დაუხევია,
შემაშფოთარი დუმილი
გარშემო დაუფრქვევია,
კაცთათვის ავი და ბნელი
ფიქრები დაუხვევია.

საწუთროს ეტლი ჩვენს დღეებს
შორეთში მიერეკება,
ქარები ხეებს ძარცვავენ,
მიწას ფოთლები ეგება,
აყვავებული მინდვრები
ზამთრებით გადიჯეგება,
გლეხი სულს აქსოვს ვენახში -
სეტყვა ასცდესო ეგება,
მაგრამ გახედავ - ზეციდან
ყინულნი ჰქრიან შლეგებად,
თავ-თავის რიგზე ყოველი
ინთქმება, ბოლო ეღება.

ვინც შექმნა, ეს ყველაფერი
რა ყაიდაზე გამართა?
ვერც იფიქრებდნენ, სუყველას
იმგვარი საქმე დამართა,
მცირე ხნით ტკბობა, ბოლოს კი
წყვდიადი უმისამართა,
უხვად მოჰფინა ზოლები
აკლდამათა და სამართა,
არ შეარჩინა ხსოვნაც კი
ზეცათა - ნაკამკამართა.

სიცოცხლეში ხომ სუყველას
მარცხი მრავალი უწვნია,
ბევრს ფერი ისე უცვალა -
თავი ვერაფრით უცვნია,
რამდენ სიავეს შეგვამთხვევს
დღენი, კენტნი თუ ლუწნია!
ზოგჯერ დაღმართი
გვიმუხთლებს,
ხან წამაქცევრად კუნძნია,
ხანაც, სავალი გზის ნაცვლად
წინ მხოლოდ ნემსის ყუნწნია.

ვთქვათ, გადავლახეთ ყოველი -
შეუცნობია აწ უფრო:
ამ უთავბოლო ომებით
რა უნდა დაისაკუთრო?
გუნება რისთვის მოშხამო,
ფიქრები რისთვის დაქუფრო?
ისეც უმზეო დღეები
რად დააბნელო, დაკუპრო?
რისი სახელით გვაბრძოლებს,
რისთვის გვამზადებს
საწუთრო?

ჩვენი ამქვეყნად მოვლენა
ნეტავი ვის მოენება?
რიჟრაჟი, დღეთა ალმური,
შებინდებანი, თენება,
ათასჯერ ნგრეულ ფუძეზე
სახლთა ახალთა შენება,
მოსავალმოხდილ მიწაში
სხვა თესლთა აღმოცენება,
ფოთოლცვენილ და ნაგლოვარ
შტოთა კვლავ ქცევა წვენებად,
მოდგმათ გაწყვეტა, და იქვე
ახალ სიტყვათა ხსენება,
ვინ, სად დაიწყო ოდესღაც
ეს უსასრულო ჭენება?

მიუგნებია ბილიკი,
უსასრულოა სავალი,
დაბრკოლებანი ურიცხვი,
მტერი - მრავალზე მრავალი,
აღრეულ-აწეწილია
ჩვენი უფლება და ვალი,
სესხთ გასტუმრებას ვერ ასდის,
რაც მოვა აქ მოსავალი,
წინ უკაცური მხარეა,
არვისი მოჩანს ნავალი.

ის გვაცოდინა, სად მივალთ,
ან ვინ დაგვხვდება იქ ოდეს,
ან ისე რატომ ვიჩქარით,
თითქოს ამბავი მიგვქონდეს,
სად გაგონილა - მიზანი
არ ჰქონდეს, მაინც მიჰქროდეს,
სცნობდეს ცხოვრების
სიმუხთლეს,
მაინც ტკიპივით მიჰკვროდეს,
კვლავ ცეცხლს ელტვოდეს,
თუგინდაც
ძველ ცეცხლს ვერაფრით
იქრობდეს?

ან სადმე ჩვენზე მოფიქრი
და მაცქერალი თუ არი?
ურიცხვ აღვლენილ ვედრებებს
რად ხვდება მუდამ უარი?
რად არ გვითითებს, არსებობს
თუ სადმე გზა უტყუარი?
ვინ მალავს: ზეცა ფერცივი,
თუ მიწა განაფუარი?
თუ სუფევს სადმე - არ ისმენს,
ასე ცივი და ყრუ არი?

რამდენი ვინმე ცხოვრობდა -
მათგან რა დარჩა ნეტავი?
ყველას მიეჭრა სიკვდილი,
ყოველ გზათ გადამკეტავი,
ყველგან დრო-ჟამი მეფობდა,
ყველაფრის აღმგველ-
მკვეთავი,
გააქრო კვალი ყოველი -
აღარ ვართ მათი მხედავი.

მაგრამ თუ კვალი აღარ ჩანს,
რომ იყვნენ - რითღა
გვჯეროდეს?
მათ ხომ ვერავინ ხელახლა
ვერ გამოიხმობს ვეროდეს?
რაგინდ ეძებო - ვერ ნახავ,
მარტოდენ ქარი მღეროდეს,
არაქვეყნიურ ფერებით
არსება მიმოჰფეროდეს,
მარტოდენ ზეცა მდუმარი
არყოფნას გადმოსცქეროდეს!

ვინც არის, ყველას სულ ბოლოს
თუ ასე დაემართება,
უხსოვარობის მხარისკენ
სუყველა გაემართება,
სიცარიელის დროშები
ზეცამდე აემართება,
ყველგან მობნეულ ნანგრევებს
ახლები დაემატება -
ამგვარი ყოფა რას ნიშნავს,
ამ ფიქრებს რა ემართება?

ან იმ წარსულში ვინ იყო,
ან მომავალში ვინ არი,
ვინ დასძრა დროის ნაკადი,
ასე ბეჯითად მდინარი,
თუკი ახსნა და გაგება
მუდამ შორს, სადღაც წინ არი,
ხომ იგივეა, რომ იგი
არ გვაქვს, ვართ ყველა
მძინარი?
არაფერს ამბობს მზის შუქი,
გულუხვად მონაფინარი.

ან კი რად ითხოვს ყოველი -
სადმე რაიმეს ელოდეს?
ჩვენ საიქიოს რას ვაქნევთ -
ოღონდ სამზეოს ცხელოდეს?
რად გვეშინია, ყველაფრის
დასასრულს მიღმა ბნელოდეს?
რატომ გვგონია - მყობადი
ჩვენს აწმყოს რამეს
შველოდეს?
სურვილი ზეშეცნობისა
რად უნდა გაიმხელოდეს?

ხომ შეგვიძლია ვიფიქროთ:
რაც მოჩანს, მხოლოდ ეს არი?
მხოლოდ ის ჩნდება, რაც ოდეს
ჩვენგან არს დანათესარი?
მაგრამ მიღმიერ მხარისკენ
თვითვე ვართ შუქთა მკვესარი,
ხოლო ის შუქი გზად წყდება,
ჩვენც ვხდებით მიწყივ
მკვნესარი,
გონება ახლოს ბლაგვდება,
შორეთზე ანალესარი.

ის მაინც შევძლოთ, ამქვეყნად
კეთილი საქმე ვაკეთოთ!
მაგრამ ვერასდროს ვივანებთ
ვერც მთად და ვეღარც ვაკედო,
არსად ვინდომეთ, ელვარე
სიმართლის შუქი აგვენთო,
ერთმანეთს ვებრძვით,
ვექცევით
ცხოველ-ფრინველთაც მახედო,
შენდობის, ზავის სიტყვები
არ სწყდება ჩვენთა ბაგეთო.

არვინ გრძნობს: არსი
ცოცხალი
ყველა ჩვენივე თავია,
რამდენი ვინმე მოძმესთან
დაუნდობელად ავია,
რამდენმა მსხვერპლებს
უმანკოთ
დღე გაუთენა შავია,
თავს რომ კეთილად
გვაჩვენებს,
თვით ბოროტების ზავია;
სმენას მიზარავს, რამდენნი
სიკვდილის პირად ჰხავიან.

ჯერ გარიჟრაჟიც არ იყო,
ქვებს წაუმახეს კიდენი,
მერე მშვილდები მოღუნეს
და, მტრობას გადამკიდენი,
ხანჯლებსაც მალე მიადგნენ,
თვის ყოფის დამამშვიდენი,
მერე თოფებით შელენეს
სხვათა სიმშვიდის რიდენი,
დღეს უკვე წყალბადის ბომბი
ყველას უკუნში მიდენის!

არც მზის ნათება ამშვიდებთ,
არც ველთა აზურმუხტება,
დაჰყვეს მსოფლიო
საზღვრებით,
სხვის ბედზე არვინ წუხდება,
წუთიც არ გადის, რომ სისხლი
ბოროტად ათუხთუხდება,
მდინარის გაღმით მცხოვრები
გამოღმა მცხოვრებს უხტება,
„სხვა ქვეყნის“ ხალხის ზეცანი
ომების მტვერით რუხდება.

ისე უღებენ სხვებს ბოლოს,
თითქოს თვით დაუბადიათ,
ანდა თვით იყვნენ ოდესღაც
იმათი გამზრდელ-გადია,
ყველას ყოველთვის ერთურთის
სისხლის დალევა სწადია,
იმგვარად ნთქავენ „მოყვასებს“,
ვითომ ყველი ან მჭადია,
არავის ახსოვს, სამყარო
ვის ან რად - დაუხატია!

სხვა არსებებსაც ესხმიან -
ბნელი გონებით მძლავრობენ,
თუ დასჭირდებათ, ხანდახან
უხეშ ძალითაც მრავლობენ,
ძაღლებს, ბაყაყებს კვეთავენ,
დენს უტარებენ, „სწავლობენ“,
„ზოგად კანონებს“ ადგენენ,
ჰქელავენ და ნადავლობენ,
სად არვის მიუწვევიათ,
იმ მხარეებში მგზავრობენ.

ვერასდროს გრძნობენ, რა
ტურფად
კრთის ხე, ბალახი, ყვავილი,
რომ ზაფხულს მერცხალი
ამკობს,
ზამთარს კი ყვავის ჩხავილი,
კოშკების ზღვაში ჩაიხრჩოს
ლამის ძროხების ბღავილი,
მშვიდობის დროსაც ომი აქვთ,
ატკბობთ მსხვერპლების
ხავილი,
მშვიდად ვერ გაჩერებულან,
ხელის აწუხებთ ქავილი.

ამაზე შორსაც მიდიან -
ვერც კი წარმოიდგინება,
ზოგი თავადად ეკურთხა,
სხვამ მეგზურობა ინება,
ლამის ბუნებას მოსთხოვონ
დროის უკუღმა დინება,
გაგება ქრება, მკვიდრდება
მძლავრობა, სხვათა შინება,
მეფე მისთვის არს, სურს მონის
აფანცქალ-აქოშინება,
თუ მოინდომებს, მის ხორცის
მწვადებად აშიშინება!

ერთი რომ შრომობს, მეორე
ტკბება - ეს უკვე ძველია,
თანაც აქ მონა ვინ არის,
არც მარტივ-ასახსნელია,
მაგრამ ცხოვრება ნამდვილად
ამაზეც უფრო ბნელია:
ხოტბას მოითხოვს უწყვეტლივ,
ვინც მარტოოდენ მკვლელია!
აი, ამისი გაგება
ჩემთვის მრავალჯერ ძნელია!

მიეჭრებიან: „ამგვარად
შენ ნუ ფიქრობო“ - ბრძანებენ,
„ოღონდ ჩვენ ძალას არ
გატანთ!“ —
ამასაც დაატანებენ,
თუ მაინც „ისე“ იფიქრეს,
სასჯელს არ დაახანებენ,
თან დასჯას ისევ იმათზე
„წრფელ“ ზრუნვას
დაამგვანებენ:
„ვარდებოდაო უფსკრულში“ —
კიდევაც „დაინანებენ“.

ჭეშმარიტება სხვადასხვა
ჯგუფში სხვადასხვა არიო,
ნუ იტყვით, მთა რომ მთა არი,
ხოლო ბარი კი ბარიო!
ამნაირად ხომ ყოველი
ძალგიძს აბურდო, არიო,
ისედაც მოკლე საწუთრო
უფრორე ჩაამწარიო,
მსმენელებს ანატრებინო -
მალევე ვიყო მკვდარიო.

აი, ამგვართა არსებათ
დაფნები მონატრებიათ,
ზოგგან სრა-სასახლენია,
ზოგგან კი მონასტრებია,
„მოძღვრებებიც“ კი უგიათ,
არავის მოხათრებია,
თითქოსდა ადამის მოდგმა
თვითეულს მონად რგებია,
ეს ყოველივე ასეა -
არ ყურით მონათრევია.

ამ ყველაფრისგან გონებას
ქარი ასკდება სიცივის,
გინდა ვიღაცას შეება,
ოღონდ ჯერ არც კი იცი ვის,
თუ დაგვცქერს ზემო არსება,
ახლა ტირის თუ იცინის?
ან განა ახლა დრო არი
თავის ქნევის და ქიცინის?

ო, უმართლესო ჰანგებო,
სულის სიღრმიდან დაძრულო!
ო, ზეცის უსაზღვროებავ,
ასვეტილ-გადატაძრულო!
ო, სივრცეების კედლებო,
ურიცხვჯერ მიმოკაწრულო!
ო, გვირგვინებო ციურნო,
ჩვენი მოდგმისთვის დაწნულო!
ო, ცეცხლო აზროვნებისა,
მრავალჯერ მიმონაცრულო!

გზა გაგვინათე, გვაჩვენე
ჩვენ ჭეშმარიტი გზებია,
კვლავ განგვიახლე, სიმართლის
ცეცხლი თუ ოდეს გვგზნებია,
ჯერ არსებობის მინდვრებზე
კვლავ მოსამკელი ძნებია,
იყვირე: „ყველა არსება
ერთმანეთისთვის ძმებია!“ ,
დიდი ხანია, ეს ხმები
ჩვენ აღარც დაგვსიზმრებია!

რომ გაგვიბრწყინდეს არსება,
მოგვეცი ამის ძალია,
მჯერა, ჩვენს ჩავლილ
წარსულში
ღრმად ჩამარხული ალია,
ზოგმა ამ ალის აღდგენას
სიცოცხლეც კი შეალია,
ეს სხვანაირი წვიმაა,
სხვაგვარი ხის შრიალია,
ამა შრიალთა მოსმენა
ჩვენი მარადი ვალია.

არ შეიძლება, მყობადში
წმინდა სადგური არ იყოს!
არ შეიძლება დრომ გზები
უდაბურეთში წარიღოს!
არ შეიძლება დინებამ
ყველა ცალ-ცალკე გარიყოს!
არ ეკადრება სულიერს -
ბოროტის ხესთან მდგარიყოს,
ჭეშმარიტსა და მონაგონს
უუნათლესი ზღვარი ყოფს.

დაიძრას რწმენის მდინარე,
ზვირთთა მოიღონ ჩქაფანი!
იყოს თევზთა თუ დელფინთა
ზღვებში ხშირ-ხშირად
თქაფანი!
გამოჩნდეს დიდი მეგზური,
ცელით სიბნელის მკაფავი!
გაჰქროლდეს ჰუნე, ქარებმა
უგრიხონ ლაღი ფაფარი!
და ენთოს ზეცა - თვალუწვდენ
სამყაროს გადანაფარი!

24.10.1981.

შალვა საბაშვილი

საწუთროს ეტლი

1981 წლის 24 ოქტომბერს, 13 საათსა და 10 წუთზე, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის 1208 ოთახში (ასტრონომიის კაბინეტი) გონებაში გამირბინა სტრიქონმა: „ცაზე მზის სხივი აცურდა“, ორი საათის შემდეგ კი მაგიდაზე გასრულებული ნაწარმოები „საწუთროს ეტლი“ იდო. რატომ არ გამოქვეყნდა იგი დღემდე? ვპასუხობ: 8 000-ზე მეტი ლექსი მაქვს დაწერილი და ყველას ერთად ვინ დამიბეჭდავდა? ხელს მიშლიდა ლექსის დიდი მოცულობაც. იმასაც ხანგრძლივად ვამოწმებდი ხოლმე, გაუძლებდა თუ არა ესა თუ ის ნაწარმოები დროს. მთავარი დაბრკოლება კი ჯერ ირგვლივ გაბატონებულ იდეოლოგიასთან მისი სრული შეუთავსებლობა იყო, მერე - გარემოს გადართვა სხვა ღირებულებებზე და ა.შ. ახლა კი რატომ ქვეყნდება? იმიტომ, რომ მისი საწუხარი, თანაც მსოფლიო მასშტაბებში, ჯერ ოდნავადაც არ შემცირებულა.

ავტორი

იყო და არც არა იყო რა

მაია ციციშვილი

ოჯახი მემკვიდრეობითი სისტემაა, რომელშიც ინახება ინფორმაცია ჩვენი წინაპრების შესახებ.

საოჯახო რელიკვიები, ფოტოალბომები, წინაპრების ცხოვრების შესახებ მონაყოლი ამბები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა, ამ სისტემის შენარჩუნებისა და ამავე დროს საკუთარი იდენტობის შეგრძნების საშუალებაცაა. მართალია, მეხსიერება ცხოვრების რეალურ სურათებს ცვლის, მაგრამ ინახავს წარმოდგენებს მთავარ მოვლენებზე, რომლებიც იმ პერიოდის კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების სიმბოლოებადაა ქცეული.

ვეცხრე ბლოკი

თბილისი, 1996 წელი, თებერვალი, სიცივე, უშუქობა, ნავთის სუნით გაჟღენთილი ბინები, ქალაქის ელექტროენერგიით მომარაგება მკაცრი გრაფიკითაა. ყველგან, სადაც არ წახვალ, სასტუმრო ოთახში საპატიო ადგილას ძვირფასი ნივთივით ნავთის გამათბობელია გამოდგმული. შარშანდელთან შედარებით, ამ ზამთარს უფრო მომზადებული შევხვდით. წინა წელს, როცა გაზი, დენი და წყალი ერთდროულად გაითიშა, თანაც თოვლი უჩვეულოდ ადრე მოვიდა და მოყინა, მესამე ათასწლეულის დაწყების ნაცვლად პალეოლითში აღმოვჩნდით გადასროლილი.

მე და ჩემმა დამ, თამრიკომ, უკეთესი საცხოვრებელი პირობების გამო თავი მშობლების სახლს შევაფარეთ. თბილი, ცხელზე დიდი ხანია აღარაა ლაპარაკი, შხაპისგან მიღებული სიამოვნება რეალობას გავიწყებს და ძველ დროში გადაჰყავხარ. მერე გახსენდება, რომ თბილი წყლით ნებივრობის უფლება არა გაქვს.

— ვინ იბანავა? — კითხულობს თამრიკო, — მთელი დღე თბილი წყლის გარეშე დავრჩით, ახლა თქვენ გარეცხეთ ჭურჭელი გაყინულ წყალში. — თავი დამნაშავედ ვიგრძენი.

სახლში ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი და ექვსი უფროსი ვართ, ჩემი დედამთილი და დეიდაჩემიც საღამომდე ჩვენთან არიან. მეგობრები და ნათესავებიც ხშირად გვსტუმრობენ. დროის დისკურსიდან ამოვარდნილი მამაჩემი სტუმრების გამასპინძლებას ითხოვს. სცენის მიღმა, სამზარეულოში პატარა დრამა იმართება,

— რა გამოვიტანოთ, რაც არ გვაქვს?! — არ ნებდება დედაჩემი.

— ახლახან არ გაამზადეთ კომბოსტოს მწნილი, გამოიტანეთ კარტოფილთან ერთად, მე სარდაფიდან ღვინოს ამოვიტან.

— კომბოსტო ჯერ არ დამწნილებულა, კარტოფილი კი მთელი კვირა უნდა ვიმყოფინოთ. რომ გამოვიტანო, ამდენი ხალხი მშიერი დავრჩებით, — დედაჩემს ჰიპერბოლებით აზროვნება სჩვევია, მაგრამ ამ შემთხვევაში რეალობასთან ახლოა.

— რამ შეგაშინათ ასე, არა გრცხვენიათ?! — ბრაზობს მამაჩემი. დიდ სინზე ვდებ ნახევრად დამჟავებულ კომბოსტოს და სტუმრებთან გამაქვს. მაგიდა, რომელიც მამაჩემმა უსასრულოდ დააგრძელა და თითქმის მთელ შუშაბანდს იკავებს, „ძველი დიდების უტყვი მოწმეა“. მამას სიცივისგან მობუზულ ორ მეგობარს დამჟავებულ კომბოსტოს „პაატას თავივით“ წინ ვუდებ და კარტოფილის მოსამზადებლად სამზარეულოში გავდივარ.

ჩაბნელებული საღამოები, ყველა შუქის მოლოდინში.

— მოვიდაااა! — ყვირიან გახარებული ბავშვები. ასეთი სიხარულით მე და ჩემი და ბავშვობაში ახალი წლის მოსვლას ვეგებებოდით. ყველანი სასადილო ოთახში გავრბივართ. იმართება ბრძოლა ტელევიზორისთვის.

— გადართეთ, სჯობს, რამე ფილმს ვუყუროთ, — ითხოვს მამაჩემი.

— ფილმის ნახვის დროა ახლა? — ბრაზობს დედაჩემი, — ახალ ამბებს უნდა მოვუსმინოთ, არ გაინტერესებთ რა ხდება, ხვალ რა გველის?!

— არ გამოგრჩეს არც ერთი სიტყვა, უსმინე ასე მოჯადოებულივით მაგ ზღაპრებს, — ბრაზობს მამაჩემი.

დედაჩემს მაინც ზღაპრები ურჩევნია ბოევიკს. ამბავი მეცხრე ბლოკზეა. ზღაპრის დასრულების შემდეგ შუქი გვემშვიდობება. არა უშავს, ხვალ გააგრძელებენ, კიდევ ბევრი დარჩათ მოსაყოლი.

ჩემი და ფრთხილად იღებს ლამპას, ალადინის ლამპარივით ძვირფასს და ბავშვებს დასაძინებლად მიუძღვება. უფროსებსაც სხვა არჩევანი არ გვრჩება, იძულებითი ძილის რეჟიმზე გადავდივართ.

ქუჩიდან ისმის სროლის ხმა.

გამთენიას სიცივე გაღვიძებს, კიდევ ერთი გაძლების დღე თენდება. დილით გარეთ გასულს თვალში გხვდება მოღუშული სახეები, ნატყვიარი ჯიხურები, გაძარცვული მანქანები, მშიერი უპატრონო ძაღლები.

საღამოობით შუქის მოლოდინში კვლავ სამზარეულოში ვართ შეყუჟული.

თამრიკო, ბავშვები რომ რაღაცით გაართოს, რა წიგნიც ხელში მოხვდება, შლის და სანთლის შუქზე ათვალიერებინებს. ამჯერად როდენის ალბომს ანახვებს, „მოაზროვნის“ შესახებ უყვება, რომ ეს არის კაცი, რომელიც ბევრს ფიქრობს. იწყება ბავშვების დაუსრულებელი კითხვები: „რატომ არის ტიტველი? უკეთ ფიქრობს ტიტველი?.....

— იმიტომ რომ ნუდისტია, — სამზარეულოში შემოსული ნუგზარი და ზურა მხარულ განწყობაზე არიან.

ბავშვებმა ახალ სიტყვას მოჰკრეს ყური და წამოვიდა კითხვების კასკადი: „ეს კაცია ნუტისტი, რატომ არის ნუტისტი, კარგია თუ ცუდი ნუტისტი?“

— მოგისწრიათ დალევა, სად სვამდით, ანტარქტიდაში?! — ვეკითხები შემოსულებს. სამზარეულოსა და სასადილო ოთახის გარდა, ბინის სხვა ნაწილის „ათვისება“ გაზაფხულიდან იწყება, მანამდე იმ „სიცივის პოლუსში“ მოსაწევად თუ გავა ვინმე, თან სასმელიც უნდა დააყოლო, რომ არ მიეყინო იქაურობას. ექიმები გვაფრთხილებენ, რომ ნიკოტინი და ალკოჰოლი ნერვულ უჯრედებს კლავს. ნუგზარი და ზურაც იმ პოლუსში „სამკურნალოდ“ დადიან, ნერვული რომ ჩაიკლან და დაიტოვონ მხოლოდ მშვიდი.

გვერდითა კორპუსის ფანჯრები ნათდება. - ნახეთ, იმათთან ისევ ყველაზე ადრე მოვიდა! — ყველანი გვერდითა კორპუსს შევცქერით, მეზობლების ელექტროგაყვანილობა „ტოტალური თვალთვალის ობიექტად“ იქცა.

— აღარ ადუღდა წყალი?! — ბრაზობს მამაჩემი ჩაის მოლოდინში. რა აადუღებს, ოდნავ ბჟუტავს ცეცხლი.

— მერამდენე ჭიქას სვამ? — ვეკითხები გაღიზიანებული.

— აბა დამითვალეთ ახლა, გერმანელებთან ომი გამოვიარე, გაჭირვება, შიმშილი და მაშინ არ დაუთვლიათ ჩემთვის და ახლა საკუთარ სახლში ამათი შიშით ჩაი ვერ დამილევია!

— მოვიდააა! — ყვირიან ბავშვები.

ყველა სასადილო ოთახში გავრბივართ, „სიცოცხლე“ ბრუნდება. სამზარეულოში რჩება ადუღებული ჩაიდანი და ძირს დაგდებული „ტიტველი მოაზროვნე“.

სიგუას ნამცხვარი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩნდა ნანატრი თავისუფლების მიღების საოცარი გრძნობა, უკეთესი მომავლის რწმენა.

ნათქვამია, დამოუკიდებლობის გარეშე ქვეყანა ჰგავს სხეულს სულის გარეშე. ერმა სულიერება და რწმენა დაიბრუნა. შემდგომ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთის მხრიდან ზეწოლამ და გადატანილმა ომებმა მძიმე ეკონომიკური და ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია, იმედს შიში შეეპარა.

ცხოვრება დღითიდღე მძიმდებოდა; გაიწელა პურის, ნავთის, საწვავის უსასრულო რიგები, გაჩერდა ტრანსპორტი, „დადუმდა“ სკოლები, „დვიჟოკზე“ არასტაბილურად მუშაობდნენ საავადმყოფოები, გახშირდა სამსახურებში სალაროსთან გამოკრული განცხადებები: „ხელფასი არ დარიგდება“.

მაღაზიებში დახლები დაცარიელდა. იმ პერიოდში ფულით ნუმიზმატები თუ დაინტერესდებოდნენ, თორემ პროდუქტებს, განსაკუთრებით კვერცხს და კარაქს, ფულიც რომ გქონოდა, ძნელად „იშოვიდი“, აუქციონზე თუ გაიტანდნენ გასაყიდად.

ქაოსმა მოიცვა საქართველო.

აშშ-ში დიდი დეპრესიის წლებში (1929-1939), ჰერბერტ ჰუვერის პრეზიდენტობის პერიოდში, ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყნის კოლაფსი გამოიწვია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საშინელ სიღარიბეში აღმოჩნდა. დიდ დეპრესიას დემოგრაფიული პრობლემები მოჰყვა, გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა, მოიმატა კრიმინალმა. ამბობდნენ, ნიუ-იორკის ფინანსურ უბანში სტრესისგან გამოწვეული სუიციდის რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ სასტუმროს ადმინისტრატორები სტუმრებს გაფორმებისას შეკითხვით მიმართავდნენ: ოთახი დასაძინებლად სჭირდებოდათ თუ ფანჯრიდან გადასახტომად. ამ პერიოდში გაჩნდა პრეზიდენტ ჰუვერის სახელთან დაკავშირებული ტერმინები: გაზეთებს „ჰუვერის საბნები“ შეარქვეს, რომლებიც თითქოს საბნის ფუნქციას ასრულებდა, წყალწყალა წვნიანს — „ ჰუვერის სუპი“. მომრავლდა სხვა მსგავსი გაშარჟებულ სიტყვათა შეთანხმება.

აშშ-ს ანალოგიურად საქართველოშიც 1992-1993 წწ-ში სწრაფად გავრცელდა პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას სახელთან დაკავშირებული ტერმინები: „სიგუას მაიონეზი“, „სიგუას ნამცხვარი“, რომელთა რეცეპტი პროდუქტების რეკორდული სიმცირით გამოირჩეოდა.

უშუქობა, სიცივე შემაწუხებელი დისკომფორტია, მაგრამ სიტუაციის სიმძიმე კიდევ სხვა რამეა — ეს სამოქალაქო ომია, პოლიტიკური დაპირისპირების გამო შუაზე გახლეჩილი საქართველო, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების თარეში, განუკითხაობა, გატაცებული ადამიანები, საკუთარი სახლის წინ ჩაცხრილული ახალგაზრდები.

აფხაზეთი! სასიკვდილოდ გაწირული ხალხი, ამ მზიან მხარეში ბევრისთვის უდროოდ დაბნელებული მზე, სახლებიდან აყრილი, მშობლიურ კუთხეს მოგლეჯილი, საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილებად ქცეული ადამიანები. საშინელი გრძნობა დაუცველობისა, როცა ცხოვრობ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სახელმწიფოებრიობის არანაირი ნიშანი არ გააჩნია.

WELCOME TO CANADA!

ამ ურთულეს წლებში ზურას საზღვარგარეთ სამუშაოს ძებნის არაერთმა მცდელობამ საბოლოოდ შედეგი გამოიღო და კანადიდან, ქალაქ ტორონტოს საავადმყოფოდან შეთავაზება მიიღო.

ახლობლები მაცილებენ კანადაში, რომლის შესახებაც ბევრი არაფერი ვიცი. ცივი და შორეული, მაგრამ რაც მთავარია, მშვიდი და უსაფრთხო ქვეყანაა, იქ ნიაგარას ჩანჩქერია, უყვართ ჰოკეი და სვამენ ნეკერჩხლის სიროფს, ამით ამოიწურება ჩემი წარმოდგენა ქვეყანაზე, სადაც მივემგზავრები. ზურა უკვე რამდენიმე თვეა იქაა და გველოდება. ჩემს შვილებთან ერთად გამგზავრება კი სირთულებთანაა დაკავშირებული. ბავშვებისთვის ვიზის გაცემაზე მკაცრი მოთხოვნებია. საგარეო საქმეთა სამინისტროში ყველა მისვლაზე ახალ-ახალ სიურპრიზს მახვედრებდნენ დამატებითი საბუთების მოთხოვნის სახით, დასასრული არ უჩანდა.

ზურასთან ინფორმაციის გასაცვლელად ყოველდღიური კონტაქტი იყო საჭირო. კანადასთან სატელეფონო კომუნიკაცია ისეთი ფასი ღირდა, თითქოს ჩვენი გალაქტიკის მიღმა ყველაზე შორეულ გალაქტიკას უკავშირდებოდი. ჩემი მეგობრის, მაიას დახმარება რომ არა, რომელიც ამერიკელების ოფისში მუშაობდა და იმეილების გაგზავნის საშუალება ჰქონდა, კიდევ დიდხანს გაიწელებოდა ჩვენი ვიზების მიღების პროცესი. გრძელი სამუშაო დღის შემდეგ, რომელიც ზამთარში კიდევ უფრო გრძლად გეჩვენება, როცა ჩაბნელებულ ქალაქში სიარულს ყველა ერიდებოდა და ერთი სული ჰქონდა სახლში შეყუჟულიყო, მაია სამსახურის დამთავრების შემდეგ ოფისში ჩემ გამო რჩებოდა. მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი ნათია ყოველ საღამოს ვაკითხავდით სამსახურში. ჩაბნელებულ, უდაბნოდ ქცეულ ქალაქში უცხოელების გენერატორით განათებული ოფისი ოაზისივით იყო. კომპიუტერი ჩემთვის ამოუხსნელ ენიგმას წარმოადგენდა, ამიტომ ზურასთან მიმოწერას მაია აწარმოებდა. ხანგრძლივი პროცესისა და ნერვების „დაუზოგავად ხარჯვის“ შედეგად, როგორც იქნა მოვიპოვეთ კანადის ვიზები.

თბილისის გაპარტახებული აეროპორტი. ტორონტოში მოსკოვის გავლით მივფრინავთ.

— გიორგი, ქართული წიგნები ხომ მიგაქვს, კითხვა არ დაგავიწყდეს, — ეკითხება გიორგის ნანული ბებიკო.

— წიგნები არ ვიცი, ტროას გმირები მიმყავს, — ამაყად ამბობს გიორგი. ქეთი, გიორგის და ნინიკოს მამიდა, ძველი ბერძნულის სპეციალისტია. გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე გიორგის ტროას გმირების ხის ფიგურები და ცხენი აჩუქა, რომელიც სრული შემადგენლობით „მოჰყავს“ ტორონტოში, ასე რომ, არც მეტი და არც ნაკლები, მივემგზავრებით ტროას გმირებისა და ცხენის თანხლებით.

— შევხვდებით ონტარიოში, ნახე, თუ არ ჩამოგაკითხოთ, — ცდილობენ სიტუაციის გამხიარულებას ნესტანი და ნინო, ჩემი ბიძაშვილები.

— ტორონტოში არ მიდიხართ, აბა ესენი ონტარიოს რაღას გაიძახიან, — დაბნეულია დეიდაჩემი ლეილა.

— ტორონტო ონტარიოს პროვინციაშია, — ვუხსნი მე.

— ჰმ, პროვინციაში, — უკმაყოფილოდ თავს აქნევს დეიდაჩემი, — უფრო შორი ადგილი ვერ იპოვეთ წასასვლელად?

— იქითა ზაფხულს ხომ დაბრუნდებით?! — მამაჩემის კითხვა თხოვნას უფრო ჰგავს.

სადღაც წინ ერთ წერტილში ვიყურები.

— გადით აქედან, წამსვლელები დარჩნენ მარტო! — გვიყვირის აეროპორტის დაღლილი თანამშრომელი.

— ბავშვებს ვაცილებთ, — ეუბნება თვალცრემლიანი ნანული.

— ქალბატონო, აქ ყველა ვიღაცას აცილებს, დროის გასატარებლად არავინაა მოსული, აქეთ გადმოსვლა აღარ შეიძლება!

მოსკოვის რეისზე რეგისტრაცია დაწყებულია. ჩვენები იქით დარჩნენ.

— მიტრიალდით, დაუქნიეთ ხელი, — ვეუბნები ბავშვებს. ვიცი, მე თვითონ უკან მიხედვას ვერ შევძლებ, წინ ვიყურები.

მოსკოვის აეროპორტი, ვნუკოვო, არეულობა, აგრესიული სახეები. — პასპორტები! — კივის აეროპორტის თანამშრომელი ქალი, — ვისია ბავშვი? თვალები არ გაქვთ, ვერ ხედავთ სად მიძვრება! გააჩენენ შვილებს, მოვლა კი არ შეუძლიათ, — ელექტროდენივით გივლის ტანში მისი გამყინავი ხმა.

ტორონტოს აეროპორტი, სასაზღვრო და საპასპორტო კონტროლი. ჩანთაში ვეძებ პასპორტს, ვერ ვპოულობ, ვნერვიულობ. სასაზღვრო სამსახურის ოფიცერი მოთმინებით მელოდება, ვუწვდი, დიდხანს, ძალიან დიდხანს დაკვირვებით ათვალიერებს ჩვენს საბუთებს, მიბრუნებს და ღიმილით მეუბნება:

— ჭელცომე ტო ჩანადა! თავაზიან მომართვას გადაჩვეული, ეს სიტყვები ჩვეულებრივზე მეტ მნიშვნელობას იძენს. მოსაცდელ დარბაზში ზურა შორიდან ხელს გვიქნევს. ბავშვები გარბიან, მე მივდევ. ზურას გვერდით ხანდაზმული, სიმპათიური კაცი დგას, მის დანახვაზე ბავშვები ჩერდებიან. — გაიცანით ძია თენგიზი, ამ მოკლე ხანში ძალიან დავმეგობრდით, — გვაცნობს ზურა.

— გამარჯობა, ბაბუ, — ხელს უწვდის

გიორგის უცნობი. გიორგი ზრდასრული კაცივით ართმევს ხელს.

თენგიზს მანქანით სახლში მივყავართ. გზაზე აღტაცებით გვიყვება ტორონტოზე.

აეროპორტის გზა თავდება, ქალაქში შევდივართ. ხუთი საათი ჯერ არ არის, მაგრამ უკვე ბნელდება, იწყება ფერთა თამაში, ყველაფერი ანათებს: ვიტრინები, რესტორნები, მოციმციმე რეკლამები. მეც და ბავშვებიც აქეთ-იქით დაბნეული ვიყურებით, გასაოცრად სხვა გარემოში ვხვდებით.

ამ გაჩახჩახებული ქალაქიდან ძალიან შორს, გაყინულ, ჩაბნელებულ სახლში ჩვენები მიყუჟულან სინათლის მოლოდინში. სამსახურის მერე ნანული ჩვეულებრივ გამოყვება ჩვენი სახლის ამოსახვევს შვილიშვილების ნახვის მოლოდინით გახარებული, მაგრამ ფიქრებიდან სწრაფად გამოერკვევა და მხრებში მოხრილი განაგრძობს თავის სახლისკენ მიმავალ გზას.

ყურში ჩამესმის დედაჩემის და დეიდაჩემის ლაპარაკი,

— ჩავიდოდნენ უკვე?! რამხელა გზაა მაინც, — ოხრავს დეიდაჩემი.

— რამდენი დრო ჰქონდა მოსამზადებლად და მაინც ბოლო დღეს ჩალაგდა, ვიცოდი, რაღაცები დარჩებოდა, - ამბობს დედაჩემი. წვრილმანებზე ყურადღების გადატანა მთავარი პრობლემიდან გაქცევის საუკეთესო საშუალებაა ალბათ.....

— საათიც დაუტოვებია, — უკვირს დეიდაჩემს.

— წამოდით, საინტერესო რამეს მოგიყვებით, — ეუბნება მამაჩემი ჩემს დისშვილებს, დათოს და მარიამს. ბავშვები მოწყენილი მიჰყვებიან.

ცრემლებს ვებრძვი, უნდა მოვერიო, ცრემლებით ახალ ცხოვრებას არ იწყებენ, წინ ვიყურები...

მხატვარი **იაგო ნიკოლაძე**

ტორონტო

ტორონტომ ჩასვლისთანავე მომხიბლა, მშვიდი ქალაქია, ლამაზი პარკებით. ინფრასტრუქტურა საათივითაა აწყობილი, ტრანსპორტი წუთი წუთზე მოდის. ჩემს ნარმოდგენაში შეუთავსებელი ცნებების შეთავსება შესაძლებელი ყოფილა.

ჩვენი ბინა ნათელი და მყუდროა, საუცხოო კომფორტით: სარეცხი მანქანა, საშრობი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ელექტროტალღოვანი ღუმელი, დაიბნევა კაცი. როგორც ჩანს, სიბნელეში ხანგრძლივად ყოფნისა და სტრესის შედეგად ტვინის ის ნაწილი, სადაც ჰიპოკამპია, აშკარად დაზიანებული მაქვს, ვერც კოდებს ვიმახსოვრებ და ვერც იმას, რომელ ღილაკზეა ხელი დასაჭერი.

ჩვენს მრავალსართულიან შენობაში განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ხალხია თავმოყრილი. ზოგი თავის ნაციონალურ ტანსაცმელს ატარებს, რაც პირველ ხანებში 5 წლის ნინიკოს გაოცებას და ამავე დროს აღფრთოვანებასაც იწვევდა.

ხალხი კეთილგანწყობილია, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს იყოს ასეთი. აგრესიულად ემოციური გამოსვლები მიუღებელია, ასეთი ქცევით სოციალური ოსტრაკიზმის მსხვერპლი გახდები.

უცხო ადამიანებთან გამოლაპარაკება ჩვეულებრივი რამეა. მისალმების შემდეგ „მარტივი საუბრის“ დაწყებისთვის პირველი კითხვაა: „საიდან ხარ?“ — ეს გამოცნაურება ჩემთვის ჰგავდა რაღაც თამაშს — „გამოიცანი საიდან ვარ“.

ზოგი ისეთ ქვეყანას ასახელებდა, სახლში მისულს რუკაზე მიწევდა პოვნა. ზოგჯერ ქვეყნის სახელსაც ვერ ვიმახსოვრებდი.ზოგადად, ჩემს ცოდნას ოქსიმორონი „ნასწავლი უცოდინარი“ კარგად გამოხატავს.

ენის ბარიერიც პრობლემაა.

ასეთ მრავალფეროვან გარემოში სილბო გომერას ენის ცოდნა, სტვენით გამოლაპარაკება, გამოსადეგი იქნებოდა, დაგისტვენდა — დაუსტვენდი, შემოგისტვენდა — შეუსტვენდი და კომუნიკაციაც შედგებოდა. ჩემთვის საინტერესო იყო ნაკლებად ცნობილი კულტურის ხალხთან გამოლაპარაკება, ვატყობდი მათთვისაც, რადგან ბევრი არაფერი იცოდნენ საქართველოს შესახებ. მოკლე და იოლი გზაა სხვა კულტურის ადამიანების ცხოვრების წესის შესახებ მეტის გასაგებად.

ამ „ინფორმაციულ ბარტერს“ ორივე მხრისთვის „დივიდენდები“ მოჰქონდა.

ცოტა ხანში ბავშვები სწრაფად ალაპარაკდნენ ინგლისურად, ყოველდღიურად ვკარგავდი მათ თვალში „მცოდნის ავტორიტეტს“, უკვე ისინი მიხსნიდნენ რაღაცებს.

— რა ვერ გაიგე, — მეუბნება გიორგი, — კარზე თუ წერია “Push”, უნდა შეაღო, აქეთ კი არ უნდა გამოაღო. მე ყოველთვის პირიქით ვაკეთებ და ვეჯაჯგურები კარს გასაღებად.

— Push and pull, push and pull, ნახე რა ადვილია, — მაჩვენებს ხელით ნინიკო.

ჩვენი კორპუსი ემიგრანტებისაა, ამიტომ გადასვლა-გადმოსვლის მაღალი დინამიკაა, ახლად ჩამოსულების ამოცნობა რთული არაა, როგორც აქ ეძახიან „ემიგრანტები მინუს ღიმილი“.

ჩასვლისთანავე ყურადღება მიიპყრო ჩვენს სართულზე მცხოვრები კაცის საქციელმა. ისიც ახლად ჩამოსული ჩანდა. ქცევის არანაირი წესი ამ კაცმა არ იცოდა. მოჰკრავდა თუ არა თვალს, ვინმე ლიფტს რომ ელოდა, თითქოს შეჯიბრებაში იწვევდნენ, გაექანებოდა და ლიფტის მოსვლისთანავე ყველას შეასწრებდა შესვლას, ისე, რომ მხარიც შეეძლო გაეკრა. მეეჭვებოდა, რომ სიტყვა „ბოდიში“ ცხოვრებაში გამოეყენებინა.

„ერთხელაც ვცემ“, — იმუქრებოდა ზურა.

ზურას „საცემთა სიაში“ უმეტესად ახლად ჩამოსულები ხვდებოდნენ. ჩვენი მეზობლებიც თუ აწარმოებდნენ „შავ სიებს“, იქ ალბათ ჩვენთვისაც მოიძებნებოდა ადგილი.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ერთ „უცნაურ დღეს“, ამ კაცმა თავი დაგვიკრა და ლიფტში „ჭიდაობის“ გარეშე შევიდა. ჩვენც გავუღიმეთ, ზურას დაეკარგა მისი ცემის სურვილი. აქედან იწყება ათვლა, ანუ „მოქცევა კანადურად“. კანადაში ცხოვრება დაგარწმუნებთ, რომ თავაზიანობა გადამდებია და რომ ნეგატიური ემოციებისა და არანორმატიული ლექსიკის მოშველიების გარეშეც შესაძლებელია „პიროვნულად გადარჩენა“.

ნათქვამია, ყველანაირი შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, მაგრამ აქ ბევრი ჩამოსული გაკეთილშობილების წინაალმდეგია. იტალიელებს აქვთ ასეთი ფრაზა: “bel far niente”, რაც არაფრის კეთების სილამაზეს ნიშნავს.

კანადაში გადასახადები მაღალია, ჩამოსულების დიდი ნაწილი დაუღალავად შრომობს და უარს არ ამბობს არანაირ სამუშაოზე, მაგრამ შრომისუნარიან ადამიანთა რაღაც ნაწილი “bel far niente”-ს მიმდევარია. დასვენებით სიამოვნება არავის არ უნდა დაუშალო, მაგრამ სასურველია არა სახელმწიფოს მოტყუებისა და პატიოსან გადამხდელთა გადასახადების, არამედ საკუთარი შრომის ხარჯზე.

იაპონიაში გადაღლით სიკვდილს „კაროშს“ ეძახიან. ამბობენ, ყოველწლიურად ასეთი დიაგნოზით ათასობით ადამიანი იღუპებაო. რას იკლავენ თავს? ჩამოვიდნენ კანადაში და გამოაცხადონ “bel far niente”.

ისე კანადა ყველას იტევს და მფარველობს, ვინც დაუღალავად შრომობს და მათაც, ვინც არაფრის კეთების სილამაზეს „ჩასწვდება“. სოციალიზმს ბევრი კრიტიკოსი ჰყავს. მათი წარმოდგენით, თუ მთავრობა რაიმე სასიკეთოს აკეთებს მათთვის, ამას სოციალურ პროგრესად მიიჩნევენ, მაგრამ თუ მთავრობა იმავეს უკეთებს სხვებს, ეს უკვე სოციალიზმია.

DURA LEX, SED LEX

კანადაში შეუძლებელია არ დააფასო სახელმწიფოს ზრუნვა ბავშვებზე, შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებსა და ასაკოვან მოსახლეობაზე. ეს ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია, რომლებიც ქვეყნის მორალურ სახეს განსაზღვრავს. ბავშვთა უფლებები აქ უსაზღვროდ დაცულია, კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ საზოგადოება უკეთესობისკენ ფუნდამენტალურად რომ შეიცვალოს, ცვლილებები ბავშვებიდან უნდა დაიწყო. მომავალში სწორედ მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები, როგორ საზოგადოებაში სურთ რომ იცხოვრონ. აგრესიულ ატმოსფეროში გაზრდილები, დიდი ალბათობით, მომავალში თვითონაც გამოიყენებენ მას. ფსიქიატრების აზრით, სოციოპათებს ხშირად ადრეულ ასაკში რაიმე სახის ფსიქოლოგიური ტრავმა აქვთ მიღებული. ახალგაზრდებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სამყარო მათზე ძალადობდა, ხშირად შურისძიების გრძნობა ამოძრავებთ. საშიშია, როცა ასეთი თაობა ქვეყნის სათავეში მოდის. აგრესიული გარემო, სიძულვილის კულტივირება დანაშაულია მომავალი თაობების და შესაბამისად, ქვეყნის მიმართაც. შვილები შენი საკუთრება არაა, ამიტომ აქ ნებისმიერი ძალადობა მშობლების მხრიდან მიუღებელია, ისევე როგორც სკოლებში აღზრდის ავტორიტარული მეთოდები. ერთხელ მე და ჩემი ახლადშეძენილი მეგობარი ლალი შვილებთან ერთად კაფეში ვიყავით. როდესაც ბავშვები ზღვარს გადავიდნენ და წესიერებისკენ „პატარა შეჯანჯღარებით“ მოვუხმეთ, მახლობლად მჯდომი ქალი მრისხანე მზერით ჩვენკენ გამოემართა და უფასო კონსულტაცია გაგვინია აღმზრდელობით მეთოდებზე. დასავლური კულტურისათვის მისაღები არაა სხვის საქმეში უხეშად ჩარევა, განსჯა, შენიშვნების მიცემა, თუმცა ბავშვებზე ეს არ ვრცელდება.

ტორონტოში ჩასვლიდან სულ რამდენიმე დღეში სკოლიდან დაბრუნებულმა გიორგიმ გვახარა, რომ მის კლასში აზერბაიჯანელი ბიჭი სწავლობს, რომელიც ჩვენივე შენობაში ცხოვრობს.

მალე იმრანის, ასე ერქვა გიორგის კლასელს, ოჯახთან დავმეგობრდით, ისინიც ჩვენ მსგავსად ახალ გარემოსთან შეგუების პროცესს გადიოდნენ.

ზაფხულში მე და იმრანის დედამ, ელმირამ, ბავშვები „ვანდერლენდში“ — კანადურ დისნეი ლენდში წავიყვანეთ. იქ ძალიან ვიყოჩაღეთ, უზარმაზარ რიგებს ჩიტივით გადავუფრენდით ხოლმე. ჩვენმა „მოხერხებულობამ“ გამოაჩინა, რომ საბჭოთა ტრენინგს ფუჭად არ ჩაევლო. სანამ კანონმორჩილი ხალხი ერთი ატრაქციონის რიგში მზეზე იხრუკებოდა, ჩვენ რამდენიმე უკვე მოვლილი გვქონდა. რიგში მდგომნი რამეს თუ შემოგვკადრებდნენ წესების დაცვის თაობაზე, ელმირა „მარჯვე სიტყვით“ თავიანთ „კუთვნილ რიგში“ აყენებდა.

ზოგ ატრაქციონზე ბავშვს, თუ სიმაღლეში ნებადართულზე ნაკლები იყო, მისივე უსაფრთხოებისთვის შესვლა არ ეკუთვნოდა. ნინიკო, რომელიც მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა, მაინც ყველგან „შევაძვრინეთ“. კანონის დამარცხება ხომ საბჭოური ჰობი იყო.

კანონის კუთხით თუ მივუდგებით, ყველაზე თავისუფალი საბჭოთა ადამიანი იყო. არაფერი იდგა ადამიანზე მაღლა, არანაირი კანონი და რეგულაცია. დასავლეთში გაიძახიან კანონზე მაღლა არავინ არ უნდა იდგესო, სისულელეა რაღაც. ჰუმანურ საზოგადოებაში ასე არაა, ყველაზე მაღლა უნდა იდგეს ადამიანი, ამიტომაც მოიგონეს საბჭოთა კავშირში „საბჭოთა ჰუმანიზმი“. ვინმეს სმენია სკანდინავიური ანდა ავსტრალიური ჰუმანიზმის შესახებ? არა, არ გააჩნდათ და როგორ გავიგებდით. დიადი იდეებისთვის ახშობდნენ თავისუფალ აზრს, სასტიკად უსწორდებოდნენ განსხვავებულად მოაზროვნეებს, მიზანი ამართლებდა საშუალებას. ასე იქმნებოდა „საბჭოთა ჰუმანიზმი,“ რასაც მოჰყვა კონფორმიზმის ეპოქა. თუმცა იყვნენ ადამიანები, რომლებიც არათავისუფალ ქვეყანაში „ბედავდნენ“ თავისუფალ აზროვნებას, რისთვისაც ხშირად მძიმე საფასურის გადახდა უწევდათ.

წლისთავზე „ვანდერლენდ პარკში“ სტუმრობისას მე და ელმირა უკვე მოთმინებით ველოდით ჩვენს რიგს, ვითვალისწინებდით უსაფრთხოების ზომებს, აღარ ვებრძოდით კანონს, თუმცა ზოგი კანონი მთლად სამართლიანად არ მიგვაჩნდა. პარკში საჭმელების შეტანა ნებადართული არ იყო. ბავშვებისთვის დისნეი ლენდის ტიპის პარკები სანატრელი სივრცეა, სადაც მათი ოცნებები სრულდება, თუმცა ოჯახის ბიუჯეტისთვის არცთუ ისე „უსაფრთხო ადგილია“, რაც განსაკუთრებით მძიმეა დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის. რას იზამ, კანონს არ გააჩნია თანაგრძნობა. ამერიკელი მწერალი უილიამ გადისი ხუმრობდა: სამართლიანობა? თქვენ მიიღებთ მას შემდეგ სამყაროში, ამ სამყაროში კი გვაქვს კანონი. DURA LEX SED LEX, მკაცრია კანონი, მაგრამ კანონია.

ვიეთიური ჭიქა

ახლადჩამოსულებისთვის უცხო ქვეყანაში ბევრი რამ არის ახალი და საინტერესო, დასაწყისში ერთგვარ ეიფორიაში ხარ, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ კი იწყება ნოსტალგია.

მომენატრა ჩემი დიდი და ხმაურიანი ოჯახი.

— სტადიონზე მგონია თავი, — წუწუნებდა დედაჩემი სტუმრების გაუთავებელი მისვლა-მოსვლით გაბეზრებული, ტელეფონიც არ ჩერდებოდა. „კავშირგაბმულობის სადგურია“, ხუმრობდა დეიდაჩემი.

დედაჩემს ბევრი ნათესავი ჰყავდა, გოლზუორთის ფორსაიტებივით აგერეოდათ ვინ ვისი და ან ძმა იყო. წვეულებების დროს სუფრაზე დედაჩემის ნათესაობა ჭარბობდა, რასაც მამაჩემი ხუმრობით ცოლის ნათესავების კულტურულ ექსპანსიად მიიჩნევდა. დედაჩემის ორ დასა და ძმას მამაჩემმა „სასწრაფო დახმარების ბრიგადა“ შეარქვა. მამაჩემს უყვარდა სტუმრების დაუგეგმავად მოყვანა. დედაჩემს მოულოდნელობების მართვა უჭირდა, ამ დროს სასწრაფო ბრიგადა ადგილზე ჩნდებოდა და დედაჩემი „კრიზისული ვითარებიდან“ გამოჰყავდათ. მამაჩემს ერთი ძმა ჰყავდა, დათო. ისეთი ძმობა ჰქონდათ, დღე არ გავიდოდა ერთმანეთი არ ენახათ, რძლებთანაც მეგობრობდნენ და შვილებსაც საკუთარისაგან არ არჩევდნენ.

მამაჩემის მწერალთა კავშირში მუშაობის პერიოდში ხშირად გვყავდა უცხოელი სტუმრები, უმეტესად სოციალისტური ქვეყნებიდან. ქართულ ქეიფს მიუჩვეველი უცხოელებისთვის სუფრა მოსაწყენი რომ არ გამხდარიყო, მამაჩემი ცდილობდა მათ გამხიარულებას. გახალისების ერთ-ერთ აუცილებელ რიტუალში მის მიერ აჩემებული ჭიქის სუფრაზე გამოტანა შედიოდა. სტუმრებს უხსნიდა ეს უძველესი ჭიქა ჩემი წინაპრების ნაქონიაო და ამ ჭიქით სვამდა განსაკუთრებულ სადღეგრძელოს. სტუმრები აღფრთოვანებით შეჰყურებდნენ ამ საოჯახო რელიკვიას. ბოლოს მამაჩემმა თვითონაც დაიჯერა ეს მითი. უფრო და უფრო ეშხში შედიოდა და ჭიქასაც წლები ემატებოდა.

სტუმრობის დროს სუფრაზე ყოველთვის ჩვენი დიდი ოჯახით ვიყავით წარმოდგენილი, რაც უცხოელებს ძალიან მოსწონდათ. ერთმა გვითხრა: ბედნიერი ხალხი ხართ, ასეთი ახლო ურთიერთობა რომ გაქვთ ერთმანეთთან, მე ორი ძმა მყავს. სამწუხაროდ, ძმისშვილებს იშვიათად ვნახულობ, აღარც მახსოვს რამხელები არიანო. ერთი წლის შემდეგ ის კაცი ისევ ეწვია საქ-

▶▶ დასასრული მე-16 გვ.

ირმა არახამია-ჩიქოვანი

ბაბიანე

ჟამთააღმწერელი წერს ისტორიას,
მომავალს შეუნახოს წარსულის მატიანე,
რანი ვყოფილვართ, როგორ გვიცხოვრია,
რა გამოგვივლია, რა გვაერთიანებს.
რამდენი საუკუნის წუთები აგვითვლია,
რამდენი გვიფურცვლია ცხოვრების
მატიანე,
რამდენი ისეთია, რაც ჩვენ არ ვიცით და
ცხოვრება არ გვინახავს, მწარედ
ატიალებს.
და ეს ისტორია გვინახავს ისტორიას,
როგორ ვაშენებდით, გზა როგორ
გავიარეთ.
თავი არასოდეს, აღარ დაგვიხრია ,
მრავალგზის აღვსდექით, არ გავანიავეთ.
რა დიდებულია ჩვენი ისტორია,
უკვდავი გმირობები შიგ მუდამ ტრიალებს,
რამდენი დაცემა და რამდენი აღმაფრენა,
რამდენი დიდებული წლები გავიარეთ.
ჟამთააღმწერელი წერს ისტორიას
ნაწერს უთმელად, უხმოდ ახმიანებს.
დიდებულება გვიყურებს წარსულიდან,
აწმყო მომავლის დროშას აფრიალებს.

დაიცავი საქართველო

წიხლს ნუ ურტყამ საქართველოს
იცოდე, რომ ძლიერ სტკივა,
მრავალი წლის ნაამაგარს,
გულზე აწევს დარდი ტვირთად.
ნუ დაკუწავ საქართველოს,
შენ უფლება არ გაქვს მისგან,
მას აწუხებს წვეთი სისხლიც,
რომ დაღვარა მისთვის გმირმა.
ნუ გათელავ საქართველოს,
იცოდე, რომ იცავს წმინდა,
წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი,
უფლის კვართი, დედა ღვთისა.
ნუ გაუყოფ საქართველოს,
ნურც ერთ მხარეს, ნურც გოჯ მიწას,
ოდითგანვე ვიცავთ, ვიბრძვით
მთლიანი გვსურს ჩვენი მიწა.
ნუ მოუსპობ საქართველოს
ქართულ ენას, რწმენას წმინდას
საქართველო ტაძარია
აღვლენილი ლოცვად წმინდად.
გაუფრთხილდი საქართველოს
მამა-პაპათ ხსოვნას წმინდას,
მუდამ გქონდეს სიყვარული
ციცაბო მთის, სალი კლდისა.
ნუ გაყიდი საქართველოს
უფლისაგან ნაკურთხ მიწას,
დააფასე სანტიმეტრიც,
შენი მიწის, შენი ცისა.
დაიცავი საქართველო,
უკვდავია ჩვენი მიწა,
სამოთხეა დედამიწის
უფალმა გვყო ამის ღირსად.

შენია

შენია ეს მთა, ეს ველი,
ეს სილაჟვარდე ცის.
სალი კლდის თავზე შემჯდარი
არწივი ქარაფის,
ჩანჩქერს მომწყდარი წყლის წვეთი,
ძირს ნაკადული თრთის,
ცივ წყალს მცურავი კალმახი
და სიახლოვე ცის.
მწინვარწვერს თოვლი მარადი,
სხივი ნატყორცნი მზის,
ეს საქართველოს მდელოა,
სიო ნარნარი ქრის.
ლურჯთვალა ია ყვავილობს,
სადღაც შვლის ნუკრი რბის.
შენია ეს სანაპირო,
სილურჯე შავი ზღვის,
თეთრი თოლიას ლივლივი,
როცა ტალღაზე ხტის.
შენია იმერ-ამერი
ყველა კუნჭული გზის.
პატარა კენჭი დიდ ლოდთან
სასაუბროდ რომ ზის.
მთის მდინარეთა ნაკადი
ბარად რომ ჩამოდის,
სიმდიდრე შენი ბუნების,
ვიცი სიხარულს გგვრის.
ეს შენი საქართველოა,
კურთხეულია ღვთით.

სურვილი

არ უეჭვია ოდნავაც, არ უეჭვია გულს.
სურდა ოცნების ახდენა, ნეტავ რას
ითხოვს ცუდს,
მან მეგობარი ინატრა, ხელი ჩასჭიდოს
სურს.
ფარად რომ ჰყავდეთ ერთურთი,
ხელი-ხელს მისცენ სულ.
მან სიყვარული ინატრა, გვერდით რომ
ჰყავდეს სურს,
სულ სიყვარული ფეთქავდეს, მალამოდ
ეცხოს გულს.
მან ერთგულება ინატრა, ღალატს არ
მისცემს გულს.
მართალი სიტყვა ინატრა, ფლიდი არ იყოს
სურს.
ბედნიერება ინატრა, სიხარული სურს
გულს.
ღიმილი მრავლად აჩუქოს, კონებად
გასცეს სურს.
არ უეჭვია ოდნავაც, არ უეჭვია გულს,
სურდა ოცნების ახდენა, ნეტავ რას
ითხოვს ცუდს.

ყინვის ბეუფე

დეკემბრის თვეში შევიყვარე მე ხეტიალი,
მარტომ, ქუჩებში სუსხის ამარამ.
მე სუსხი მათბობს, განა მამცივნებს
ჰაერში ქართან შევკრავ კამარას.
როცა ზამთარი ასე მძვინვარებს,
ყინვა მოყინავს ქუჩებს კვლავდაკვლავ,
მე სუსხთან ერთად დავალ მარტოკა
მარტოდ, უჩინრად, ყინვის მხარდამხარ.
ყინვა გამოძერწს ლამაზ ლოლოებს,
თოვლის დედოფალს უფენს შარაგზად,
მალე გაივლის თეთრი მარხილი
მისებრ უშიშრად, მისებრ ამაყად.
თოვლის დედოფლის ცივი სამყოფი,
მიწვევს თავისთან ყინვის თანამგზავრს,
მე ვესტუმრები ყინვის სამეფოს,
მინდა მასპინძლის სახის დანახვა.
ყინვის სამყაროს ცივი მეუფე,
ხელს გამომიწვდის, ზეიმს გამართავს.
თოვას დაიწყებს დეკემბრის ზეცა,
თოვლის ფანტელებს ცაში გაფანტავს.
დაეფინება თეთრი ფანტელი,
დედამიწაზე ვერცხლის ფარდაგად,
მოიქარგება ირგვლივ სამყარო
ისე საოცრად, ისე ლამაზად.
დიდებულია თოვლის ფანტელი,
დედამიწას, რომ ვერცხლისფრად ქარგავს.

ნაზვრა

მე მინდა ვიფიქრო მხოლოდ სიკეთეზე,
მხოლოდ ხალისზე და მხოლოდ იმედებზე.
მინდა აღარ იყოს სასონარკვეთა,
გულში წუხილი და ბოროტის დათესვა.
მინდა აღარ იყოს დარდი, მწუხარება,
მხოლოდ სიხარული, მხოლოდ გახარება.
მინდა აღარ იყოს მტრობა, ორგულობა
შური აღარ იყოს, ჩაგვრა, მოძულება.
მინდა სამყარო მხოლოდ ბედნიერი,
მეტი მეგობრობა, მეტი ერთგულება
მინდა, რომ შევკრათ სიკეთე კონებად,
ღიმილი ჩამოვღვაროთ ირგვლივ
ჩანჩქერებად.
მრავლად მიმოვფანტოთ ირგვლივ
სიყვარული,
სამყაროს მოვაფრქვიოთ ღიმილი
სიხარულის.
ერთმანეთს ჩავჭიდოთ ხელი მეგობრობის,
წარსული გავიხსენოთ კარგი მოგონებით,
იმედი ჩავუსახოთ ერთმანეთს
ხვალისთვის,
წამით არ დავკარგოთ ცხოვრების
ხალისი.

მონაგრეგა

გულმა სიყვარული ვეღარ დაიტია,
გარეთ გადმოხეთქვას ლამობს.
ჩემო პაწაწინა თეთრო მაგნოლია,
მენატრები და გნატრობ.
ირგვლივ საოცარი ფერთა ქაოსია,
ფოთლებს ქარი ცაში ართობს.
ჩემი გული შენზე ფიქრებს აჰყოლია,
შენზე მოგონება მატკბობს.
შენი სიყვარული მინდა გამოვძერწო,
ჩანჩქერად გადმოვღვარო, კარგო,
შენზე მონატრება ვიცი გამაგიჟებს
და მალე შეხვედრას ვლამობ.
ბულბულს ვარდებისთვის ჰანგი
მიუძღვნია,
მუსიკა სივრცეს ავსებს, ატკბობს.
სურნელი ყვავილების მინდვრებს
მოსდებია,
შენკენ მოვილტვი და გნატრობ.
შენი სიყვარული საზღვრებს გასცდენია,
ჰაერს მოსდებია, კარგო.
ამდენი მოთმინება უკვე სასჯელია,
უნდა გიპოვნო და გნახო.
გულში ლურჯი ია მრავლად ამოსულა,
კონებად უნდა შევკრა მარტომ,
ჯარი ყვავილების ჩემი ნატვრებია,
გულიდან ამოვიღე, კარგო.

რწმენა

მე რაც გულში მქონდა, უნდა ამოვიღო,
გამოვამზეურო კარში.
აზრებს გზები მივცე, კვალი გავუკვალო
ჩემს ნაფიქრს მივუძღვნა თავი.
ჩემი ღრმა ბავშვობა ცხადად გავიხადო,
ვაცოცხლო გულში პატარა ბავშვი,
პატარა გოგონა ნათელი თვალებით,
ოცნებებს ისახავს, იმედი დიდია მასში.
არვის აქვს უფლება იმედი ჩაგიკლას,
თვალწინ მოგიხუროს კარი.
ცხოვრება შენია, შენი სავალია,
ნუ ჩაიმუხლები, წადი.
ამქვეყნად, ხომ ყველას თავისი ვალი აქვს,
ჩვენ ღმერთის შვილები ვართ,
გვწამს ჩვენი მრწამსის.
რწმენა ერთადერთი ურყევი საგანია
ის დაგეხმარება, წადი.

არ შემიძლია

არ შემიძლია მე გამოჩენა, ვიქნები ჩუმად,
დავწერ თუ ვიტყვი, აზრი არა აქვს ურვას
და წუხვას,
არ შემიძლია მე სიხარული, ვეძლევი
ჭმუნვას.
ვგრძნობ, რომ ვირყევი, მიწა მეცლება
ფეხქვეშ და ვდუმვარ.
არ შემიძლია მე ორგულობა,
ძმადნაფიცობის ფიცის გატეხვა,
გიბრუნებთ ხურდას.
არ შემიძლია საძირკვლის მოშლა,
მე სინანულს ვგრძნობ მამის წინაშე, ვერ
ვირგებ ნუგბარს.
არ შემიძლია მე სიყვარული უცხო
ტომების,
ვინც ჩემს მიწა-წყალს ბურღავს.
მე ჩემი მინდა აწმყო მყოფადი,
მომავალი და
ვაგრძელებ სუნთქვას.
არ შემიძლია მე უნუგეშო აზრების ბრუნვა,
ჩემი სინდისი ჩემს სიტყვაშია, ფიცი
არ უნდა.
არ შემიძლია, არ შემოგწიროთ ჩემი
გულისთქმა, ფიქრი და ზრუნვა
მე თუ ნუგეში ვერ მოგიტანეთ, ამისთვის
ვწუხვარ.

წვიმა

ისე კარგი იყო, გუშინ წვიმის თქეში,
წვიმა მასველებდა ნაზად.
ირგვლივ ღვარი იდგა, წყლის
კორიანტელი,
მე წვიმის სინაზის მწამდა.
ო, რა კარგია წვიმაში ყოფნა,
წვიმა მოგონებებს აშლის.
აღარც ქოლგა გინდა, აღარც საწვიმარი,
აღარც შეფარება თავის.
ირგვლივ წვიმდა, წვიმდა, ფეხებს
მისველებდა,
ტანზე აღარ შემრჩა მშრალი,
მაგრამ ისე მიყვარს, იმდენად ჩემია,
წვიმას მე მივანდე თავი.
ცაში ავიხედე, ზეცა შავად ჩანდა,
არ ჩანდა სინათლის პწკარი.
წვიმისთვის ღრუბელს სავალი მიუცია,
მისთვის გაუღია კარი.
უკვე ბნელდებოდა, ყველა იჩქაროდა,
ისევ მსურდა ყოფნა გარეთ.
წვიმა ჩემი იყო, ჩემი ფიქრის ფერი,
წვიმისფერი გახდა ღამე.

წავიღი ჩემთან

ოქროსფერ ფოთლებში სურნელი აიმღვრა
შემოდგომის და სხვადასხვა ფერები,
ირგვლივ მიმოიფქვრა შემოდგომის მზე,
მე მოგეფერები, მე მოგეფერები.
ქარვისფრად შეიფერა ყურძენთა
მტევნები,
ღვინის სურნელია ქვევრში.
ცახცახებს ხის ტოტზე გამხმარი
ფოთოლი,
მე მოგეფერები, გამოდი გარეთ.
ბაღნარში ხალისია, სავსეა ხილნარი,
ყველა შესევია ყანებს,
მინდა გაგაცინო, მინდა გახალისო,
შენ გარეთ გამოდი მალე.
ბეღელი სავსეა ხვავით და ბარაქით,
ფუტკარი ყვავილს პარავს ნექტარს,
მინდა მოგეფერო, მინდა ჩაგეხუტო,
გარეთ თუ გამოხვალ, ნეტავ.
ქარი აფარფატებს ხეთა ფერად ფოთლებს,
ბედნიერება ფეთქავს.
მინდა შემიყვარო, მინდა შემითვისო,
მინდა წამოხვიდე ჩემთან.

მოსწყურდა

მას სიყვარული ისე მოსწყურდა,
ისე მოსწყურდა ოცნება ეთქვა.
ისე მოსწყურდა, რაღაც სინაზე,
ბარათაშვილის საყურე ერქვა.
ნაზი საყურე, მთრთოლვარე, მშფოთვი,
სიყვარულს ითხოვს, გაჰყურებს ზეცას
ოცნებებს გულში მრავლად ინახავს,
მოლოდინს ირჩევს, არ ითხოვს შველას.
მას მეგობრობა ისე მოსწყურდა,
უმეგობრობის საშინლად შერცხვა.
ძმადნაფიცობის ფიცი მოსწყურდა,
მგოსან ფშაველას მრავალჯერ ეთქვა.
მას სიკეთის ქმნა ისე მოსწყურდა,
ისე მოსწყურდა რაღაცის თესვა,
ნაყოფს მოისხამს კეთილი სიტყვა,
რაც კი მრავლად სთქვა, რაც კი რამ თესა.
მას მასპინძლობა ისე მოსწყურდა,
სტუმარ-მასპინძლის ურყევი ფიცი.
ალხასტაისძის სიტყვა მოსწყურდა,
მისი ნათქვამნ, ფოლადად თლილნი.
პატივისცემა ისე მოსწყურდა
მეგობრების და ყველა ქართველის.
მას საქართველოს მიწა მოსწყურდა,
ერთიანის და გულ-მკერდგაშლილის.

მოხუცი მეეზოვე

მოხუცი მეეზოვე ცოცხით ხელში, გვის
ეზო-ქუჩებს,
ფოთლებს დახედავს, ქარში დაყრილთ,
ფიქრდება უცებ,
რამდენი შემოდგომა, რამდენი წელიწადი
განვლილა უცებ.
რამდენი მოგონება ფიქრში აირევა,
მიჰყვება ქუჩებს
ყველა ეზოში ჰყავს სანდო მეგობარი,
გულის დარდს უმხელს.
ერთად ეღიმებათ, ერთად ეტირებათ,
კარგზეც და ცუდზეც.
მოხუცი მეეზოვე ეზოში მოფუსფუსე,
ყველას ესალმება,
ღიმილით უმზერს.
მართალი სიტყვით, კეთილი გულით,
მისდევს ცხოვრების გზას
სწორ გზას არ უხვევს.
მოძმის სიხარული, მოძმის გასაჭირი
ხვდება მას გულზე.
სიკეთე თესა, პირნათლად ფურცლავს
ყველა დღის ფურცელს.
მოხუცი მეეზოვე ცოცხით ხელში მიჰყვება
ქუჩებს.

მე მოსაუბრე არ ვარ

მე მოსაუბრე არ ვარ, უფრო გამომდის
წერა.
აზრებს ვერ ვუყრი ნათქვამს, კალამს
მივყვები ხელად.
ჩემი ნათქვამი სიტყვები იფანტება და
ქრება,
ფურცელზე წერა ჩემია, კალამი ჩემს
აზრებს ძერწავს.
წერა ნააზრევის ისეთი კარგია, გონებას
შველის და კვებავს.
არ არის საჭირო ზედმეტი საუბარი, ვწერ
მარტივად და ხელად.
ნაფიქრს მივუყვები, მოქარგვა ადვილია,
კალამი ჩემს ხელში ფეთქავს.
ფურცელზე დავწერე მე ჩემი ჰარმონია,
დავწერე, რაც კი რამ მწამდა
ჩემი ნაამბობი, ჩემი აგონია, ფურცელზე
ასმაგად ჩანდა.
მე ვმართავ კალამს, მივყვები ფურცელს,
აზრებს გამოვძერწავ მასში,
ჩემში გაიღვიძა სულის ჰარმონიამ,
მე ფრთებს ამ კალმით გავშლი.

შეხვედრა ფიქრში

საიდანა ხართ ქალბატონო,
საით მიდიხართ,
გთხოვთ, იქნებ მითხრათ.
თუ აღარ მეტყვით, სხვა რა გზა დამრჩა,
უნდა გამოგყვეთ მაშინ მე ფიქრად.
იქნებ ამ ფიქრში მივაგნო იმ გზას,
თქვენი ფეხსაცმლის კვალი ემჩნევა.
რა ბედნიერი გავყვები იმ გზას,
მსურს ქალბატონო თქვენთან შეხვედრა.
თუ განიზრახავს ფიქრი დაწევას,
თუ გადაუჭრის გზას თქვენს ბილიკებს,
გთხოვთ აპატიოთ ფიქრს, ქალბატონო,
თუ ჩახუტებას თქვენთან იფიქრებს.

ილიტეს ეზო

რაჭაში, ჩემს პატარა, ოღრო-ჩოღრო სოფელში, ერთი მიტოვებული ეზოა, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ილიტეს ეზოს ეძახიან. სხვებისთვის, უფრო ახალგაზრდებისათვის, შეიძლება ეს სახელი არაფერს ამბობდეს, მაგრამ მე შევესწარი ამ სახლისა და ეზოს პატრონს . კარგად მახსოვს ხანშიშესული, სანდომიანი ქალი, სახელად ილიტე, გვარად გოგილიძის ქალი, რომელიც გლახუნა ფანჯიკიძის ცოლი ყოფილა.

ილიტეს პატარა, ერთსართულიანი სახლი ედგა. ჩვენს რაჭის მამაპაპეულ სახლს და მის სახლს მხოლოდ ერთი ღობე ყოფდა. ქმარი, რომელიც ჩვენ ნათესავად გვერგებოდა, ადრე გარდაცვლილა. შთამომავლობამ კი, როგორც ჩანს, თბილისს მიაკითხა.

ჩემი იქ ყოფნის დროს, დროდადრო, შვილიშვილები და შვილთაშვილები თუ მოაკითხავდნენ, უფრო ზაფხულის პერიოდში. წელიწადის სხვა პერიოდებში კი მარტოდ იყო და ებრძოდა ჭირვეულ გაზაფხულს, ცივ შემოდგომას და ხანგრძლივ ზამთარს. თავისი თავის და მეზობლების იმედადღა იყო დარჩენილი.

ეზოში ილიტეს პატარა ვენახი ჰქონდა გაშენებული, სიმინდსაც თესავდა და ხილიც ჰქონდა დარგული: ორიოდე კაკალი, ვაშლები, ბალი, ალუბალი და, რასაკვირველია, თხილები, რომლებიც წამოუდგენლად მსხვილ, გემრიელ ნაყოფს ისხამდნენ. ეს თხილი ნაადრევად შემოდიოდა, ამიტომ ბავშვებისათვის დიდი საცთური იყო და ისინიც არ ახანებდნენ, ხშირად „ლაშქრავდნენ“ ილიტეს თხილებს. ამის გამო ხშირად მინახავს ბიძაჩემთან სასაყვედუროდ ამოსული ილიტე.

მე იმ დროს პატარა ვიყავი და ამ „რეიდებში“ მონაწილეობას ვერ მივიღებდი. ხილის, განსაკუთრებით თხილის ქურდობა სოფლად ბავშვების მიერ არ ითვლებოდა დიდ ცოდვად, ამიტომ მეზობლები მაინც-დამაინც მკაცრად არ სჯიდნენ თავიანთ პატარებს ამგვარი „ცელქობისათვის“ ...

ილიტემ დიდხანს იცოცხლა , რომ იტყვიან, ცას გამოეკერა, ვერავინ ამბობდა, თუ ზუსტად რამდენი წლის იყო, ასს მრავალი წლით გადაშორდა . მის გარდაცვალებას ვერ შევესწარი, რადგან ქალაქში ვიყავი.

მეზობლები, რომლებიც ამ პროცესს დაესწრნენ, უფრო გვიან ჰყვებოდნენ, რომ სიკვდილის წინ ილიტემ თურმე მოიხსნა თავშალი, გაიშალა თმები, გაიღეღა გულმკერდი, მიმჭკნარი ძუძუები გამოაჩინა და იმით, გულით, დალოცა მთელი სოფელი და ფანჯიკიძეების უბანი განსაკუთრებით, არგადაშენება, გამრავლება, ბედნიერება და სიხარული უსურვა! ...

P.S. ახლა, როდესაც რაჭაში ჩავდივარ, აუცილებლად მოვინახულებ ხოლმე ამ მიტოვებულ, ანწლ–ეკალ–ჭინჭარ–გვიმრაგადავლილ, მაგრამ მაინც ლამაზ ეზოს, საიდანაც მარცხნივ ამბროლაური მოჩანს, მარჯვნივ ქვემო და ზემო კრიხი, სულ მაღლა მშვენიერი კვირიკეწმინდა, მოპირდაპირე მხარეს კი გორის უბნის მთა, საიდანაც კარგ ამინდში , დილა უთენიას ამოგორდება ხოლმე მართლაც რომ სიცოცხლის მომტანი ცხრათვალა მზე, ქვემოთ, სულ ქვემოთ კი, საოცრად ლამაზი თეთრი ქვებით გაწყობილ რიყეში, მდინარე კრიხულა ყოჩაღად მიაქანებს თავის სუფთა და გამჭირვალე პატარა ტალღებს უფრო დიდი, მარად მღვრიე მდინარე რიონისაკენ...

ილიტეს ეზოში შემორჩენილია უზარმაზარი ქვევრებიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ადგილს, ადრე, ბევრად უკეთესი დროც უნახავს!

ნათელში იყოს ეს ღირსეული ქალი, რომელმაც ძალზე ხელმოკლედ, გულნაკლულად, მარტოობაში, დიდი სიხარულის გარეშე განვლო ცხოვრების დიდი ნაწილი და წასვლისას კი, მაინც, ასეთი სავსე გულით დალოცა შთამომავლობა, ის უბანი და ის გვარი, რომლის რძალი, შემდეგ კი ქვრივი ასე დიდხანს იყო! ...

არ დაიდარდო, ედიშერ! (ფეისბუკური ვნებები)

ეს ამბავი ამ რამდენიმე თვის წინ მოხდა. მაშინვე მინდოდა მასზე გამოხმაურება, რაიმეს დაწერა, მაგრამ თავი შევიკავე, საქმის დასასრულს, მის რეალურ შედეგს დაველოდე.

ჩემს მეზობელზე, მარტოხელა, შუახანს გადაცილებულ ედიშერზე (სახელი შეცვლილია), ძალზე კეთილ, გონიერ, გულმხურვალე, მაგრამ ზედმეტად ემოციურ კაცზე ადრეც მიამბნია თქვენთვის, მაგრამ ახლა ეს ამბავიც მინდა დავამატო:

მახსოვს, შაბათი თუ კვირა იყო, მოკლედ დასვენების დღე, სახლში შედარებით მოცლილი ვიჯექი, გაზეთებს ვათვალიერებდი, როცა კარებზე ზარმა დარეკა და ედიშერი შემოვიდა. ძალიან გახარებული, კმაყოფილი ჩანდა და როგორც შევატყვე ჩემთვის რაღაც სასიხარულოს თქმას აპირებდა. იქით დავასწარი და თვითონ ვკითხე:

-რა იყო, ედიშერ, რა გაბრწყინებული სახე გაქვს, განა ასეთი რა მოხდა?

- გთხოვ მომილოცეო,- გახარებულმა მითხრა, - მორჩა, დამთავრდა, როგორც იქნა, გადავაგდე!- ემოციურად შემომძახა და შეთავაზებულ სკამზე ჩამოჯდა.

არ დაიჯერებ, მართლაც მოსალოცად მაქვს საქმეო,- ატაცებულმა გაიმეორა და განაგრძო:- იცი შენ, როგორ ვიყავი ფეისბუკზე დამოკიდებული, ღრმად ჩაფლული, სადაც ყოველდღე კი არ ვერთობოდი, არამედ ვშრომობდი. მეგობრების უზარმაზარი არმია მყავდა, რომელთაც ყოველდღე ვეხმაურებოდი, ზოგს დღესასწაულებს და კარგ ამბებს ვულოცავდი, ზოგს ცუდ ამბებს თანავუგრძნობდი, ათასგვარ კამათში ვერეოდი: ჭკვიანურში თუ სულელურში, ხან აღტაცებული ვიყავი ზოგის სიბრძნით და გონიერებით, ხან აღშფოთებული უმსგავსო ამბებით, რაზედაც ნერვები მეშლებოდა. ამის გადამკიდეს, ჯანმრთელობა შემერყა, ხშირად წნევა და შაქარი მიწევდა ზევით და თავს ცუდად ვგრძნობდი.

ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი, რომ უნდა შევჩერებულიყავი, ამ ამბისთვის თავი უნდა დამენებებინა, მაგრამ ვერა და ვერ ვეშვებოდი. ფ/ბ-ზე პასუხგაუცემელს არავის ვტოვებდი. ყველას სათანადოს მივუზღავდი. ზოგჯერ საქმე ლანძღვა-გინებას, ქუჩაში დაბარებასა და ანგარიშგასწორების მუქარამდეც მიდიოდა.

- ბევრია შენს დღეში!- თანაგრძნობით ჩავურთე წინადადება.

- მეც მაგას ვამბობ, მაგრამ მე ყველაფერს რაღაც გასაკუთრებულად განვიცდიდი, ვნერვიულობდი, ღამე ცუდად მეძინა. ზოგჯერ მოპასუხეებს შორის გამოჩნდებოდა ვინმე უზრდელი, უხიაგი და უტიფარი, რომელიც რაღას არ გაკადრებდა. მართალია, არც მე ვრჩებოდი ვალში, მაგრამ საღამო ხანს უკვე ნირწამხდარი და ქანცგამწყდარი ვწვებოდი ლოგინში.

- ვიცი, ედიშერ, შენს პოსტებს მეც ვკითხულობ, კარგად წერ. გონიერი ადამიანი ხარ და ნორმალური მკითხველი მათ სათანადოდ იღებს და აფასებს კიდევაც, პოზიციაც ზომიერი გიჭირავს, მაგრამ სხვაგვარად მოაზროვნე და გადაბრუნებული გონების ხალხს რა გამოლევს ამქვეყნად? - ვცადე მისი დამშვიდება.

-მართალია, მართლაც ბევრი იწონებს, მაქებს, იზიარებს კიდევაც ჩემს პოსტებს, მაგრამ მაინც ვნერვიულობ, წინააღმდეგობას და უზრდელ სიტყვებს ვერ ვიტან.

- მერე, მერე რა ქენი და რა გადაწყვიტე, რა გამოსავალი ნახე ამ მდგომარეობიდან? - ჩავეკითხე.

- რა და, თუ შეამჩნიე, აგერ უკვე ერთი თვეა აღარ ვაქტიურობ. თითქმის აღარაფერს ვწერ, მილოცვებსაც და სამძიმრებსაც კანტიკუნტად ვპასუხობ. აღარც გულებს ვუგზავნი მეგობრებს. ნამდვილად მოვისვენე, ახლა აღარც დრო მეხარჯება იმდენი, როგორც ადრე და აღარც ისე ვნერვიულობ, კამათსა და დაპირისპირებას ხომ საბოლოოდ შევეშვი...

- თუ ასე უკეთ გრძნობ თავს, ასეც უნდა მოიქცე, ასე უნდა განაგრძო, - მოვუწონე საქციელი.

ედიშერი კარგა ხანს იჯდა ჩემთან, გული ნამდვილად მოიოხა, სათქმელი თქვა, მეუღლემ ყავა დაალევინა და წავიდა.

ჩვენი შემდგომი შეხვედრა თითქმის ერთი თვის შემდეგ შედგა. ვკითხე, როგორაა საქმე უფეისბუკოდ მეთქი?

- ძალიან კარგად, ძალიან კარგად , - მხიარულად მიპასუხა,- თითქმის აღარავინ მაწუხებს, არ მეხმიანება, მილოცვებიც შეწყდა, ძალიან იშვიათად მოდის, ერთი სიტყვით, დამივიწყეს. ვარ ახლა ჩემთვის მშვიდად და არანაირი დარდი და საზრუნავი აღარა მაქვს. რაც მთავარია, არ ვნერვიულობ იმაზე, რომ ვინმეს გავანაწყენებ. აშკარად ჩემი თავის კმაყოფილი ვარ, კარგია, რომ ამ უბედურებას და სიგლახეს დროზე შევეშვი და თავიდან მოვიშორე, ახლა იმაზე ვბრაზობ და ვერაფრით ვერ გამიგია ამ ჩემს კაის თუ ცუდს სოფელ-ქვეყანას რატომ ვუყვებოდი, ჩემს სარეცხს გარეთ რატომ ვფენდი და სხვის საჭორაოდ და განსასჯელად რატომ ვხდიდი?

ამ სიტყვებით დავშორდით.

იმ ხანებში ძალიან დაკავებული ვიყავი და ედიშერს კარგა ხანია სალაპარაკოდ აღარ შევხვედრივარ. კიდევ ორი თვე გავიდა, მხოლოდ ამის შემდეგ ვნახე და მაშინვე ვკითხე: ედიშერ, როგორაა საქმე-მეთქი?

რაღაც დაღონებული და დათრგუნული მეჩვენა. აღარ იღიმებოდა და აღარც ატაცებული ჩანდა. ასე რამ შეგაწუხა-მეთქი? ინტერესით ჩავეკითხე: „აბა, რა გითხრაო,- მითხრა,- ისეთი შეგრძნება მაქვს რომ თითქოს ყველამ ერთბაშად მიმატოვა, თითქოს სადღაც ტრიალ, უკაცურ მინდორში გამიყვანეს და მარტო დამტოვეს, აღარავის ვახსოვარ და არც აღარავინ მეხმიანება, ვზივარ ჩემთვის ასე მარტოდ, ობლად და თვალზე ცრემლი მადგება. ადრე იმით ვირთობდი თავს, რომ რაღაცაზე ვფიქრობდი, რაღაცას ვწერდი, ვიღაცას ვეხმიანებოდი, ვიღაცა გამომეხმაურებოდა, თან სკლეროზს რომ გავქცეოდი გონებას ვავარჯიშებდი. ეხლა კი, მართალია, არავინ მაწუხებს, მოსვენებული ვარ , მაგრამ ძალიან ობლად, უნუგეშოდ და უპატრონოდ ვიგრძენი თავი.

ამასწინათ დაბადების დღე მქონდა და მხოლოდ ბავშვობის დროინდელმა ორიოდე მეგობარმაღა მომილოცა ტელეფონით, იმ დროს, როდესაც ადრე უამრავი ფ/ბ-ს მეგობარი მილოცავდა და მამხნევებდა. მილოცვა ხომ მარტო ცარიელი სიტყვებია, თითქოს არაფრისმთქმელი და რაიმეს მომტანი, მაგრამ მაინც სიამოვნებს ადამიანს," - სევდიანათ დაასრულა თავის სათქმელი მეზობელმა.

ასე შეწუხებული და დაღონებული ედიშერი ჯერ არ მენახა. ცოტა მობერებულიც მეჩვენა.

-ედიშერ, ეგებ ისევ დაუბრუნდე ფეისბუკს, როგორღაც წამომცდა და უხერხულად გავუღიმე. რაზედაც დაღონებულმა, დაფიქრებულმა მეზობელმა თავი ასწია და კითხვის ნიშნით შემომხედა.

-მე მგონი, ნამდვილად ასე უნდა მოიქცე,- გავუადვილე საქმე.

- არ ვიცი, არ ვიციო, თავისთვის ჩაიბურტყუნა და წავიდა...

ზუსტად ორი კვირის თავზე, ლეპტოპი რომ ჩავრთე, პირველი ედიშერის პოსტს გადავაწყდი, სიყვარულსა და მეგობრობაზე წერდა...

გამეღიმა და დავმშვიდდი.

ჩემი მეზობელი, როგორც ჩანდა, მარტოობას გაქცეოდა და ისევ ფეისბუკს შეკედლებოდა...

არ დაიდარდო ედიშერ, ყველაფერი კარგად იქნება ! ...

სერენადა– გაზაფხულია

მარტის თვე უკვე გავიდა. აპრილიც საცაა მალე მას გაჰყვება. ჯერ კიდევ ცივა, მაგრამ მგალობელი ჩიტები ამას არ დაგიდევენ, მაინც მხიარულად ჟღურტულობენ, თავდავიწყებით გალობენ და სერენადებს უმღერიან თავიანთ სასურველებს.

რიჟრაჟია.

ფანჯარას ვაღებ. გარეთ წვიმს, ოდნავ ჟინჟლავს, მაგრამ შაშვი ჩემს ფანჯარასთან მაინც გალობს. ნამდვილად არ ვიცოდი, ის ცუდ ამინდშიც თუ გალობდა.

ის სადღაც, ჩემთან სულ ახლოს, უნდა იყოს ჩამალული, ხის ტოტებს თავშეფარებული და იქიდან ხმამაღლა უსტვენს. მისი ოდნავ ნაღვლიანი, მაგრამ უფრო საზეიმო გალობა მთელ ახლო გარემოს ეფინება..

მიყვარს შაშვის გალობა.

თუმცა, ეს ჩვენ ვეძახით მის სტვენას გალობას, თორემ , სინამდვილეში, ეს ძახილია, მოწოდებაა, მიმართვაა საწინაღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან , გამოხმაურების თხოვნაა. თუ ყურადღებით მოვუსმენთ, მის საუბარსაც გავიგონებთ: „ნახეთ, ყველამ ნახეთ, როგორი მოხდენილი, კოხტა ბიჭი ვარ, როგორი ლამაზი შავი ჩოხა მაცვია, როგორი მოსხლეტილი ტანი, ლამაზი ფრთები და ღონიერი ყვითელი ნისკარტი მაქვს. თან, რომ იცოდეთ, რა კარგია აქ, ჩემთან, ბაღში ყოფნა. შარშან ამ ბაღში, მართალია, ბოროტი ციყვი ბუდობდა, საშინელი ვინმე იყო, ყველას გვაშინებდა, შაშვებს კვერცხებს უჭამდა, მაგრამ კეთილმა ადამიანებმა ის აქედან მოაშორეს, ახლა არავინ გვაწუხებს, კარგად და უშიშრად ვართ“...

შემდეგ შაშვი პატარა პაუზას აკეთებს, როგორც ჩანს, ღრმად ისუნთქავს და მას გრძელ სტვენა-მოწოდებას აყოლებს სამგზისი ძახილით:

გამომეხმაურეთ, გამომეხმაურეთ, გამომეხმაურეთ !!!“

მერე ერთხანს სულ ჩუმდება, თითქოს სულს ითქვამს. აყურადებს : „ ტყუილად ხომ არ ვირჯები, ხომ მისმენენო !“ და ისევ განაგრძობს თავისი ამბის თხრობას. ამჯერად თავის სხვა ღირსებებზე ჰყვება: „ახალგაზრდა ვარ, უცოლშვილო, ერთგული, თბილი და მოსიყვარულე, ღალატი და ორგულობა შორსაა ჩემგან, ნამდვილად ბედნიერი იქნება ის, ვისაც მოვეწონები, გამიცნობს და გამიგებს...“

შემდეგ ისევ გრძლად, გაბმით უსტვენს და ისევ ენერგიულად მოუწოდებს : „გამომეხმაურეთ, გამომეხმაურეთ, გამომეხმაურეთ!“...

იქვე, ბაღში, არცთუ ისე შორს, მდედრი შაშვებიც ბინადრობენ. ისინი მამლებზე უფრო პატარები და უფრო ღია შეფერილობისა არიან. მართალია, მამლებივით არ გალობენ, არ ხმაურობენ, უმეტესად ჩუმად არიან, მაგრამ საოცრად შრომისმოყვარენი და ერთგულები არიან. მათ შორის ბევრია პატარა, გაუთხოვარი შაშვი, რომლებიც დამორცხვებულნი, თითქოსდა არ უსმენენ შავი შაშვის ამ ტრაბახს, მაგრამ სინამდვილეში არცერთი მისი ნათქვამი სიტყვა არ რჩებათ ყურადღების გარეშე.

იციან, როგორ არ იციან, რომ შავი შაშვი ყელყელაობს და უზომოდ ტრაბახობს, ყველაფერს არც უჯერებენ, მაგრამ მათ შორის მაინც აუცილებლად გამოჩნდება ერთი ისეთი, ვინც შავი შაშვის ამ მონდომებას დააფასებს, გამორჩეულ სტვენა- გალობას სერიოზულად აღიქვამს, გულთან ახლოს მიიტანს და მისი გულისწორი გახდება.

მერე, ...

მერე დაიწყება მთავარი: ერთად ყოფნის სიხარული, სიყვარული და ბედნიერება, საერთო ბუდის მშენებლობა, კვერცხების დადება, მასთან ჯდომა და ყარაულობა, გამოჩეკილი ბარტყებით აღფრთოვანება, მათ მოვლასა და გამოკვებაზე ზრუნვა, დაფრთიანება და გაფრენა.

ესაა მათი წილხვედრი ამქვეყანაზე: სიცოცხლე და სიყვარული, ცხოვრების აზრი და მუდმივი საზრუნავი ...

ფანჯარას ვხურავ, მაგრამ შაშვის გალობა დახურულ ფანჯარაშიც აღწევს. ვერ ვწყდები ამ დიდებულ მელოდიას. ვიცი, რომ უნდა წავიდე, აშკარად მაგვიანდება, დროზე უნდა წავიდე, თორემ შაშვი თავის გალობას ასე იოლად ვერ მოამთავრებს, ბეჯითად, გრძლად ამბობს თავის სათქმელს და შედეგსაც მოთმინებით ელოდება...

მართლაც, დიდებული და გამოუცნობრამ არის სიცოცხლე, წელიწადის დროებში კი ულამაზესი და უმშვენიერესია გაზაფხული, რომელიც ნაზამთრალ, მიძინებულ, გაციებულ დედამიწას სულს ჩაბერავს, გაათბობს, გააცოცხლებს, ფრინველებს აამღერებს...

ეჰ, რა უნდა თქვას კაცმა, სიცოცხლე მართლაც რომ დიდებული და მშვენიერი რამ არის, თუ მას გულღრძო, ბოროტი ადამიანები უბედურებად, ტანჯვად და საშინელებად არ აქცევენ ...

თეიმურაზ ფანჯიკიძე

2024 წლის ჩანაწერები

ლიტერატურული საჭადრაკო

ახლახან გამომცემლობა „მერიდიანმა“ დასტამბა ენათმეცნიერ გიორგი გოგოლაშვილისა და მწერალ თამაზ ხმალაძის წიგნი „პერსონაჟს სახელი ამშვენებს“ (დიალოგური ნოველები); წიგნს ერთვის რედაქტორის, როსტომ ჩხეიძის, მეტად ორიგინალური და მრავლისმთქმელი ბოლოსიტყვა („მზით ნაფიცხი სიტყვების კვალდაკვალ“).

ფაქტობრივ ეს არის მკითხველისა (გ. გოგოლაშვილის) და მწერლის (თ. ხმალაძის) საუბრები თამაზ ხმალაძის შემოქმედებიდან აღძრული საკითხების შესახებ. „მკითხველი“ ცდილობს, ღრმად ჩაგვახედოს მწერლის შემოქმედებით სამყაროში; მწერლის სურვილია, განმარტოს, დააკმაყოფილოს „მკითხველის“ ინტერესი... საუბრის თემები გასცდება ხოლმე მსჯელობის საგნად ქცეული მწერლის შემოქმედებას და პრობლემები ფართო თვალთახედვით განიხილება...

თემები მრავალფეროვანია; ძირითადი აქცენტი ტრადიციებსა და ადათ-წესებზე კეთდება... წიგნში 14 „დიალოგური ნოველა“ არის დაბეჭდილი. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს.

სადღეგრძელოს სადღეგრძელო

გიორგი გოგოლაშვილი — თამაზ, ქართული მწერლობისათვის სუფრა, სადღეგრძელო, თამადა არ არის უცხო თემა... მარტო გიორგი ლეონიძის „ღვინჯუა“ რად ღირს... მინდა ამ თემაზე ვისაუბროთ, უფრო სწორად, იმ საკითხებზე, შენი მოთხრობა „სადღეგრძელო“ რომ აღძრავს.

ეს მოთხრობა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ნოველაში არაერთგზის გავიხსენეთ; მაგრამ რჩება რამდენიმე საინტერესო კითხვა; ავტორისეული პასუხი ამ კითხვებზე არ უნდა იყოს უინტერესო სხვა მკითხველისთვისაც — ეს, ჩემი აზრით, მწერლის ჩანაფიქრის შეცნობას გააადვილებს... და მოთხრობაში დასმულ პრობლემას მეტ ნათელს მოჰფენს...

თამაზ ხმალაძე — კეთილი, ეს თემა ჩემთვის მნიშვნელოვანია.

გ. გ. — სანამ მთავარ კითხვას დავსვამთ, შევეცდები, მკითხველს შევახსენო ეს მოთხრობა:

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა **მასწავლებელი** სოფლის სკოლაში გაანაწილეს. ჩავიდა სოფელში. სოფლსაბჭომ ბინა **ჯაღალასთან** (მეტსახელია) მიუჩინა. მასპინძელს მასწავლებელზე ორი წლით უფროსი ვაჟი ჰყავდა — ამირანი; კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს... მასწავლებელი „ოჯახის წევრად“ მიიღეს... ყველას თავისი საქმე ჰქონდა, მთელი დღე გარეთ იყვნენ... გვიან შემოდგომაზე სიცივემ თავისი ქნა და სახლებში შეკრიფა სოფელი... გაუჭირდა მასწავლებელს ეგრე გაძლება... მიუხვდა ჯაღალა და როგორც მასწავლებელი იტყვის: „თავის მარანში ჩამიჩვიაო“...

თითქმის მთელი ზამთარი ყოველდღიურად მეორდებოდა ერთი და იგივე: საღამოს, ვახშმის შემდეგ, ვითომდა დიასახლისისაგან მალულად ჩადიან მარანში სამნი: ჯაღალა, მასწავლებელი და ამირანი... იმართება „ლხინი“... დიდებულად აღწერილი ეპიზოდი... „სუფრას“ ჯაღალა თამადობს. სადღეგრძელოს თქმის უფლებას აძლევს თანამეინახეებს და მასწავლებელი იტყვის თავისას...

ახლა ვრცელი ამონარიდის მოყვანა სჯობს...

და გვიყვება ამბავს პროტაგონისტი: „მიუხედავად ყოველდღიური გამეორებისა, მაინც შემკრთალი ავიღებდი ხოლმე ხელში ჭიქას, დარცხვენილი. მაღლა, გამჭვარტლულ კოჭებზე მზერამიციებული გაუბედავად ვიწყებდი:

გვიამბე, ელიზბარაო,
რა ამბავ მოხდა ეღოსა?
როგორ დაეცნენ ლეკები
ბაკურის ციხე-ეზოსა?

მამა-შვილი გაფაციცებული შემომცქეროდნენ და წერტილ-მძიმესაც არსადა ჰკარგავდნენ, თვალებითა მჭამდნენ, სუნთქვითაც კი აღარა სუნთქავდნენ, თითქოს დღეს პირველად ესმოდათ ეს ლექსი.

მე ნელნელა ვდგებოდი ფეხზე და თანდათან ხმასაც ვუმაღლებდი:

...„ვაჰ, დედას მტრისას!“ – ესა სთქვა,
ხელი გაისვა ხმალზედა:
„ისევ მე დაგხოცთ!“ — და ცოლშვილს
თავები დასჭრა წამზედა...

იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელი ოდნავ უკანა მქონდა გაწეული, მაღლა შემართულ მარჯვენას მოწყვეტით დავიქნევდი ხოლმე და უკვე მთელი ხმით ვქუხდი:

...გაუხტა ხმალმოღერებით,
ფრანგულმა გაიცინაო:
თორმეტი მოკლა ციხის კარს,
ერთურთზე დააწვინაო.
ვეფხვსაც დააცვდა კლანჭები:
ბაკურმაც დაიძინაო.

ჯაღალას თვალებიდან წამოსული კურცხლები დიდ თეთრ ულვაშებში იკარგებოდნენ.

– როგორ დამიცოტავდა გული, კაცო, ერთი ბეწვა რამეზე მეტირება, – ბოდიშობდა თავის გულსუსტობას. მე და ამირანიც ჩუმად ვიწმენდდით ცრემლებს. ბოლოს წვალებ-წვალებით, წვერმოტეხილი ენით, როგორც იყო, სადღეგრძელოსაც ვიტყოდი:

– ბაკურს ცოლ-შვილი აღარ დარჩა და ნაშიერი, მომგონი აღარავინა ჰყავს, ჰოდა, მოდი, ჩვენა ვთქვათ იმისი სულის მოსახსენებელი...“

(მერე იყო და ეს სადღეგრძელო სიკვდილის წინ ინატრა ჯაღალამ, მოისმინა და მშვიდად წავიდა იმქვეყნად...)

* * *

გ. გ. — რა ხდება, თამაზ? ყოველდღე, მთელი ზამთრის განმავლობაში, ერთი და იგივე „სუფრა“, ერთი და იგივე „თანამეინახენი“... ერთი და იგივე განწყობა, ერთი და იგივე სადღეგრძელო ერთნაირი ემოციით წარმოთქმული, ერთი და იგივე ღიმილი, ცრემლი და მადლიერება...

არ გეჩვენება, რომ არარეალურ სიტუაციას ჩამოჰგავს? დაგიჯერებს მკითხველი?

თ. ხ.— ჩემო გოგი, ვისთვისაც სუფრა, ლხინი, თამადა და სადღეგრძელო ბუნებრივი მოვლენაა, მისთვის აქ ხელოვნური არაფერი არ უნდა იყოს...

გ. გ. — კი, მეც ასე ვფიქრობ... აი, როგორც მკითხველი, როცა ამ სადღეგრძელოს „თამადის“ ემოციებს ავყვები, რამდენჯერაც არ უნდა წავიკითხო, მეც იგივე განცდა მეუფლება... მაგრამ ეს ჩვენი შემთხვევა კერძო შემთხვევა ხომ არ არის? ვიმეორებ: დაგიჯერებს ფართო მკითხველი საზოგადოება? არის ეს ის, რაიც ოდითგანვე გვხიბლავდა მწერლობაში: „სინამდვილე, მხოლოდ სინამდვილე“?

თ. ხ. — გოგი, რეალურ ცხოვრებაშიც არ გვინახავს ჩვენ ამგვარი შემთხვევა? გავიხსენოთ დიდებული ალექსი ჭინჭარაულისაგან თქმული „უსახელო ქართველების“ სადღეგრძელო; რამდენჯერ მოგვისმენია? და რამდენჯერ გვინატრია მისი მოსმენა?

გ. გ. — თამაზ, მოდი, მაშინ ეს სადღეგრძელოც მოვისმინოთ და მერე უფრო გაგვიიოლდება მსჯელობა... „უსახელო ქართველების“ სადღეგრძელოს დავიმოწმებ ჩემი მოგონებიდან ალექსი ჭინჭარაულის შესახებ (წიგნიდან „მეც წუთისოფლის სტუმარი ვიყავ“, შეხვედრები, 2024). ამონარიდს მოვიყვან:

„ბატონ ალექსი ჭინჭარაულს „უსახელო ქართველების“ („გმირების“) სადღეგრძელო უყვარდა. ჰყვებოდა ტყვეობიდან სამშობლოსაკენ მომავალი ქართველის ამბავს. სტამბოლის ბაზარში ვიღაც სომეხი ორ ქართულ ხელნაწერს ჰყიდდაო (ეს ამბავი იმ ხელნაწერის მინაწერიდან იცოდა). შევაჭრებია ტყვედყოფილი, რომ დაეხსნა ეს ხელნაწერები გადამყიდველის „ტყვეობიდან“. ერთი დაუხსნია, მეორის გამოსასყიდლად თანხა არ მეყოო და აუტანია ხელნაწერი სინას მთაზე. მინაწერში წერდა: „მატებითა და მატებითა“ დავიხსენი ერთი ხელნაწერიო. ღმერთი გაუწყრეს იმას, ვინც შეძლოს იმ მეორე ხელნაწერის დახსნა და არ ამოიტანოს აქ, საიდანაც წაიღესო, სინას მთას გულისხმობს... ეს კაცი თავის სახელს არც ახსენებსო...

და ამას მოაყოლებდა: ტყვეობიდან შინ მომავალმა დაიხსნა ეს უძვიფრასესი განძი, აიტანა სინას მთაზე და ისიც არ ვიცით, ჩამოვიდა სამშობლოში თუ არაო... „უსახელო გმირების“, „უსახელო ქართველების“ გახსენება, მათი შესანდობარის თქმა სავალდებულოდ მიაჩნდა... ერთსა და იმავე ამბავს თხრობდა, მაგრამ ორიგინალური სტილი ჰქონდა ამბის მოყოლისა, თითქოს პირველად ისმენდი...“ ცრემლიც ჩამოუგორდებოდა ღაწვზე...

თ. ხ. — ვთხოვდით ბატონ ალექსის, ვაყოლებდით ერთსა და იმავე ამბავს, ვამბობდით ერთსა და იმავე სადღეგრძელოს და მასთან ერთად განვიცდიდით ჩვენც...

გ. გ. — და აღმოვჩნდებოდით ჩვენც შენი ჯაღალას დღეში... ჰოდა, ეს ვიკითხე, ბუნებრივია ასეთი ვითარება? რა ხდება?

თ. ხ. — ჩემო გიორგი, სადღეგრძელო კინო არ არის, „ნანახი მაქვსო“, რომ თქვა...

სადღეგრძელო ლოცვაა!

ერთსა და იმავე ლოცვას, ვთქვათ „მამაო ჩვენოს“, ყოველდღე რომ ვიმეორებთ, გიფიქრია ოდესმე, ეს ხომ ვთქვიო გუშინ?

გ. გ. — „ადღეგრძელე“ და „დალოცე“ სინონიმებია...

თ. ხ. — დიახ, ასეა: **სადღეგრძელო ლოცვაა ღვინიანი ჭიქით ხელში...**

გ. გ. — კი, ასეა, გეთანხმები!.. თუ ხელში ღვინიანი ჭიქა არ გიჭირავს, სადღეგრძელოს ვერ იტყვი... ღვინიანი სასმისის გარეშე სადღეგრძელოსმაგვარი ტექსტი ჩვეულებრივი ხოტბაა, შექებაა, ლაპარაკია რაღაცის ან ვიღაცის შესახებ და არა სადღეგრძელო... შეიძლება არ შესვა, მაგრამ ღვინოსთან ერთად უნდა ითქვას სადღეგრძელო...

— თამაზ, ჩვენმა საუბარმა საინტერესო მიმართულება მიიღო: ღვინის კულტურა ჩვენი ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია... ღვინის კულტურა ფართო ცნებაა: სუფრა, სადღეგრძელო, თამადა — ამ კულტურის ნაწილია. სწორედ ასეთი გააზრება უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ ამ კულტურას (ღვინო, სუფრა, სადღეგრეძლო, თამადა) შენს შემოქმედებაში საკმაო ადგილი ეთმობა...

თ. ხ. — ქართული ყოფის, ქართული რეალობის ნაწილია, განუყოფელი ნაწილი...

გ. გ. — და ეს არ არის მხოლოდ ჩვენეული გააზრება. მსოფლიო საკაცობრიო კულტურის ისტორია ქართულმა კულტურამ სწორედ ღვინის კულტურით გაამდიდრა...

თ. ხ. — რადგან ჩვენი მიზანი სადღეგრძელოს, სუფრისა და თამადის კულტურის წარმოჩენა და დაფასებაა, ეს საკითხი უფრო დეტალურად შევახსენოთ მკითხველს... მარტო ჩვენ კი არ ვფიქრობთ ასე, იუნესკოც ასე აღიარებს!...

გ. გ. — იუნესკო ვახსენეთ. იუნესკო გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციაა. იგი ორი სახის კულტურულ მემკვიდრეობას აღიარებს: „მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ (მკმ) და „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ (აკმ). ამ ორგანიზაციამ 2003 წელს მიიღო კონვენცია „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის“ შესახებ. საქართველო ამ კონვენციას 2007 წელს მიუერთდა. დღესდღეობით იუნესკოს მიერ აღიარებულია და **საკაცობრიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში** არის შეტანილი სამი ნომინაცია:

1. **ქართული პოლიფონიური სიმღერა** (2008 წ.);
2. **ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი** (2013 წ.);
3. **ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალი კულტურა** (2016 წ.).

თ. ხ. — დიახ, მსოფლიოს არამატერიალური კულტურული სამყარო ქართულმა ტრადიციულმა კულტურამ ამ სამი სახეობით გაამდიდრა (ალბათ, უნდა ვთქვათ, ჯერჯერობით, რადგან, რამდენადაც ვიცი, სხვა ნომინაციებიცაა წარდგენილი იუნესკოში აღიარებისთვის). ეს იმის აღიარებაცაა, რომ ღვინის კულტურა ქართულია...

გ. გ. — ის ფაქტი, რომ **ღვინო** — სიტყვა, ტერმინი — ევროპულ ენებში ქართულიდან შესულად ივარაუდება; არქეოლოგია ათასეული წლების წინანდელ კვალს პოულობენ ღვინის კულტურისას — ამის დასტურია...

თ. ხ. — სწორედ ამიტომ ღვინის კულტურა (ქართულ სიმღერასა და ქართულ დამწერლობასთან ერთად) საკაცობრიო კულტურულ სივრცეში განსაზღვრავს ჩვენს კუთვნილ ღირსეულ ადგილს...

გ. გ. — ამ კულტურულ ტრადიციას შეფასება და დაფასება სჭირდება, შემონახვა და გადაცემა თაობიდან თაობაზე... ყოველივე ამის გასააზრებლად, პატივსაცემად და შესანარჩუნებლად შენ მშვენიერი „სადღეგრძელო“ შემოგვთავაზე... საერთოდ შენს შემოქმედებაში ეს კულტურა შესანიშნავად არის წარმოდგენილი (სადღეგრძელო, თამადა...); ეთნოგრაფიული სიზუსტითაა გადმოცემული დეტალები... მე ჩვეულებ-

რივ ვერიდები პირში ქებას (მითუმეტეს მეგობრისას), მაგრამ ეს რომ არ ვთქვა, არ შემიძლია...

თ. ხ. — ეს თემატური გადახვევა საინტერესო იყო, მაგრამ დავუბრუნდეთ დაწყებულ საუბარს; ჯაღალას სუფრას დავეწვიოთ...

გ. გ. — მაშ ასე: **სადღეგრძელო ლოცვაა ღვინიანი სასმისით ხელში...**

და იმ „ჭურჭელსაც“ სასმისის სახეს და ძალას ღვინო აძლევს.

მართალს ამბობს შენი პერსონაჟი: „კონკრეტული ნივთი შეიძლება სხვა მხრიდან სულ სხვანაირი გამოჩენილიყო და სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მნიშვნელობა, ზოგჯერ სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობაც კი ჰქონოდა. შორს წასვლა არ დასჭირდებოდა: აი, კანთიელი მაგალითი: სახელად ყველას **რქა** ერქვა, მაგრამ განა შეიძლება ერთი და იგივე ყოფილიყო მაცილის გიშრისფრად აელვარებული რქა და კახურით სავსე ყანწი?“ („ღრჯუ“)...

თ. ხ. — ღვინიან სასმისს რომ იღებ ხელში, თითქოს **გზა ეხსნება ფანტაზიას, ბუნებრივი და ნაღდი ხდება „ლოცვა“...**

გ. გ. — როცა ღვინიანი სასმისი გიჭირავს ხელში, თითქოს ვიღაცისგან თუ რაღაცისგან „ნება გეძლევა“ სადღეგრძელოს თქმისა; სადღეგრძელო, როგორც რეზო იტყოდა, ინანიშვილი, თითქოს **„გეკარნახება“...** ღვინის ქვეყანაში სხვაგვარი გააზრება არც შეიძლება იყოს...

თ. ხ. — რეზო ინანიშვილის გახსენებაზე: ღვინის კულტურის დაფასება და პატივისცემა მის შემოქმედებაში მკვეთრად აისახება. თუნდაც ეს ლოცვა-სადღეგრძელო, ერთ მოთხრობას რომ წარუმძღვარა ეპიგრაფად: „ეს ჩემ ცოლს გაუმარჯოს, ჩემი ოჯახის დედაბოძს!“...

გ. გ. — მე ეს ჩამრჩა გონებაში (და ეს ცხოვრებაც ხშირად შემახსენებს): „მოხუცი გლეხი ლოცავს ჩემს მეუღლეს — თვალმშრალი დედა, გამყოფოს შვილოო“... ამ ლოცვა-სადღეგრძელოს აზრი განსაკუთრებით მაშინ გავაცნობიერე, ქალბატონი როზა ინანიშვილი „თვალსველი დედა“ რომ გახდა...

თ. ხ. — სადღეგრძელოში მთავარია ბუნებრიობა, გულწრფელობა, სიმართლე, პირდაპირობა, უშუალობა... ამგვარი სადღეგრძელოები ტრადიციად იქცევა; ავტორობასაც არ ვუკარგავთ, თუნდაც „გოგლაურა“: „აკვნები დავლოცოთ, საქართველო დაილოცება“...

გ. გ. — ამიტომაცაა, რამდენჯერაც უნდა მოისმინო ჭეშმარიტი სადღეგრძელო, ლოცვის დარი სადღეგრძელო, გულწრფელი, ვთქვათ, „უსახელო ქართველებისა“ თუ იმათი, „ვისაც მომგონი არ დარჩა“, არ მოგწყინდება... ეს სხვაა... ცხადია, ყველა სადღეგრძელოს არ ეთქმის ასე... როგორ არ მოგვისმენია გაზეპირებული სადღეგრძელოები, ტრაფარეტული, ხელოვნური, უინტერესო, დაცლილი ხიბლისაგან... ეს ისეთი შემთხვევაა, შენს რომანში რომ ამბობს დემნა: „დასვამს სუფრის თავში ბიძამისს და უსმინე იმის ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს. რა გაუძლებს“...

თ. ხ. — ქართული სუფრა აკადემიაო — ეს მოარული გამოთქმაა. აკადემია — სიბრძნის, ცოდნის წყაროდ მოიაზრება ამ გამოთქმაში...

გ. გ. — არცთუ შორეულ წარსულში **სუფრაზე სადღეგრძელოდ თქმული მჭევრმეტყველებისა და სიბრძნის ნიმუშად მიიჩნევა დღესაც.** თუნდაც **ილია ჭავჭავაძის** მიერ **სოხუმში** ხალხმრავალ წვეულებაზე თქმული სადღეგრძელო, საბედისწერო გაფრთხილებასავით რომ ჟღერდა მაშინ: „აქომამდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და, ასე თუ ისე, შევინახეთ კიდეც... (...) ღმერთმა ქნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარა ფულისაგან და შევინარჩუნოთ ეს ქართულის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოთ“... ამ გაფრთხილებას მეტ ძალას ის მატებდა, სადღეგრძელოს ფორმით რომ ითქვა...

თ. ხ. — თუნდაც აკაკის ცნობილი სადღეგრძელოები თელავში თქმული...

გ. გ. — აქაც, ამ შემთხვევაშიც, აკაკის ამ ცნობილ სიტყვას სხვა ძალა შესძინა ფორმამ — სადღეგრძელოდ რომ ითქვა, სუფრაზე, ღვინიანი ჭიქით ხელში რომ ითქვა...

თ. ხ. — სადღეგრძელოს კულტურა უდიდესი და უძვირფასესი ნაწილია ქართული კულტურისა.

გ. გ. — როგორც სალოცავში ხატის წინაშე იფიცებდა ქართველი, ისეა სადღეგრძელოც... ამიტომ აქვს სხვა ძალა სადღეგრძელოს...

გ. გ. — სუფრაზე თქმული სიტყვა-სადღეგრძელოები შესასწავლია ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისითაც. სუფრის გარემო, ფორმა განსაზღვრავს სტილს სადღეგრძელოს „ტექსტისას“, ლაკონიურობასა და მხატვრულობას (დავარქვათ ნათელი სტილი — თავისუფალი ქვეტექსტებისაგან)... სადღეგრძელო არ შეიძლება იყოს ლექციის ტიპისა... ამის უნიკალური ნიმუშია, როგორც ითქვა, აკაკის სადღეგრძელოები, თელავში თქმული... მარტივად აღსაქმელი და გასაგები. და შემდეგ თანამეინახეთა „დასტური“: „ილიას გაუმარჯოს“... (ლოცვისას „ამინს“ რომ ვიტყვით, იმასა ჰგავს)...

თ. ხ. — დიახ, რიგიანი სუფრის წესი ეს არის: თამადა ამბობს სადღეგრძელოს („ლოცვას“), სუფრა ეთანხმება... ერთი მაგალითიც მოვიყვანოთ გ. ლეონიძის „ღვინჯუადან“: „მამა-პაპის ძვლების ნაცარს გაუმარჯოსო! ასწია თამადამ ყანწი. ახორხორდნენ გლეხები, — გაუმარჯოსო!“

გ. გ. — ლაკონიურობაზე როცა ვსაუბრობთ, ერთ ფაქტსაც მინდა მივაქციოთ ყურადღება. შენს მოთხრობაში ის სადღეგრძელო თითქმის მთელი მოთხრობაა... ვსაუბრობთ ლაკონიურობაზე, მაგრამ ზოგჯერ სადღეგრძელოს სჭირდება წინავითარების აღწერა; ეს აქ მაგალითად მოყვანილმა ორივე სადღეგრძელომ („უსახელო ქართველებისა“ თუ იმათი, „ვისაც მომგონი არ დარჩა“) დაისაჭიროვა; „გოგლაურას“ეს არ სჭირდება...

თ. ხ. — სადღეგრძელო ბოლომდე ნათელი უნდა იყოს... თანამე-ინახეს კითხვა არ უნდა გაუჩნდეს, რა თქვა თამადამ, რა იგულისხმა... ამიტომაც ვინ არის მსმენელი თამადისა, ეს განსაზღვრავს სადღეგრძელოს შინაარსსაც... ფორმასაც...

სადღეგრძელოს თავისი კომპოზიცია აქვს, სტრუქტურა: დასაწყისი, კულმინაცია და ფინალი...

გ. გ. — საუბრის დასაწყისში ორი კონკრეტული სადღეგრძელო მოვიყვანეთ ნიმუშად... სადღეგრძელოს თამადის ლოგიკური მსჯელობა, გულწრფელობა, დამაჯერებლობა, სიმართლე, ვითარების სწორი ანალიზი და სწორი აქცენტები აქცევს კარგ სადღეგრძელოდ თქმულს...

თ. ხ. — სწორედ, ესაა ის, რაც ხიბლავს მსმენელს.

გ. გ. — ახლა, შენს შემოქმედებაზე როცა ვფიქრობ, თამაზ, მეჩვენება რომ ეს შტრიხი — სუფრა, სადღეგრძელო, თამადა — საკმაოდ გამოკვეთილია... მე და შენ ამ თემაზე საუბარიც არ მოგვწყინდება... აი, ეს პასაჟის შენი მოთხრობიდან ჩვენი ახალგაზრდობისდროინდელ სუფრებს მაგონებს: „მეგობრულ სუფრებზე შეყრილები გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებში ერთი-მეორის ქებით ცდილობდნენ დანაკარგის (დროის დანაკარგის — გ. გ.) შევსებას“...

თუნდაც ერთი, რიგითი ჩვეულებრივი სადღეგრძელო ქუხილას ნათქვამი:

„ლუკავ, შენც მომხედე და დამიგდე ყური, თვალებს რას აცეცებ აქეთ-იქით, მოდი, იცი, ვის გაუმარჯოს? ვინც ამ დუქანში ყოფილა, სამშობლოს სადღეგრძელო უთქვამს, ღვინო დაულევია, უმღერია, უცეკვია და გადასულან. დღეს აღარ არიან“...

თ. ხ. — ამ სადღეგრძელოში ქუხილას ხასიათიც ჩანს, ლუკასადმი დამოკიდებულებაც, სამშობლოს სიყვარულიცა და წინაპართა პატივისცემაც... თითქოს და მარტივი და უბრალო სადღეგრძელოა...

გ. გ. — სურვილი მიჩნდება შენს ნაწარმოებებში გაბნეული რამდენიმე სადღეგძელო გავიხსენო; თუ ეს ნოველა გაკვეთილია, ასე აჯობებს:

– „ამ ჭიქით აემ ბალღების სადღეგრძელო მინდა დავლიო. ამათ გაუმარჯოს, ჩვენს იმედსა და სიხარულსა. ჩვენზე ბედნიერები ამყოფოს ღმერთმა, ომი და გაჭირვება არ ანახოთ. ამათი მეთავეობით კიდევ რაც ქვეყანაზე ბავშვებია, სუყველასი კარგად ყოფნა იყოს. – ყოველდღიურად დაზეპირებული სიტყვების თქმა არ გაჭირვებია დათიკო ძიას.

– ...ეს იმისი გამარჯვებისა იყოს, ვისაც ეხლა ყველაზე ძალიან უჭირს. იმას ულხინოს ღმერთმა, ვინც ყველაზე დაჩაგრულია. იმას მოუფონოს ტკივილები, ვინც ყველაზე მეტად იტანჯება. ის გააძღოს, ვისაც ყველაზე მეტად შია. ის გაათბოს, ვისაც ყველაზე მეტად სცივა.

– ეხლა ერთ სადღეგრძელოს მე ვიტყვი. იცით, რაა, ბიჭებო? ამ ჭიქით იმ უბედურ კაცს გაუმარჯოს, ჩვენს შორის ყველაზე დიდხანს რომ იცოცხლებს და ბოლო მოკვდება. ვაი, იმის მარტოობას, ვაი, იმის ყოფას. იმაზე საცოდავი ხომ არავინ იქნება ქვეყანაზე“.

თ. ხ. — ესეც ჩვენი ახალგაზრდობისდროინდელია. ამ სადღეგრძელოს იმასაც მივაყოლებდით, კაცი თაობას ძალიან არ უნდა ჩამორჩესო...

გ. გ. — ეს სადღეგრძელოც და ეს შეგონებაც დღეს უფრო მეტ ფასს იძენს ჩემთვის... ყოველივე ეს კი მწერლის სტილის თავისებურება მგონია მე...

გ. გ. — დავუბრუნდეთ ისევ სადღეგრძელოებს. ანა კალანდაძეს აქვს მინიატურა „გულს ხედავს უფალი“; ბავშვმა იკითხა, თუ შეიძლება ლოცვა გულში ვთქვაო და დედა დაეთანხმა, „გულს ხედავს უფალიო“... ასე რომ, მარტოკაცი ღვინოს რომ სვამს საჭაშნიკოდ თუ „ყელის გასასველებლად“, გულშიც შეიძლება სადღეგრძელო თქვას...

თ. ხ. — მამა გაბრიელს უთქვამს, პირჯვარს რომ გარდაისახავთ, ლოცვა გულში მაინც უნდა თქვათო... სადღეგრძელოც ხომ ლოცვაა... გულს ხედავს უფალი... ამიტომ გულსგარეთ ნათქვამი სადღეგრძელო არაა სადღეგრძელო...

გ. გ. — სადღეგრძელო ლოცვააო, ღვინო — ხატი სალოცავი...

თ. ხ. — ჰოდა, როცა ხატთან მიდიხარ, ლოცვას იმიტომ ხომ არ ამბობ, სხვამ ისმინოსო... ასეა...

გ. გ. — მე არ მიკვირს მწერალ თამაზ ხმალაძის ასეთი პასუხი... ეს მისთვისაც ცხოვრებისეული წესია... და თუ ჭიქას მიმჭახუნებელი ჰყავს, ხომ კარგი... სადღეგრძელოს როცა მსმენელი ჰყავს, სხვა ძალა ეძლევა... შთამბეჭდავია ეს ადგილი შენი რომანიდან: „ჩამოდი შენს გახარებას, ამ კვირაძალზე ჩემი მშობლების შესანდობარს მარტო ნუ მათქმევინებ... სიტყვები თანდათან აღარ გაირჩეოდა, მერე კარიც გაჯახუნდა, ეტყობა, მარანში შევიდა და დემნასთან სათქმელს ეხლა ქვევრებს ეუბნებოდა.“

თ. ხ. — მიჭახუნების თემაზე: თუ არავინაა სუფრასთან, ღვინიანი ბოთლი ხომ არის?

გ. გ. — მოდი, ერთი სახასიათო ამბავს მოვუყვები მკითხველს, თამაზ, და ამით დავასრულოთ „სადღეგრძელოს სადღეგრძელო“:

ზაფხულში თამაზ ხმალაძეს შვილიშვილი გიორგი ჰყავდა სიღნაღში... სადილად ჭიქას აწევდა პაპა, გიორგის ადღეგრძელებდა: შენ ხარ ჩემი იმედიო, შენ უნდა აწიო ჩემი კუბო, შენ უნდა დამმარხო და მიმაყარო მიწაო...

— არაო, — უარობდა გიორგი, — პაპა, მე შენ არ დაგმარხავ, არ დაგაყრი მიწასო...

თამაზი ხალისობდა, ასე განმეორდა რამდენჯერმე... აგვისტოს ბოლოს ჩამოვიდნენ მშობლები; გიორგი ქალაქში უნდა წაეყვანათ... არ უნდა გიორგის ქალაქში. პაპა თუ მიშველისო, იფიქრა... ვერ უშველა პაპამ:

— არა, უნდა წახვიდე ქალაქშიო... — გადაჭრით უთხრა პაპამ...

შეცბა გიორგი, იფიქრა პაპას მაშინ ვაწყენინე, უარი რომ ვუთხარიო და შეეხვეწა:

— პაპა, გაგითხრი სამარეს, დაგმარხავ, დაგაყრი მიწას, ოღონდ არ გამიშვა ქალაქშიო...

თ. ხ. — ამ ამბის მორალი ესაა, ჩემო გიორგი: სუფრის წესისა და რიგის სწავლებისას ასაკი უნდა გავითვალისწინოთ!... პატარა იყო გიორგი სუფრის წესრიგის შესაცნობად...

გ. გ. — ასაკობრივი ფაქტორის შემოტანაც საინტერესოა... მოზარდმა შეიძლება შეგნებულად ვერ აღიქვას და გაიაზროს სუფრა, მისი წესი და რიგი, მაგრამ მის გონებაში პატარაობიდანვე ილექება ნანახ-გაგონილი და ოდესმე იჩენს თავს...

ამან გამახსენა: ჩემი შვილიშვილი იოანე სამშობიაროდან რომ მოვიყვანეთ შინ, საოჯახო სუფრაზე დავლოცეთ. უფროს შვილიშვილს, გიორგისაც, მივეცი ჭიქა, დალოცე-მეთქი. გიორგი 5 წლის იყო. ჭიქა აწია და ადღეგრძელა: „ენამზიანი და უღალატო კაცი ყოფილიყოსო“... მომეწონა. არ ვიცი, სად გაიგონა (ჩემი სტილი არ არის)... საიდანღაც დალექილი ამოვიდა და ღამაზ სადღეგრძელოდ იქცა...

თ. ხ. — დასასრულისათვის კი ისევ ჩემს „სადღეგრძელოს“ დავუბრუნდეთ: ცხრამეტი სექტემბერი, ჩემო გიორგი, მიქაელ მთავარანგელოზის დღეა. ამ დღეს თავისი ფრთებით ჯოჯოხეთიდან სამოთხეში ამოჰყავს განწმენდილთა სულები.

— გთხოვ, მეც წამიყვანე შენთანო, — უთხოვია ერთ სულს.

— ერთ კაცს მაინც თუ დამისახელებ, ვინც დედამიწაზე შენთვის ლოცულობს, უეჭველად ჩემთან იქნებიო, — უთქვამს ზეციურ ძალთა მხედართმთავარს.

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ სადღეგრძელო ლოცვაა ღვინიანი ჭიქით ხელში. ჰოდა, ხშირად ვთქვათ იმათი შესანდობარი, ვისაც მომგონი არავინ დარჩენია; ღვინო ჩვენა და შენდობა იმათ!

შევსვათ, ჩვენ მადლად მოგვეცემა!

1. ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ

სულაც არ გამკვირვებია გულნარა კალანდარიშვილის განზრახვა გაეანალიზებინა ფრიდრიხ ნიცშეს პიროვნება და იდეები თავის ახლახან გამოსულ წიგნში „ფრიდრიხ ნიცშეს იდეები და პიროვნება თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“, არა უშუალოდ მისი ფილოსოფიური თხზულებებისა, ან სხვა ფილოსოფოსთა ნიცშეზე გამოთქმული შეხედულებებისა, თუ ნაშრომების მეშვეობით, არამედ ისეთი მაღალი სულიერი მეგზურის დახმარებით, როგორიცაა გერმანელი მწერალი თომას მანი და მისი გახმაურებული რომანი „დოქტორ ფაუსტუსი“, რომელშიც მთავარი პერსონაჟის ადრიან ლევერკიუნის პროტოტიპია – ფრიდრიხ ნიცშე.

რადგან ისაუბრო ფრიდრიხ ნიცშეზე ნიშნავს (რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს) ქრისტეს ჯვარცმის გზას, მის სისხლიან ნაფეხურებს გაუყვე და ყოველ ჯერზე შეიგრძნო სიკვდილის გამთოშავი სიცივე, რასაც ადამიანი მისი გონებისთვის ჩაუწვდომელ სფეროებს აზიარებს. არის ამაში რაღაც საშიში, არის რაღაც თავზარდამცემი



და ეს ის რაღაცაა, რასაც თომას მანი უწოდებდა კრძალვასა და რიდს – იმ რიდს, რასაც ადამიანი შეიგრძნობს ყოველ ჯერზე, როცა ადამიანის ამოუცნობ, საიდუმლო ბუნებას მიეახლება და ამაში ხედავდა გერმანელი მწერალი რელიგიის არსს.

გულნარა კალანდარიშვილმა აღნიშნული წიგნის ერთ-ერთ წამყვან მოტივად აირჩია იმ ბრალდების გაუქმება, რასაც ნიცშეს არათუ გერმანელი ნაცისტები, არამედ მსოფლიოს ბევრი წამყვანი მოაზროვნე იზიარებდა – გერმანელი ფილოსოფოსი ნაცისტური იდეოლოგიის წინამორბედია. წინდაწინვე ვიტყვი, ამ მოტივზე საუბარი უდიდესი ტრაგედიის შეცნობის წინაშე დაგვაყენებს, ამიტომაც ასე რთულდება ამ თემაზე საუბარი. გარეგნული თვალით გერმანიის სათავეში მოსული ნაცისტური იდეოლოგიის მქონე ფაშისტურ დიქტატურასა და თომას მანის რომანში „დოქტორ ფაუსტუსში“ აღწერილი ლევერკიუნის ამბავშიც იკითხება ეშმაკთან გარიგება, მაგრამ მკვლევარი კატეგორიულად მიჯნავს ერთმანეთისგან ადრიან ლევერკიუნისა და მისი პროტოტიპის (ფრიდრიხ ნიცშეს) შეფასებისას მათი ბედის გაიგივების ყოველნაირ მცდელობას გერმანიის ხელისუფლების სათავეში მოსული ნაცისტების – ფაშისტების დამღუპველ ქმედებასთან. გულნარა კალანდარიშვილის კატეგორიულობაში გამოსჭვივის ამ გაუგებრობის უხერხულობა, ერთგვარი დანაშაულის შეგრძნებაც კი, რადგან ფრიდრიხ ნიცშე (როგორც ეს უკვე არაერთგზის გამოითქვა) მისი აზრით, იმ მოღვაწეთა პლეადას მიეკუთვნება, ვინც თავისი ტანჯვით, თავისი შეშლილობით, თავისი ცთომით კაცობრიობის საკურნებლად არის მოვლენილი და მისი ცხოვრება კაცობრიობისთვის გაღებული ის ერთგვარი მსხვერპლია, რომლის წყალობითაც მან უნდა გააგრძელოს თავისი განვითარება და სულიერ სიმაღლეზე აღსვლა.

რომანში მთხრობელის – ცაიტბლომის (ლევერკიუნის უახლოესი მეგობრის) სიტყვები იმ უსაზომო პატივისცემისა და თანაგრძნობის გამომხატველია, რომელიც ამ გაღებული მსხვერპლის ორმაგ ბუნებაზეც მიანიშნებს: – „ჩემი საბრალო, დიადი მეგობარი“.

მაგრამ რამ განაპირობა ეს ცთომილება? ეს უხერხული გაიგივება ფრიდრიხ ნიცშეს ასე ღრმა, მოუხელთებელ, გენიალური ფილოსოფიისა ნაცისტური გერმანიის სწორხაზოვან იდეოლოგიასთან?

ამ უაზრო ბრალდების ერთგვარი ახსნისთვის ის ჰიტლერის მიერ ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომით „ძალაუფლების ნება“ აღფრთოვანებას იშველიებს (ამაზე არაერთგზის გამოთქმულია ანალოგიური მოსაზრებები) და დღეს უკვე ნიცშეს მკვლევართათვის ცნობილია, რომ თუმცა ფილოსოფოსის წინაშე იდგა ძალაუფლების ნების პრობლემა, მაგრამ აღნიშნული ნაშრომი ფალსიფიცირებული გამოიცა ნიცშეს დის მიერ და რაც მთავარია, მასში შეტანილ იქნა ხშირ შემთხვევაში ნიცშესთვის მიუღებელი შეხედულებები. და რადგან ნიცშე თავისი პიროვნებითა და ფილოსოფიით ისეთ იდეოლოგიას დაუკავშირეს, რომელსაც ის თავისი არსით ეწინააღმდეგებოდა, ამიტომაც გულნარა კალანდარიშვილმა თავის მოვალეობად შერაცხა თავი მოეყარა თომას მანის იმ გამონათქვამებისთვის, რომელშიც იკვეთება, თუ ნიცშეს ფილოსოფიისა რომელმა იდეებმა განაპირობა რომ ის ნაცისტების პროპაგანდის საგნად ქცეულიყო:

– „ომისა და ბოროტების აპოლოგია, თუ უზნეობის სილამაზით აღტაცება, ასევე მორალის, ჰუმანიზმის, თანაგრძნობის და ქრისტიანობის წინააღმდეგ უკიდურესად გაღიზიანებული გამოხდომები“. (თომას მანი „ნიცშეს ფილოსოფია ჩვენი გამოცდილების შუქზე“, გვ. 177) (ციტ. გ. კალანდარიშვილის აღნ. წიგნ. გვ. 9).

და მაშინ გაუგებარია თომას მანის ის უსახელმწიფო“ და ნიცშე კატეგორიულად აცხადებს, როდესაც რელიგია იწყებს გადაშენებას, ირყევა სახელმწიფოს საფუძველიც, საღვთო წესრიგის რწმენა და წმინდა საიდუმლო, რომლითაც გარემოცულია სახელმწიფოს არსებობა (...)“ (ფრ. ნიცშე „ადამიანური, მეტისმეტად ადამიანური“, წიგნი თავისუფალი გონების ადამიანებისთვის“, ტ. I, გვ. 443; 445).

2. ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲘᲓᲘᲞᲝᲡᲘ

მკითხველი ამ წიგნში წაიკითხავს ნიცშეს ბიოგრაფიას, რომელიც იწყება სამყაროსთან სრული ჰარმონიზაციით და ეს გულნარა კალანდარიშვილს იმისთვის დასჭირდა, რათა უფრო კარგად გამოეკვეთა იმ თავზარდამცემი გზის სირთულე, რაც თავისდა მოულოდნელად, იქნებ თავისი თავის სანინააღმდეგოდაც კი, აღმოაჩინა ფრიდრიხ ნიცშემ.

და ალბათ ამ მიზეზითაა, რომ მასთან მიმართებაში ყოველთვის მახსენდება ოიდიპოს მეფე, სოფოკლეს ამავე სახელწოდების ტრაგედიიდან, როცა სიცოცხლის შემმუსვრელი შავი ჭირი მოედება ათენს, ირკვევა, რომ ამის იქით იმალება ვიღაცის დანაშაული, რომლის გამოც ამდენი უდანაშაულო ადამიანი ისჯება.

და როცა ნიცშე, კაცობრიობის დაუძლურებულ, კასტრირებულ, სიჯანსაღეს მოკლებულ სახეს ხედავს, კაცობრიობას, რომელსაც თავისი სასიცოცხლო ძალა წართმევია, ის იწყებს დამნაშავის ძიებას და აღმოაჩენს – ქრისტიანობას და მას კაცობრიობის სენს დაარქმევს.

– და მაინც რა ბრალდებას წაუყენებს ის ქრისტიანობას?

– ან რაში მდგომარეობს ნიცშეს ბრალდება?

– ან რა კვალი დაატყო ქრისტიანობამ მსოფლიო ისტორიას? ან რა როლი ერგო მას – ნიცშეს – ოიდიპოს მეფის თანამომძებელ, რომელიც სიმართლის ძიებას მაშინაც აგრძელებს, როცა უკვე აშკარაა, რომ მისი დადგენით ყველა მის საუნჯეს, ყველა მის იდეალს განადგურება ემუქრება?

და ნიცშე თავმომწონედ განაცხადებს:

– „ჩემი ხვედრია ვიყო პირველი წესიერი ადამიანი და ვთვლიდე თავს ათასწლოვანი სიცრუის მოწინააღმდეგედ“ (ხაზგ. – ჟ.ს.).

– ან რატომ თვლის ის: – „(...) ადამიანში ბევრი რამაა შემაძრწუნებელი. დედამიწა მეტისმეტად დიდხანს იყო სახლი შეშლილთათვის“ (ხაზგ. – ჟ.ს.).

ან

რატომ არის მისი აზრით თანამედროვე ადამიანი თვითწამებული და აკვიატებული იდეით შეპყრობილი?

ნიცშემ აღმოაჩინა, რომ თანამედროვე ევროპელი ადამიანი დამახინჯებულია, რომ მისი ბირთვი – სასიცოცხლო ბირთვი არაჯანსაღია, რადგან ის დაცლილია სიხარულის, სიამოვნების, ჯანსაღი სურვილებისგან და მისგან დარჩა მხოლოდ და მხოლოდ გახლეჩილი, დათრგუნული და ცოდვით დაცემის დამნაშავეობაზე ორიენტირებული ადამიანი.

და რადგან იმთავითვე ქრისტიანობამ უმაღლესი ტიპის ადამიანს აუკრძალა ბრძოლა არსებობისთვის, თვითდამკვიდრებისთვის, ამის საპირწონედ იდეალად აქცია ყველა სუსტი, ყველა დამცირებული თუ წარუმატებელი. ამ ყველაფრის მიღმა ნიცშე ხედავდა იმ სიცრუეს, რომელიც არ აღიარებდა სინამდვილეს, რომელშიც მოიაზრება არც მარტო სიკეთე, არამედ ბოროტებაც. არა მარტო სილამაზე, ასევე სიმახინჯეც და ა.შ.

და მაინც რატომ გამოიწვია ქრისტიანული რელიგიის, უფრო ზუსტად კი ქრისტიანული მორალის დამკვიდრებამ კაცობრიობის კასტრირება? ნიცშეს თანახმად, ამის მიზეზი შეუთავსებლობაა, სრული აცდენაა ქრისტიანულ მორალსა და ცხოვრების კანონს შორის, ცხოვრების წარმმართველ ძალებს შორის. და ნიცშე ასე გამოთქვამს თავის კრედოს და ის სიტყვა-სიტყვით მოჰყავს გულნარა კალანდარიშვილს:

– „ძალაუფლების ნება არის სამყაროს ესენცია – არსი...“ (ფრიდრიხ ნიცშე „კეთილის და ბოროტის მიღმა. მომავლის ფილოსოფიის პრელუდია“, ტ. II, გვ. 270), რაც ქრისტიანული მორალით, ქრისტიანული სარწმუნოებით არის დათრგუნული.

3. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

და თუმცა წიგნის სათაურის ქვედა მინაწერში წითელ ფონზე იკითხება „მკითხველის ჩანაწერები“, ამან არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ის უბრალო შთაბეჭდილებების კრებულია. არა, გულნარა კალანდარიშვილი ცდილობს მის მიერ გამოთქმული ყოველი აზრის წარმომავლობა ჯერ გამოიკვლიოს და შემდეგ მისი არსებობის უფლება დაასაბუთოს. ამიტომაც ის ნიცშეს – „ძალაუფლების ნების“ ტერმინის განსაზღვრისთვის ჯერ გვთავაზობს ნიცშეს ყოფილი მასწავლებლის არტურ შოპენჰაუერის ნების განსაზღვრას. ნება არის სამყაროში მოქმედი, უაზრო, ბრმა, მსოფლიო ნება და ადამიანი ახერხებს მას დაუპირისპირდეს წარმოდგენებ-



ᲥᲐᲙᲚᲘᲜ ᲡᲘᲠᲐᲫᲔ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲜᲘᲪᲨᲔᲖᲔ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲝᲑᲘᲗ

(ᲒᲣᲚᲜᲐᲠᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ – ᲜᲘᲪᲨᲔᲡ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ �პᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲛᲐᲜᲘᲡ „ᲓᲝᲥᲢᲝᲠ ᲤᲐᲣᲡᲢᲣᲡᲨᲘ“)

აზომო თანაგრძნობა და რიდი ნიცშესადმი, იმ ფილოსოფოსისადმი, ვინც იმორალისტია, ვინც ქრისტიანობას ებრძვის, ვინც ეთიკის ბასტიონები შემუსრა, ვინც თანაგრძნობას საფუძველი გამოაცალა?

და ასევე გაუგებარია ის დიდი შეფასება, რასაც ფრიდრიხ ნიცშეს აძლევს XX საუკუნის წამყვანი მოაზროვნე – კარლ იასპერსი და ის უდიდესი ტკივილი, რაც გამოკრთება ამ შეფასებისას და ის კითხულობს:

– „რატომ იქცა ეპოქის მსხვერპლად ნიცშეს ტრაგიკული პიროვნება?“

ამ კითხვის განვრცობაა მეორე კითხვა:

– „მან სრულად გაიღო საკუთარი თავი ადამიანისა და მისი ბედის შესახებ მღრნელი შფოთვის საჯიჯგნად: – რა ეშველება მას ხვალ? დღეს?“

და რაც მთავარია, კარლ იასპერსი ხაზს უსვამს ნიცშეს სწრაფვას:

– „მთლიანობაში დაინახოს მსოფლიო ისტორია და მის აზრს ჩასწვდეს. (კარლ იასპერსი „ნიცშე და ქრისტიანობა“, გვ. 73.)

სწორედ მთლიანობაში დანახულმა მსოფლიო ისტორიამ აღმოაჩენინა ნიცშეს კაცობრიობის განვითარების გზაზე შემაფერხებელი მოვლენა – და ეს მისთვის ქრისტიანობა აღმოჩნდა.

მაგრამ ვიდრე უშუალოდ ნიცშეული ქრისტიანობის არსს, თუ მისი ფილოსოფიის სხვა ასპექტებს შევეხებით, მკვლევარი მიმართავს მის ბიოგრაფიას. და რატომ ნიცშეს ბიოგრაფია? როგორც არაერთი მოაზროვნე მიიჩნევს, ის მისი ფილოსოფიის მთავარი გასაღებია, რომელშიც (ისეთი ფილოსოფოსებისგან განსხვავებით, როგორიცაა არისტოტელე, კანტი, ჰეგელი და ა.შ. და ა.შ.) იკითხება თავად ნიცშეს ფილოსოფიის განვითარების პერიპეტიები.

გულნარა კალანდარიშვილი იხსენებს, რომ ის ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს, სწავლობდა მუსიკას, ქმნიდა მუსიკალურ კომპოზიციებს. 14 წლის ასაკში მიიჩნევდა მუსიკას აზრების სრულყოფილად გამოთქმის იმ ინსტრუმენტად, რომელიც ადამიანს უზენაესისკენ მიმავალ გზაზე მიუძღვება და მკვლევარის აზრით ამ პიეტიზმში სულაც არ გამოსჭვივის მხოლოოდენ ბავშვური გულუბრყვილობა. და მას მოჰყვა ის გამაოგნებელი ტექსტი, რაც ჯერ კიდევ 10 წლის ფრიდრიხ ნიცშეს ჩაუწერია, სადაც ის ამაღლების დღესასწაულზე ასე მძაფრად განიცდის მგალობელთა გალობას და ეს მან აღიქვა როგორც ანგელოზთა ხმები და განიცადა იესო ქრისტეს ცად ამაღლება. და ის წერს: – მეც შევუერთე ჩემი ხმა...

ამით გულნარა კალანდარიშვილს კიდევ ერთხელ უნდა შეგვახსენოს, თუ რა ღრმა განცდითა და კრძალვით იყო განმსჭვალული ნიცშე ბავშვობაში ძველი ყაიდის ღვთისმოსაობის ტრადიციების მიმართ. ის შეგვახსენებს ასევე ნიცშეს იმდროინდელ მსოფლმხედველობას ამ ფრაგმენტით: „რელიგია და

მერი ჩავორტის გათხოვების შემდეგ დაწერილი ფრაგმენტი

ენსლის გორებო, კვლავ შევცქერი ნაცნობ
ხრიოკებს,
სადაც დასრულდა ჩემი ყრმობა
შეუჭირველი,
მაგ მიდამოებს გამუდმებით დააწიოკებს
მძაფრი ავქარი ჩრდილოეთის, სუსხით
მრისხველი.

განქარდა ჟამი, როს ვხარობდი ყოველ
ცისმარე
თქვენი მოხილვით და საყვარელ სატრფოს
მშვენებით,
არ გამიღიმებს რადგან მერი
მოსხივცისკარე,
სალხენ ედემად აღარასდროს
მომეჩვენებით!

მშვიდობით! როსმე მგზნებარე ლოცვა...

მშვიდობით! როსმე მგზნებარე ლოცვა
სხვათა საოხი, გამოსახსნელი,
გადაურჩება თუკი წარხოცვას,
ზეცას მისწვდება შენი სახელი.

შეწყვიტე ოხვრა, ცრემლის ღვარღვარი,
ველარ აღაგზნებ ცეცხლს აშიკობის,
უფრო მეტს გვამცნობს, ვით ხმა ნაღარის,
გამოთხოვების სიტყვა - მშვიდობით!

ბაგე დამუნჯდა, დაშრა თვალები,
დაიმორჩილა გული კრულებამ
განუქარველი ტანჯვა-ვაების
და საწუხარი აღარ სრულდება.

არ დამაყვედრის სული იარას,
თუმც ჯანყობს გზნება უწინ მიმნდობი,
ტყუილუბრალოდ თურმე გვიყვარდა
და დრო დამდგარა გითხრა - მშვიდობით!

წარწერა თავის ქალისაგან დამზადებულ სასმისზე

ნუ შეძრწუნდები სულგამოცლილ თავის
ქალათი,
ნურც გაგაკვირვებს უცნაური ნივთი
ამქვეყნის,
ცოცხალ თავისგან განსხვავებით, მისგან
ღალატი
არ გემუქრება, არც სიტყვები -
თავმოსაწყენი.

მეც ხომ შენსავით მიველტვოდი სმას,
ტრფიალებას,
მოვკვდი და მიწას უკვე ველარ
შევეურჩები,
შემავსე — შენ არ ძალგიძს ჩემი
გატიალება,
რადგან მატლებს აქვთ შენზე ბევრად
ბილწი ტუჩები.

შუშხუნა ღვინით მირჩევნია ვიყო აღსავსე,
ვიდრე დამხრავდნენ საზიზღარი
ქვეწარმავლები,
ღმერთთა სასმელით ვარწყულებდე
ქვეყნად ათასებს
მიჯობს, ვიდრეღა ჭია-ღუის გავხდე
სათქვლეფი.

სადაც ბრწყინავდა ჩემი გონი, დღეს იმ
ჭურჭელმა,
სითხით აღვსილმა მსახურება კაცთა
ითავა
და ტვინის ნაცვლად თუ შეამკო ტკბილმა
სურნელმა,
ღვინოზე ძვირფასს აირჩევდა განა
შიგთავსად?

დალიე, სანამ გაგისტუმრებს ჟამის
სახნისი
და როცა მიწა შეძლებს შენი გვამის
წახდენას,
მიწის ხვევნისგან სხვა ჯილაგის ალბათ
დაგიხსნის,
გამოიყენებს შენს ქალასაც ვინმე
სალხენად.

რატომაც არა - განა არ სჯობს ამ ცრუ
საწუთროს
სევდიან იერს თუ შესძენენ ჩვენი თავები,
თუ თიხა ველარ მოახერხებს
დაგვისაკუთროს
და გასართობად კაცთა მოდგმას
გამოვადგებით.

სურათის ქვეშ მიწერილი პწკარები

მარცხი იგემა შენზე ზრუნვამ, წახდა
გუნება,
რადგან წამართვა სიყვარული ბედმა
ნარჩევი,
სასოწარკვეთის სიმძიმილთან
შესაგუებლად,
მხოლოდ სურათი და ცრემლია
შემონარჩენი.

ითქვა, დრო-ჟამით იკურნება წყლული
ურვების,
ძველთაძველ სიბრძნეს თუმცა გული არ
ეთანხმება,
მიუხედავად იმედების განადგურების,
რადგან მარადის მეხსომება შენი სახება!

მშვენიერია, სხივმოციალე

მშვენიერია, სხივმოციალე,
ვით ვარსკვლავიან ზეცის კამარა,
თვალებში უკრთის დილის სინათლეც
და ღამეული შუქიც ანკარა:
ბევრად ნაზია მათი სიალე,
ვიდრე შუადღის მზეა თაკარა.

ერთი ზედმეტი, ანდა ნაკლები
ელფერი, ჩრდილი, მათზე დამდგარი,
ზადს გაურევდა ეშხში ნაკვთების,
დაკნინდებოდა შეუსადარი;
იერსახეა გამომნათები
სიმშვიდის, წმინდა ფიქრთა საყდარი.

ტუჩებს ელფერი შვენის მარჯნების,
ღაწვებს სივარდე განუწყვეტელი,
ღიმილით მუდამ განამარჯვების
წარსულს გვიამბობს სახე მეტყველი.
თავს არ შეაწყენს ვინმეს აჯებით,
თვით სიყვარულშიც წარუწყმედელი.

აღარ წავალთ საყიალოდ ღამით

აღარ წავალთ საყიალოდ ღამით,
ირინდება როცა არემარე,
თუმც სწყურია გულს ტრფიალის წამი,
ხოლო ცაში კვლავ კამკამებს მთვარე.

როგორც ქარქაშს ცვეთს ხმარებით ხმალი,
გამიცვითა მკერდი სულის გზნებამ,
გულს უძნელებს სუნთქვას ფეთქვა მალი,
საჭიროებს ტრფობა შესვენებას.

თუმც შეიქმნა ღამე სატრფიალოდ
და სულ მალე ვნახავთ შეცისკრებას,
აღარ წავალთ ღამით საყიალოდ,
ჩვენი გზები აღარ შეიყრება.

მწუხრი

ცის დასავლეთით ჩნდება ცისკარი,
გალობს ბულბული ზრახვის განდობით,
შეყვარებულის დანაფიცარი
ამჟამს უფროა გულმისანდობი.
სიო ქრის, კლდიდან წყარო იღვრება,
განმარტოებულთ ესმით სიმღერად,
ყვავილებს ნამავს ცვარი, ლეშხერი,
ცაში ჟამია ვარსკვლავთ შეხვედრის.
ლურჯდება ტალღა, დაბურულ ტყეში
შეეპარება ფოთოლნარს მრეში,
ბნელი ეშვება თანდათან ციდან,
შეურყვნელი და ფაქიზი, წმინდა.
დგება დრო-ჟამი დღე-ღამის გაყრის
და მწუხრი დნება კამკამით მთვარის.

უძინართა მზევ!

უძინართა მზევ და ვარსკვლავო ძლიერ
კაეშნის!
შორით გაკრთება შენი მთრთოლი სხივი
ღამეში.
ბნელის გაფანტვის შენ არ შეგწევს მეტი
ძალ-ღონე
და ღირსახსოვარ წარსულის დღეთ ოდენ
გვაგონებ!

მწუხრის ზარებიდან

ჯორჯ გორდონ ბაირონი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა შექსპირის დრამატული მონოლოგების თარგმანები. მთარგმნელი გახლდათ ოთარ ცისკაძე.

ტექნიკური მიზეზის გამო მთარგმნელის ვინაობა, სამწუხაროდ, არ იყო აღნიშნული, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით როგორც ბატონ ოთარს, ისე ჩვენს მკითხველებს.

ამჯერად გთავაზობთ ოთარ ცისკაძის თარგმანებს ჯორჯ ბაირონის პოეზიიდან. იმედია, მკითხველი ამ შესანიშნავ თარგმანებსაც ისეთივე ინტერესით მიიღებს, როგორც შექსპირის მონოლოგების თარგმანები მიიღო.

ასე კამკამებს გარდასული ჟამის ნათება,
უძალო სხივით თუმცა გული ვეღარ
გათბება;
გვასევდიანებ, შორეული როცა ციმციმებ,
სხივმოიეფე გვაგრძნობინებ მრუმის
სიცივეს!

გაყრის დროა, ათენელო ასულო

Ζωή μου, σας αγαπω - „ზოი მუ,
სას აგაპო“ (ბერძნული) — „ჩემო
სიცოცხლევ, მე შენ მიყვარხარ“

გაყრის დროა, ათენელო ასულო,
დაუბრუნე გვედრი გული საუფლოს
ჩემი მკერდის, ან თუ ჩათვლი საჭიროდ,
მიუჩინე სამარადო სამკვიდრო,
დავიფიცებ, ხელებს ცისკენ აღვაპყრობ,
ვიდრე წავალ - „ზოი მუ, სას აგაპო!“
თმას გიწეწავს, დაქრის აურზაურით
მონაბერი ეგეოსის ზღვაური,
დაგიკოცნის ღაწვებსა და წამწამებს
და ეჭვიანს ნიშნისგებით მაწამებს,
შვლის თვალებით გულს მიშფოთებ
დანაპყრობს,
სანუკვარო - „ზოი მუ, სას აგაპო!“
შენი ბაგის სიტკბოებას შევნატრი,
მიმიზიდავ ტანწერწეტა, კენარი,
მინდა ვარდთა თაიგულის სურნელით
გაგიმხილო გრძნობა გამოუთქმელი,
შენთან გულს სურს გასცდეს მკერდის
კალაპოტს,
ჩაგისახლდეს - „ზოი მუ, სას აგაპო!“
მოახლოვდა, აი, ჩემი მგზავრობა,
გამიხსენე, რომ დარჩები მარტოკა!
ათენიდან წასულს მელის სტამბული,
თუმცა გული შენთან მრჩება დაბმული,
თუ შეწყვიტა შენი ტრფობა, გააპოს
ელდისცემამ - „ზოი მუ, სას აგაპო!“

მემახსოვრები!

მემახსოვრები მარადის ქვეყნად,
სანამ არ დაშრეტს სიცოცხლეს ლეთე,
სირცხვილის ლაქა, სინდისის ქენჯნა
დღეღამ შეგზარავს და დაგაფეთებს.

მემახსოვრები, თქმა რაღად უნდა,
არ დაგივიწყებს ქმარიც აშკარად,
მოგიხსენიებთ ორივე მუდამ:
ის - მოღალატედ, მე კი - აშარად!

დაწერილი სესტოსიდან აბიდოსში გადაცურვის შემდეგ

დეკემბრის ღამის სუსხშიც მედგარი
გადაცურავდა ჰელესპონტს რათა
(ვის აღარ ახსოვს მითი ლეანდრის?)
გართობილიყო საყვარელ ქალთან.
გინდ ელრიალა ზამთრის ქარიშხალს,
მიისწრაფოდა იქით და ჰერომ,
ერთხელ კოშკიდან გზა ვერ ანიშნა,
ჩაქრა ლამპარი საბედისწეროდ.
მისი მიბაძვა მეც მოვისურვე,
თუმც მაისია, ქარიც არ იძვრის,
ძლივს ვამოძრავებ ცურვით კიდურებს
და მივიკუთვნებ წოდებას გმირის.
თუ სიმართლეა ძველი თქმულება,
გადაუცურავს ბევრჯერ დინება,
ის ამტკიცებდა მის ერთგულებას,
მე კი საბრალოს მსურდა დიდება.
ძნელია განსჯა ჩვენი მგზავრობის,
ზენას მივანდობ გამოძიებას,
ის დაიღუპა ზღვაში დახრჩობით,
დამაუძლურა მე კი - ციებამ.

ემას

აი, დაუდგა აღსასრული ჩვენს
სიყვარულსაც,
გაყრის ჟამია, მოსცილდები მგზნებარე
მეტრფეს,
ნაოცნებარმა ნეტარებამ გაიწარსულა,
ერთი ტკივილიც, დამთავრდება ყოველი
მერე.
სამწუხაროა! ეს ტკივილი მწვავე იქნება
და ცრემლთა დენაც არ აგვცდება ორივეს
ცხარე,
გვაშორიშორებს გამთიშველი დროის
დინება,
რადგან დიდი ხნით მიაშურებ შორეულ
მხარეს.
რა ვუყოთ! ჩვენ ხომ განგვიცდია
მიჯნურთა შვებაც
და სიხარულის ცრემლს გვგვრის ნამყო
ნასათუთარი
შორიახლოს ჩანს უძველესი გოდლების
წყება,
ბავშვობის წლების საიმედო
ნავთსაყუდარი,
გოთიკურ კოშკის სიმაღლიდან
გაბადრულები
ხშირად გავცქერდით ტბას და მდელოს,
მდგარნი სარკმელთან,
თუმც მხედველობა დაგვბინდვია ახლა
კურცხლებით,
მზერას მოვავლებთ არემარეს
უკანასკნელად,
სადაც სირბილში გაჯიბრება უწინ
გვჩვეოდა,
დროის ტარება ჟრიამულით, ბავშვურ
სიცელქით,
ქანცგაწყვეტილნი მივაღწევდით თელის
ჩეროსთან,
თავს დამადებდი გულმკერდზე და
ერთხანს ვიწექით.
გონს მიფანტავდა ნეტარება
გულაჩქროლების,
მუმლს არ გიქშევდი და ვუმზერდი
ჩამოშლილ კულულთ,
შურით აღვსილი შევცქეროდი ქინქლებს,
რომლებიც,
დაგიკოცნიდნენ ქუთუთოებს
თვალებმილულულს.
ისევ აბია ტბის ნაპირთან ნავი ხატულა,
გვისეირნია რითიც დრო-ჟამს ჩვენი
ბალღობის,
მაღლობზე თელა ძველებურად კვლავ
აღმართულა,
შენ გამო სადაც ხანგაშვებით
ვძრომიალობდი.
გასრულდა ის დრო, ვეთხოვები ლხენას
განუყრელს,
ველარასოდეს ვიყიალებ შენი თანხლებით,
ნაცნობ ბილიკებს ხვალ მარტოკა უნდა
გავუყვე
და ფასს დაკარგავს უშენობით ეს
სანახები.
არ უწვნევია გაყრის გამო ვისაც წვალება,
ის რას გაიგებს ბოლო ხვევნის მტანჯველ
გრძნობების,
როცა ვშორდებით, ვინც გვიყვარდა
უმხურვალესად
და სულის ნაწილს საუკუნოდ
ვემშვიდობებით.
გვასევდიანებს სავალალო დაბოლოება,
ღაწვებს გვისველებს ანაცრემლი მწუხარ
თვალების,
ეს არის ჩვენი სიყვარულის გამოგლოვება,
ოჰ, ღმერთო, ბოლო, უნაზესი
გამოსალმებით!

ინგლისურიდან თარგმნა ოთარ ცისკაძემ

▶▶ მე-9 გვერდიდან

ართველოს და კვლავ ჩვენ გვესტუმრა. მამაჩემმა გამოიტანა თავისი მითიური ჭიქა და ასაკი ამაყად გამოაცხადა. სტუმარმა თარჯიმანს ღიმილით რაღაც გადაულაპარაკა, მანაც სიცილით გვითარგმნა: თქვენ ოჯახში წლების ათვლის საინტერესო სისტემა გაქვთ, როგორც მახსოვს, შარშან ეს ჭიქა 2 წლით „უმცროსი“ იყოო. მისი წასვლის შემდეგ მამაჩემი ხუმრობდა, ეს ის კაცი არ იყო, თავისი ძმის და ძმისშვილების ასაკი რომ არ ახსოვდა და ჩემი ჭიქის კი ზუსტად დამახსოვრებიაო. დიდ ოჯახში ხმაურიან და ქაოსურ ცხოვრებას შეჩვეულს გამიჭირდა ახლობლების და მეგობრების გარეშე. ცხელი წყალი, სარეცხის და ჭურჭლის მანქანა — ეს „ყოფის აუტანელი სიმსუბუქე“ სიხარულს აღარ მგვრიდა.

ბერძნული სიტყვა ნოსტალგია სამშობლოს სევდას ნიშნავს. მილან კუნდერას სიტყვებით, ის ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე მარტო მეხსიერება — ესაა ადგილის განცდა.

რამდენჯერმე უცნაური „ფლეშბეკი“ ჩამერთო. დაღლილი მივდივარ ქუჩაში და ვფიქრობ, ავუხვევ ახლა ჩიხში და ჩემი სახლის ჭიშკარი გამოჩნდება, მერე უცებ ვხვდები, რომ ეს სხვა ქალაქია, სხვა ქუჩაა.

როცა ეგზისტენციალური კრიზისიდან გამოსავალს ვეღარ ვპოულობდი, შვებად ქართველები გამოჩნდნენ. პატარა ქართული ემიგრაცია დაგვხვდა, სულ რამდენიმე ოჯახი, მალე მეგობრები შევიძინეთ, რამაც ცხოვრებას ხალისი შემატა.

მთელი მსოფლიო ჩვენს შენობაში

ზამთარი ტორონტოში არცთუ ისეთი საშიში აღმოჩნდა, როგორსაც ველოდი. ციოდა, მაგრამ თუ ყინვას ქარი არ შეერეოდა, ასატანი იყო, თანაც მიწისქვეშ მთელი ქალაქია გაშენებული, შეგიძლია მთელი დღე ისეირნო. შთამბეჭდავი იყო ზამთრის ინფრასტრუქტურა. დიდთოვლობის დროს გზებს ისე სწრაფად წმენდნენ, ტრანსპორტს არავითარი შეფერხება არ ექმნებოდა.

გაზაფხულის დადგომასთან ერთად, თბილ ამინდში ჩვენი ბინის აივანზე მიყვარდა ყოფნა. ნინიკოც იქვე ტრიალებდა, მაცხოვრებლების დიდ ნაწილს ეროვნებების მიხედვით უკვე ცნობდა.

— აი, ნარიმანი დაბრუნდა ველოსიპედით, — ამბობს ნინიკო იმრანის მამაზე, — სერბ ხვიტოს პიცა მოაქვს, ჩვენ რატომ არ გვაქვს დღეს პიცა?

— ჩვენ დღეს სადილად გვაქვს ქათმის ჩახოხბილი, — ვპასუხობ მე.

— ფუჰ, — ცხვირს იბზუებს ნინიკო.

აქ უმეტესად ქართულ კერძებს ვამზადებ. ემიგრანტები, სადაც არ უნდა წავიდნენ, თან მიაქვთ თავიანთი ქვეყნის სამზარეულო. ტრადიციული კერძების მომზადება მათი კულტურის შენარჩუნების გზა, ეთნიკური წარმომავლობის სიამაყე და სახლის მონატრების დაძლევის საშუალებაცაა ალბათ.

ჩვენს შენობაში, სადაც კულტურული, სოციალური, რელიგიური პარამეტრებით განსხვავებული ადამიანებია თავმოყრილი მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რომლებიც ასობით ენაზე საუბრობენ, მულტიკულტურული თავისუფლების საოცარი სიმშვიდე სუფევს. მსოფლიო ჩემპიონატმა ფეხბურთში ეს სიმშვიდე დაარღვია.

ჩემპიონატის დროს, რომელიც 1998 წლის ივნისში დაიწყო და ივლისამდე გაგრძელდა, ჩვენი წყნარი შენობა ხმაურიან სანახაობად გადაიქცა. გაიტანა ხორვატიამ ბურთი და დროშაში გახვეული ხორვატები ღრიალით გამოცვივდნენ აივანზე, ირანელებმა აივნიდან მფრინავი ქაღალდები გადმოყარეს. იტალიელები მთელ ხმაზე მღეროდნენ, ნასვამი გულშემატკივრები ვიღაცას მუშტებს უღერებდნენ, ყვიროდნენ, გლობალიზმით შეწუხებულნი ანტიგლობალურ მოკითხვას უთვლიდნენ მეტოქეებს. ვნებები ჰაერში ტრიალებდა, ძლიერი ემოციების გარეშე ვერ გახდები ნამდვილი გულშემატკივარი. ფეხბურთი უნივერსალური ენაა, კულტურული და პიროვნული განსხვავებულობისდა მიუხედავად, ფეხბურთის ფანები მსგავსად გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს.

ნინიკომ არეულობით გაიხარა, ვერ დაასწრებდი აივანზე გავარდნას და ყვირილს. — ასე არ შეიძლება, რომელიმე გუნდი უნდა აირჩიო, — ვუხსნი მე,

— ერთდროულად ყველას გულშემატკივარი ვერ იქნები.

— რა სიტყვაა ეგ?

— რომელიმე გუნდს რომ მხარს უჭერ, გული შეგტკივა.

— გული კი არ მტკივა, მიხარია, — მეუბნება და ელოდება ბურთის გატანით გამოწვეულ ხმაურს, რომ ვერავინ დაასწროს აივანზე ყვირილით გავარდნა.

12 ივლისს, საფრანგეთ-ბრაზილიის გადამწყვეტი მატჩის დღეს, საფრანგეთის გულშემატკივრებმა დილიდან „მარსელიეზა“ ჩართეს და გამაძლიერებლების საშუალებით მთელ კორპუსს მოგვასმენინეს. ჩვეულებრივ, ხმაურზე მეზობლები პოლიციას იძახებდნენ, ჩემპიონატის დროს კი უკლებლივ ყველა ტოლერანტული გახდა ცხოვრების იმ წესის მიმართ, რომელიც ფეხბურთმა მოიტანა.

ჩემპიონატის ჩავლის შემდეგ ჩვენს შენობაში ისევ სიმშვიდემ დაისადგურა.

მიეცით მუშიდობას შანსი

კანადა მშვიდობისმყოფელი ქვეყანაა. ტყუილად არ შეუსრულებია ლენონს თავისი სიმღერა „მიეცით მშვიდობას შანსი“ (“Give Peace A Chance”) კანადაში.

მშვიდობის მისაღწევად მარტო სურვილი, ლაპარაკი, თუნდაც მთელღღიანი ლოცვები საკმარისი არაა. მშვიდობა შესაძლებელია მხოლოდ ძალადობრივი აქტების შეკავებით, მასთან ართანამშრომლობით. ძალადობის წინააღმდეგ განათლებაზე უკეთესი ვაქცინა ჯერ არ გამოუგონიათ.

კულტურული მრავალფეროვნება კანადის მემკვიდრეობაა, მისი იდენტობის გულშია. გიორგის და ნინიკოს სკოლა ორსართულიანი შენობაა, დიდი სათამაშო მოედნით. დილა კანადის ჰიმნით იწყება:

ღმერთმა გაანათლოს ჩვენი მიწა, დიდებული და თავისუფალი!

ოჰ, კანადა, ჩვენ ვდგავართ შენთვის!

კანადა ამ ჰიმნით ყოველდღიურად ახსენებს ბავშვებს, რომ ნაციონალური და რელიგიური კუთვნილებით განსხვავებულობა კარგად შეიძლება იყოს შერწყმული ქვეყნის ერთგულებასთან. არ აქვს მნიშვნელობა რომელი ქვეყნიდან ჩამოხვედი, მთავარია, ახლა აქ ხარ, ამ ქვეყანამ მიგიღო, გიმასპინძლა, გაძლევს მომავლის კარგ შესაძლებლობას და შენგანაც ელის, რომ სამართლიან მოქალაქედ და ქვეყნის პატრიოტად გაიზრდები.

პატრიოტიზმი აქ მაღალფარდოვანი სიტყვებით არ ისაზღვრება, ქვეყნის კანონების პატივისცემაში გამოიხატება.

ნათქვამია: დიდი განსხვავებაა ორ მდგომარეობას შორის: „იყო ადამიანი და იყო ადამიანური“. პატრიოტიზმი ნიშნავს იყო ადამიანური განსხვავებული ეთნოსის, კულტურის, ტრადიციების, ორიენტაციის ადამიანების მიმართ, მეტ შემწყნარებლობას გულისხმობს, რაც ქვეყნის მშვიდობისა და სტაბილურობის საუკეთესო გარანტია.

ამერიკული ოცნება

კანადაში ყოფნისას ზურამ სამსახური ვაშინგტონში იშოვა.

— ახლა ამერიკაშიც ვნახოთ რა ხდება და მერე დავბრუნდეთ შინ, — მახსოვს ვთქვით ჩვენ.

შევუდექით მეორედ გადაბარგებისთვის მზადებას.

— დავბრუნდებით?! — კითხულობდნენ გულდაწყვეტით ბავშვები.

ჩრდილოეთის ეს ცივი ქვეყანა საოცრად თბილი და კეთილგანწყობილი აღმოჩნდა. წამოსვლისას, როცა ბოლოჯერ ავხედე ჩვენს აივანს, გამოვემშვიდობე გასაცილებლად მოსულ მეგობრებს, ჩუმად მდგარ აჩიკოს და ლალის, დასევდიანებულ ელმირას შვილებთან ერთად, გულში რაღაც ჩამწყდა, ისეთი გრძნობა მქონდა ოჯახის წევრებს დავემშვიდობე. სადგურამდე ჩვენს ერთგულ თენგიზს მივყავართ, ცრემლებს ვებრძვი, ვიცი რომ მოვერევი, ახალ ცხოვრებას ცრემლებით არ იწყებენ, წინ ვიყურები.

ვაშინგტონში ზაფხულში საშინელი სიცხე და ტენი დაგვხვდა, სუნთქვა ჭირდა, მაგრამ ისეთი განცდა გვქონდა, რომ საქართველოს მივუახლოვდით. აქ ჩვენი საელჩოა. ზოგადად, ვაშინგტონი საელჩოების ქალაქია, 170 საელჩო და ინტერნაციონალური კულტურის ცენტრია.

პირველ ხანებში ქალაქის დათვალიერებისას მომხდარის კინემატოგრაფიულობ-

მხატვარი **იაგო ნიკოლაძე**

ის შეგრძნება არ მტოვებდა, ბევრ ადგილს ფილმებიდან ვცნობდი. ზაფხული იწურებოდა, მილენიუმისთვის მზადება დაწყებული იყო.

ამერიკული ოცნება, რაც არ უნდა დრომოჭმულ მოსაზრებად მიაჩნდეს ზოგიერთს, ამერიკული ყოფის ქვაკუთხედია. ეს არის რწმენა იმისა, რომ თუ თავისუფალ საზოგადოებაში იცხოვრებ, კეთილსინდისიერად იშრომებ და ძალისხმევას არ დაიშურებ, შეძლებ შენი შვილებისთვის და მომავალი თაობებისთვის უკეთესი ცხოვრების შექმნას. ემიგრანტებისათვის ახალ გარემოსთან ადაპტირების პროცესში ოპტიმიზმი აუცილებელი იყო და იქცა კიდეც ამერიკული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. ეს რწმენა აძლევდა ათასობით ჩამოსულ ემიგრანტს ძალას, რომ დაუღალავად ეშრომა. „ამერიკული ოცნება“ მათთვის უკეთესი მომავლის სტრატეგია იყო.

ამერიკული ოცნების კრიტიკოსებს ის ზედმეტად „მიწიერად“ მიაჩნდათ, რადგან მასში უმთავრესად პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა, საკუთარი სახლი და უზრუნველყოფილი ოჯახი მოიაზრებოდა.

შეიძლება არის კიდეც ასეთი, მაგრამ აქ საკუთარი სახლიც თავისუფლებასთანაა ასოცირებული. ბინაში ცხოვრება დამოკიდებულს გხდის შენობის მენეჯმენტზე, მეზობლებზე ან სხვა ფაქტორზე. სახლი, ეზო, საკუთარი წყალგაყვანილობა ეს უკვე ავტონომიაა.

სახლი განიჭებს ინდივიდუალიზმის და დამოუკიდებლობის შეგრძნებას, მაგრამ ამასთანავე პასუხისმგებელიც ხდები როგორც საკუთარის, ასევე მეზობლისა და ზოგადად გარემოს მიმართაც. პასუხისმგებლობის გრძნობა კი თავის მხრივ აჩენს ნდობას ადამიანებს შორის. ბეტეზდაში, სადაც მე ვცხოვრობ, საკუთარი სახლების უმეტესობა, რომელთა ფასი ხშირად მილიონს საკმაოდ სცდება, მესერით არ არის შემოღობილი. მეპატრონეს აქვს ნდობა, რომ არც მეზობელი და არც გამვლელი არ დაუნაგვიანებს ეზოს. ზოგადად, ამერიკული კულტურისათვის სახასიათოა უფლებაც და პასუხისმგებლობაც. თავისუფლებას პასუხისმგებლობის გარეშე ქაოსი მოაქვს. მოსახლეობის უმეტესობას გაცნობიერებული აქვს, რომ დღეს რომც შეძლო პასუხისმგებლობისგან თავის არიდება, ხვალ მაინც ვერ გაექცევი მას.

ალუბლის ყვავილობა

ამბობენ, დრო ილუზიაა: მარადიულიცაა და წამიერიც. საქართველოდან წამოსვლის შემდეგ 25 წელზე მეტი გავიდა, ბევრიცაა და ცოტაც.

ამ ხნის განმავლობაში 25-ჯერ აყვავდა ალუბალი. იაპონელების ცნობილ ტრადიციას „საკურას ყვავილობას“, რომელიც მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისშია, ამერიკაში „ჩერი ბლოსომი“ ჰქვია. „ჩერი ბლოსომი“ გაზაფხულის, განახლების სიმბოლოა, გახსენებს რომ თბილი, მზიანი, ალერსიანი დღეებია წინ. აქაურებიც და ჩამოსულებიც მოუთმენლად ელიან ამ პერიოდს. მილიონობით ადამიანი სეირნობს აყვავებულ ხეივანში, სამახსოვროდ იღებენ ფოტოებს. თბილისში აყვავება ასე დაგეგმილი არ იყო. დაიძინებდი, დილით გაიხედავდი და აფეთქებული დაგხვდებოდა ყველაფერი.

ალუბლის ყვავილობა ხანმოკლეა. მას შემდეგ, რაც ყვავილი თავისი სილამაზის პიკს აღწევს, იწყებს ცვენას. „ჩერი ბლოსომი“ ორ კვირაზე მეტ ხანს არ გრძელდება და იაპონური კულტურისათვის დამახასიათებელი ესთეტიკური პრინციპის Mono no aware, ცხოვრების ეფემერულობის ერთგვარი გამოხატულებაა, არაფერია ამქვეყნად მარადიული.

ამ ხნის მანძილზე იწყებოდა და მთავრდებოდა ომები, ხდებოდა ტერორისტული აქტები, იხოცებოდა და იტანჯებოდა უდანაშაულო ხალხი, სტიქიურ უბედურებებს, პანდემიებს მიჰქონდა ათასობით ადამიანის სიცოცხლე. ხალხი კი როგორც ადრე, ელის და ხარობს ალუბლის ყვავილობით, ცხოვრებაში ერთადაა სიხარული და ცრემლები.

ამ წლების მანძილზე ბევრი მოგონება გახუნდა, განსაკუთრებულს შერჩა ფერი.

შვილებს უკვე თავიანთი ცხოვრება აქვთ.

მე ძველებურად ქართულს ვასწავლი. კოვიდის გამო ვირტუალურ სწავლებაზე გადავედით და ახლაც ასე ვაგრძელებ. მრავალსართულიან შენობაში, სადაც ვცხოვრობ, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. შენობის მენეჯმენტი გვაფრთხილებს, რომ დილის 10 საათიდან საღამოს 5-მდე ხმაური შეგვაწუხებს. ვცდილობ ზუმში ხმამაღლა ვილაპარაკო.

ძველი ბერძნები თვლიდნენ, რომ ჰომეროსის სმენით აღქმისას, მისი პოემების რიტმს სამკურნალო ეფექტი ჰქონდა. მეც მჯერა რიტმის მუსიკალურობის ძალის, ასეთი გავლენა ჩემზე „ვეფხისტყაოსანს“ აქვს. ვუკითხავ სტუდენტებს სტროფებს პოემიდან და ნგრევის ხმაურისდა მიუხედავად, ვგრძნობ როგორ ისადგურებს „სიმშვიდე“ მთელ ბინაში :

ვა, სოფელო, რა შიგან ხარ, რას
გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა
ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი
სადით ძირსა?
მაგრამ ღმერთი არ გაწირავს, კაცსა
შენგან განაწირსა!

ბეტეზდა, 2024

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მეტრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG0000000161665862

გამოდის 2 კვირაში ერთხელ

დაბეჭდილია შპს
“საარის” სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე
მღვდლის 57

ISSN 2720-8540
9 772720 854003 >

ზანდუკელის# 1; ტელ.: 2936977 E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com